# 84:67! სუპერსტარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2013
№209 (14 125) ფასი 80 თეთრი



ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ვაჟა სიმონიშვილი
ცელიედან

ევრობასკეტი 2013
წარმოგიდგენთ europe-bet.com
4-22 სექტემბერი. სლოვენია



ვიქტორ სანიკიძე მატჩის ბომბარდირი გახდა

# საქართველომ პოლონეთი გააქრო

## არც ერთი სიტყვა საქართველოზე...

მიმოხილვა პოლონეთის ნაკრების თავკაცის **დირკ ბაუერმანის** სიტყვებით უნდა დავიწყოთ:

*„გასარკვევი გვაქვს, ვინ ვართ, რა გვინდა და რისთვის ჩამოვედით სლოვენიაში. საქართველოსთან მოგება ძალიან გვინდოდა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ ზედმეტად ვნერვიულობდით და არაფერი გამოგვივიდა. არის მატჩები, როცა შეიძლება შეტევაში ვერ ითამაშო სათანადოდ, ან დაცვა ვერ დააყენო კარგად. საქართველოსთან ვერც შეტევაში ვივარგეთ და ვერც დაცვაში. ასეთი რამ იშვიათად ხდება“.*

პოლონელთა გერმანელ მწვრთნელს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რომ მისი გუნდის წაგების მთავარი მიზეზი არა **მარცინ გორტატის** ცუდი თამაში, არამედ საქართველოს ნაკრები შეიძლებოდა, ყოფილიყო. **ზაზა ფაჩულიასა** და **თორნიკე შენგელიას** არყოფნის გამო, ფიბა-ევროპის ექსპერტებმა ჩვენი გუნდი ჩემპიონატის მონაწილე 24 ნაკრებს შორის რეიტინგში ბოლო ადგილზე დააქვეითეს. უცხოელებს ვინ ჩივის, საქართველოშიც ბევრს ეგონა, რომ **იგორ კოკოშკოვის** გუნდი სლოვენიაში ტურისტის სტატუსით მიემგზავრებოდა, მაგრამ...

*„საქართველოს ნაკრების შესაძლებლობების დღემდე ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩში პოლონეთთან 17-ქულიანი გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ ევრობასკეტზე წარმატებით თამაში შეგვიძლია. ვფიქრობ, თავად მეტოქეც არ ელოდა ჩვენგან ასეთ თამაშს და ამიტომაც დამარცხდა დიდი სხვაობით, თორემ პოლონეთი ნამდვილად კარგი გუნდია. მოსამზადებელი ეტაპი მეტად ნაყოფიერად ჩავატარეთ და ევრობასკეტის გახსნით მატჩში სწორედ ასეთ შედეგს ველოდით“,* - **გიორგი ცინცაძის** კომენტარი მატჩის მიმოხილვის შესავლად ნამდვილად გამოდგება.

## ემოცია და ფსიქოლოგია

მაინც რა მოხდა ისეთი, რამაც მოედნიდან პოლონელთა „გაქრობა“ განაპირობა? ქართველებს არც ჯადოსნური ჯოხი ჰქონიათ და გამარჯვება არც ქუდიდან ამოუყვანიათ კურდღელივით - უბრალოდ, პოლონელებთან შედარებით, მატჩისთვის უკეთ მოემზადნენ. გულშემატკივართა რაოდენობის მხრივ, პოლონეთსა და საქართველოს შორის თანაბარი ანგარიში იყო, ხმაურში კი ქართველებს ევროპაში ბევრი რომ ვერ სჯობნის, კარგად მოგეხსენებათ. ქვეყნისა და მეგობრების სახელით საკუთარ თავს ზემოთ ახტომაც ბევრ ევროპელს არ შეუძლია, ქართველებს კი შეუძლიათ!

თამამად უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ნაკრებმა უმთავრესად სწორედ ემოციისა და ფსიქოლოგიური მომზადების ხარჯზე მოიგო. შეხვედრის დასაწყისში ჩვენებს ნერვიულობა ნამდვილად არ ეტყობოდათ, პირიქით, ქომაგთა ხმაურით გამხნევებულებს თვალებში ცეცხლი ენთოთ. მთავარი იყო, მეტოქეს დასაწყისში თამაში ვერ დაელაგებინა. ასეც მოხდა - პოლონელთა ორმა ვარსკვლავმა, **მარცინ გორტატმა** და **მაჩეი ლამპემ,** ტყორცნა ტყორცნაზე ააცილეს და თამამად შეიძლება ითქვას, თამაში პირველივე მეოთხედში წააგეს - ჩვენი გუნდის მხრიდან ისეთ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ნებისმიერი კალათბურთელი თავიდანვე მიხვდებოდა, ქართულ ბარიერს რომ ვერ დაძლევდა...

გაგრძელება მე-8 გვერდზე

16:30

# დღეს ხორვატიაა!

მეტოქის მწვრთნელი:
ქართველებს თავისუფლად თამაშის საშუალება არ უნდა მივცეთ

ევრობასკეტის პირველი დღე და პირველი სენსაციები 16



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# საფრანგეთი თბილისში დიდი ხნით ჩამოვიდა

2

# დღეს ჩივაძე ლუქსემბურგით იწყებს

2



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მუნდიალი 2014. საქართველო-საფრანგეთი

# ფრანგებს თბილისი გაუტკბათ

## მამლები ბელარუსთან 10 სექტემბრის მატჩისთვის საქართველოში მოემზადებიან



გუშინ თბილისის აეროპორტში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



გუშინ 17 საათზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩარტერული რეისით მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ჩამოფრინდა. იყო ჩვეულებრივი აჟიოტაჟი, თუმცა არ ყოფილა გულშემატკივართა ტრადიციული სიმრავლე, სტუმართაგან თავის დაფასება, ქართულ მედიასთან ურთიერთობაზე უარი კი უკვე ჩვეული მოვლენაა - ეს ლამის ყველა სტუმრის სტილია. ვერ გეტყვით, როგორც იქცევიან ამ რანგის გუნდები სხვა ქვეყნებში სტუმრობისას, მაგრამ ჩვენთან მიმართებაში, სამწუხაროდ, არც ისე სასიამოვნო ქვეტექსტები იგრძნობა...

ფრანგები აეროპორტის ძველი გასასვლელიდან ავტობუსით გამოვიდნენ და ავტობუსიდანაც გულშემატკივრებს ხელი მხოლოდ **პატრის ევრამ** და **მუსა სისოკომ** დაუქნიეს. **ფრანკ რიბერი** ავტობუსის ბოლოში იჯდა, ერთი კი გამოგვხედა, მაგრამ... ვერ „შეგვამჩნია“. ასევე მოხდა სასტუმრო „რედისონშიც“, სადაც სტუმრები დაბინავდნენ. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა **დიდიე დეშამი** თბილისში 24-კაციანი (თავიდან 25 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული) შემადგენლობით გვესტუმრა:

მეკარეები - **მიკაელ ლანდრო** (ბასტია), **უგო ლორისი** (ტოტენჰემი), **სტივ მანდანდა** (მარსელი);

მცველები - **ერიკ აბიდალი** (მონაკო), **გაელ კლიში** (მანჩესტერ სიტი), **მეტიუ დებუში** (ნიუკასლი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ლორან კოშილნი** (არსენალი), **ელიაკიმ მანგალა** (პორტუ), **ადილ რამი** (ვალენსია), **ბაკარი სანია** (არსენალი);

ნახევარმცველები - **მაქსიმ გონალონსი** (ლიონი), **ჯოშუა გილავოგი** (სტ. ეტიენი), **ჯეფრი კონდოგბია** (სევილია), **ბლეზ მატუიდი** (პსჟ), **პოლ პოგბა** (იუვენტუსი), **მუსა სისოკო** (ნიუკასლი);

თავდამსხმელები - **ქარიმ ბენზემა** (რეალი), **ანდრე-პიერ ჟინიაკი** (მარსელი), **ოლივიე ჟირუ** (არსენალი), **სამირ ნასრი** (მანჩესტერ სიტი), **დიმიტრი პაიე** (მარსელი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **მატიე ვალბუენა** (მარსელი).

თბილისში გამომგზავრებამდე დეშამმა ერთი ცვლილება განახორციელა: ტრავმირებული **ეტიენ კაპუს** ნაცვლად, „ლიონის“ ნახევარმცველი **მაქსიმ გონალონსი** გამოიძახა. სახლში დარჩა „ლიონის“ 22 წლის ნახევარმცველი **კლემან გრენიეც**, რომელიც „სოსიედადთან“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საპასუხო შეხვედრისას დაშავდა. ჯერჯერობით, დეშამს ამ გრენიეს შემცვლელი არ დაუსახელებია. არ არის გამორიცხული, „მამლების“ თავკაცმა ახალი მოთამაშე თბილისური მატჩის შემდეგ დაიმატოს, ან საერთოდაც უარი თქვას მასზე.

...ბოლო ორ კვირაში ქართველების წინააღმდეგ მეორე მატჩისთვის ემზადება მეკარე **უგო ლორისი.** 22 აგვისტოს ის თბილისში „ტოტენჰემის“ კარს იცავდა, საპასუხო შეხვედრისას კი ისვენებდა...

საღამოს სტუმრები „დინამოს“ ბაზაზე მივიდნენ, სადაც 20:30 წუთზე დახურული ვარჯიში ჩაატარეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, დეშამი პრესკონფერენციას დღეს 18 საათზე, „დინამო არენის“ მედიაცენტრში გამართავს, 19:30 წუთიდან „მამლები“ იმავე არენაზე ივარჯიშებენ. მედიას (და არავის - სხვას) მხოლოდ 15 წუთი ექნება იმისთვის, რომ ფრანგების ვარჯიშს თვალი მიადევნოს.

სხვათა შორის, 6 სექტემბრის მატჩის შემდეგ, ფრანგები თბილისში კიდევ ორ დღეს დარჩებიან და ბელარუსთან მატჩისთვის მზადებას აქ გააგრძელებენ. 7 სექტემბერს, 17 საათზე, სასტუმრო „რედისონში“ დეშამმა მეორე თბილისური პრესკონფერენცია დაგეგმა. იმავე დღეს, საღამოს 19 საათიდან, „დინამოს“ ბაზაზე საფრანგეთის ნაკრები ღია ვარჯიშს ჩაატარებს - ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ მედიისთვის.

■ ■ ■

ამასობაში, მატჩისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ნაკრებიც. ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და სრული დატვირთვით ემზადება. ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **თემურ ქეცბაია** მატჩისწინა ოფიციალურ პრესკონფერენციას „ბასაზე“, 12 საათზე გამართავს. იქვე გაიმართება (18 საათზე) ნაკრების ბოლო ვარჯიშიც, და არა იქ (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე), სადაც 6 სექტემბრის მატჩი უნდა ჩატარდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● U21. საკვალიფიკაციო მატჩი

# სტარტი ლა ფრონტიეზე

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ლუქსემბურგთან გასვლითი მატჩით იწყებს. **ალექსანდრე ჩივაძის** შეგირდები „სტად ლა ფრონტიეზე“ ეცდებიან პირველი სამი ქულის მოპოვებას. შეხვედრას უელსელი არბიტრი **ბრინ მარკჰემ-ჯონსი** განსჯის. შეგახსენებთ შემადგენლობას, რომელიც ჩივაძემ ლუქსემბურგსა და სლოვაკეთთან (9 სექტემბერი) სათამაშოდ გამოიძახა:

მეკარეები - **გიორგი ნადირაძე** (სპარტაკი), **კახა მეშველიანი** (ზესტაფონი), **გაბრიელ თებიძე** (უგუნდო);

მცველები - **მამუკა კობახიძე, გიორგი გაგნიძე** (ორივე - დილა), **არჩილ ტვილდიანი** (სიონი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **თედორე გრიგალაშვილი** (ზესტაფონი), **დავით უბილავა** (ტორპედო);

ნახევარმცველები - **ნიკა კვეკვესკირი, ლაშა ჩაფიძე** (ორივე - სპარტაკი), **გიორგი პაპავა** (დინამო), **ლაშა პარუნაშვილი** (სიონი), **ვალერი ყაზაიშვილი** (ვიტესი, ჰოლანდია), **მერაბ გიგაური** (ტორპედო), **დავით კირკიტაძე** (მეტალურგი), **ჯაბა ჯიღაური** (ჩიხურა);

თავდამსხმელები - **დავით სხირტლაძე** (ორჰუსი, დანია), **გიორგი ჭანტურია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ნიკა კაჭარავა** (რუბინი 2, რუსეთი), **გიორგი ფანცულაია** (ტორპედო).

ჩივაძემ თავიდან 22 ფეხბურთელი გამოიძახა, მაგრამ 2 სექტემბერს, როცა გუნდი ევროპაში გაემგზავრა, მწვრთნელს მხოლოდ 21 მოთამაშე ახლდა: ჩივაძემ შინ დატოვა „ჩიხურას“ შემტევი **ბესიკ დეკანოიძე**, რომელიც ტრავმამ შეაწუხა.

ნაკრებშია „ვიტესის“ თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურიაც**, რომლის დისკვალიფიკაციამაც გაუგებრობა წარმოქმნა, თუმცა ის სანაკრებო ასპარეზზე არ გავრცელდა.

ლუქსემბურგის შემდეგ, 9 სექტემბერს, ჩვენი ახალგაზრდები სენეცში სლოვაკ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. სადღეისოდ, III ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა.

| III ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7-1 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ჩივაძე

## დუბლების ჩემპიონატი

### IV ტური

| | |
|---|---|
| დილა-მეტალურგი | 2:5 |
| გურია-დინამო | 1:3 |
| ზუგდიდი-სიონი | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 3:2 |
| ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 |
| სპარტაკი-ტორპედო | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 13-4 | 12 |
| 2. ზუგდიდი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-5 | 10 |
| 3. მეტალურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-8 | 9 |
| 4. მერანი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 6. დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 10-11 | 6 |
| 7. სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 8. ჩიხურა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 9. ტორპედო | 4 | 1 | 0 | 3 | 9-9 | 3 |
| 10. სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 11. ზესტაფონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 12. გურია | 4 | 0 | 0 | 4 | 3-11 | 0 |

ქართული ბიბლიოთეკა

რეაბილიტაცია

# გიორგი ონიანი გერმანიაში მიდის

**გიორგი ონიანი** დღემდე ვერ ვარჯიშობს. ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მცველი მალე გერმანიაში გაემგზავრება.

*„საოპერაციოდ ვემზადები. გერმანიაში წასვლას ამ თვეში ვაპირებ. თუმცა ახლა ყველა წვრილმანი არც ვიცი, დეტალებს იქ მეტყვიან. მთავარია, ოპერაციის შემდეგ მოედანს დავუბრუნდები. რაც შეეხება ფინანსებს, ამაში დახმარებას ქუთაისის „ტორპედო" შემპირდა",* - ამბობს ონიანი.

შეგახსენებთ, ქუთაისის „ტორპედოს" მცველი 10 აპრილს, ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" თამაშის დროს მძიმედ დაშავდა. საქართველოს თასის მეოთხედფინალურ მატჩში, ბოლნისის „სიონთან" შეხვედრისას, ონიანი მოედნის დამცავ ბადეს შეეჯახა. მას კისრის მე-4 და მე-5 მალების მოტეხილობა აღმოაჩნდა. კიდევ კარგი, ონიანს ზურგის ტვინი არ დაუზიანდა, ამიტომ, ყველაზე დიდი საფრთხე, რომ ფეხბურთს ველარ ითამაშებდა, გამოირიცხა.

ამ ამბების შემდეგ ონიანისა და ქუთაისის „ტორპედოს" გზები გაიყო, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მისი და ამ გუნდის კიდევ ერთი ყოფილი მოთამაშის, ასევე ტრავმირებული **ვალერი ბოლქვაძის** ოპერაციებს დააფინანსებდა, რადგან „ტორპედო" მათ წინაშე მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობდა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ონიანი

ლეგიონი



ბაჩანა არაბული

## არაბულმა ალკორკონში დებიუტი გოლით აღნიშნა

ესპანურ სეგუნდა დივიზიონის „ალკორკონში" იჯარით გადასულმა **ბაჩანა არაბულმა** პირველად ითამაშა ახალ გუნდში. ახლა საკლუბო დონეზე შესვენებაა, ამიტომაც „ალკორკონმა" და პრიმერა დივიზიონის „ხეტაფემ" „ტროფეო პუჩეროსთვის" იბრძოლეს.

მოულოდნელად „ალკორკონმა" 6:1 გაანადგურა მეტოქე: 27-ე წუთზე 19 წლის ქართველმა „ალკორკონის" ყვითელი მაისურით პირველი გოლი გაიტანა, მანამდე კი მისი ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი ექსლივერპულელმა **დანი პაჩეკომ** გოლად აქცია. არაბულმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა. „ალკორკონის" საიტის მტკიცებით, ქართველი ძალიან აქტიური იყო და მას კიდევ ერთხელ შეეძლო გოლის გატანა.

სხვათა შორის, ბაჩანა არაბული რატომღაც, „ბუჩანანად" მონათლეს ესპანელებმა.

## კვირკველია რუბინის ევროპალიგის განაცხადში არ შეიყვანეს

ყაზანის „რუბინმა" ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის განაცხადი შეიტანა - 24 კაციან სიაში, სამწუხაროდ, არ მოიძებნა **სოლომონ კვირკველიას** ადგილი. 24 ფეხბურთელიდან 7 მცველია, მაგრამ ამ შვიდეულში კვირკველია ვერ მოხვდა.

რუსეთის ჩემპიონატის ახალ სეზონში კვირკველიამ მხოლოდ 12 წუთი ითამაშა, ის 6-ჯერ იყო სათადარიგო. აღსანიშნავია, რომ ქართველს აღარ აქვს უფლება ეგრეთ წოდებულ B სიაში მოხვედრის, რადგან უკვე შეუსრულდა 21 წელი. B სიაში იმ ფეხბურთელთა შეყვანა შეუძლიათ, რომელთაც ჯერ 21 წელი არ შესრულებიათ და უკანასკნელი 2 სეზონი კლუბში დაყვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კრილიას მწვრთნელი: გრიგალავას წასვლამ დაგვასუსტა

**გია გრიგალავას** მახაჩყალის „ანჟიში" წასვლამ მის ყოფილ კლუბ სამარის „კრილია სოვეტოვს" დაცვაში პრობლემები შეუქმნა.

ეს „კრილიას" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ციკანკოვმა** რუსეთის პრემიერლიგის მე-7 ტურში, კრასნოდარის „ყუბანთან" საშინაო ფრის (0:0) შემდეგ განაცხადა:

*„მახაჩყალის „ანჟიში" ჩვენი ორი მცველი გადავიდა, ბენუა ანგბვა და გია გრიგალავა. ამან „ყუბანთან" მატჩის დროს სტრატეგიის შეცვლა გვაიძულა. მათმა წასვლამ დაცვა შეასუსტა. უპირველესად, უკანა ხაზის გაძლიერებას შევეცადეთ და ეს შეტევების შესუსტების ხარჯზე მოგვიხდა".*

## ლაშა დვალი ოპერაციას გადაურჩა

რიგის „სკონტოს" უნივერსალი (მარცხენა მცველიც, საყრდენი ნახევარმცველიც) **ლაშა დვალი** კიდევ 3 თვე ვერ ითამაშებს და, სამწუხაროდ, ახალგაზრდული ნაკრების უახლოეს თამაშებსაც გამოტოვებს. 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მცველი, რომელმაც ორჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, **ალექსანდრე ჩივაძემ** 14 აგვისტოს ლატვიასთან ამხანაგური შეხვედრისთვის გამოიძახა, მაგრამ შეკრებაზე ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა. მაშინ დვალმა გვითხრა, რომ სამკურნალოდ ისრაელში მიდიოდა, აღმოჩნდა, რომ ბავშვობის დროინდელმა ტრავმამ შეახსენა თავი და ვარჯიში აღარ შეეძლო.

*„ისრაელში ბოლო თაობის ტექნიკა აქვთ, გამოკვლევა ჩამიტარეს და ჩემი იმედიც გამართლდა - ოპერაცია არ დამჭირდა. თუმცა მოედანზე დასაბრუნებლად ჯერ კიდევ დრო მინდა. 3 თვის განმავლობაში წყლის პროცედურები და ფიზიოთერაპიის კურსები მექნება ჩასატარებელი, ვარჯიშს მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებ. თუმცა ეს მაინც ორგანიზმზეა დამოკიდებული",* - ამბობს დვალი.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

*მათე ვაწაძე*

# დანიელებმა ჩვენი უპირატესობა აღიარეს

**საფრანგეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა პარიზული მატჩიდან რამდენიმე დღეში მათე ვაწაძე დაშავდა. „ორჰუსის" თავდამსხმელი, „ნორდსიელანდთან" დანიური სუპერლიგის შეხვედრაში, მცველთან შეჯახების შედეგად 31-ე წუთზე შესაცვლელი გახდა. მათეს კოჭის მოტეხილობა დაუდგინდა, რის გამოც ხუთი თვე დაისვენა. და ეს იმ დროს, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების 24 წლის თავდამსხმელი ათამაშდა და თემურ ქეცბაიას გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც იმკვიდრებდა ადგილს.**

**ვანაძე მოედანს 27 აგვისტოს, დანიის თასზე მესამელიგელ „სტიერნენთან" გასვლით მატჩში (6:1) დაუბრუნდა და თავი დუბლითა და საგოლე გადაცემით გამოიჩინა. 3 სექტემბერს მათემ კვლავ ითამაშა და ამჯერადაც გაიტანა, ოლონდ - დუბლშემადგენლობაში. „ორჰუსის" რეზერვისტები „რანდერსთან" 1:2-ს აგებდნენ, როცა მათემ 56-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. საბოლოოდ, „ორჰუსის" დუბლებმა 4:3 გაიმარჯვეს. მათე ძირითადში იყო. ის 66-ე წუთზე შეცვალეს.**

**ვანაძეს დანიაში დავუკავშირდით...**

**- ამხელა პაუზის შემდეგ, პირველივე თამაშში დუბლი შეასრულეთ და საგოლე პასიც გამოგივიდათ. როგორც ჩანს, ფორმას იმაზე ადრე აღიდგენთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო...**

- მეც ამის იმედი მაქვს. მაგრამ მეორე ტაიმში დავიღალე და შემცვალეს. ჯერ 90 წუთის ჩასატარებლად მზად არ ვარ. კოჭის მოტეხილობა იოლი სამკურნალო არ არის, დრო სჭირდება, ტკივილებმა სრულად რომ გაგიაროს. ზოგჯერ ახლაც მაწუხებს. თან ფსიქოლოგიური მომენტიც არის, უკვე იმდენჯერ დავშავდი... თუმცა საშიში არაფერია, ტკივილი ნელ-ნელა გაქრება. სხვათა შორის, ფეხი თამაშის წინადღესაც ამტკივდა და ვიფიქრე, არ ვითამაშებ-მეთქი. მაგრამ მერე გამიარა. მთავარია, დაზიანებული ადგილი 100 პროცენტით აღდგა და პროგრესსაც ვგრძნობ: სამი თვის განმავლობაში მოძრაობა არ შემეძლო, მერე ვარჯიში დავიწყე, ოლონდ, თავიდან ფეხებში ძალა არ მქონდა... იმედია, წლის ბოლოს ფორმაში ვიქნები. არადა, „ნორდსიელანდის" მცველსაც ვერაფერს ვაბრალებ, თოვდა, ხელოვნურ საფარზე გავსრიალდი და კოჭზე ფეხი შემთხვევით დამაბიჯა.

**- დანიელებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა გორის „დილამ" ევროპა ლიგიდან მათი მეორე წარმომადგენელი, „ოლბორგიც" გამოაგდო?**

- „დილას" მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა და მეამაყება, რომ დაამარცხეს. უფრო მეტად დანიელების აღიარებამ გამახარა - ეტყობა, საქართველოს ლიგა ჩვენსაზე ძლიერიაო. ამაზე უკვე ღიად წერენ და ჩემი თანაგუნდელებიც ლაპარაკობენ. სულ ვეუბნებოდი, რომ საქართველოში ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს და იმ ფულით, თქვენ რომ გაქვთ, ბევრად ძლიერი ჩემპიონატი გვექნებოდა-მეთქი. ვამჩნევდი, თავიდან ჩემი არ სჯეროდათ და შარშან „ორჰუსთან" „დილას" მოგებასაც შემთხვევითობად მიიჩნევდნენ. მაგრამ ახლა „ოლბორგიც" რომ დაამარცხა, უკვე დამიჯერეს, ზედიზედ ორი შემთხვევითობა გამორიცხულია. ყველაზე მეტად ის გაუკვირდათ, რომ წელს „დილას" შემადგენლობა რადიკალურად შეიცვალა, რომ გორელებს ძალიან მწირი ბიუჯეტი ჰქონდათ და ამის მიუხედავად, ბევრად დიდი ბიუჯეტის მქონე „ოლბორგი" პირწმინდად დაამარცხეს. სხვათა შორის, დანიელები ვერც იჯერებენ, როცა ჩვენი გუნდების გაჭირვებაზე ვუყვები... ასეა თუ ისე, ამის შედეგია, რომ ჩვენი მთავარი მწვრთნელი პეტერ სორენსენი ქართველების ნიჭიერებაში დარწმუნდა - ვამჩნევ, დევდარიანის, სხირტლაძისა და ჩემ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაუჩნდა. გაგეცინებათ და, ადგილობრივებს ეუბნება, თქვენ ბევრი უნდა ირბინოთ, ქართველებმა კი იციან, რაც უნდა გააკეთონო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დანიელებისგან ამას მოვისმენდი.

> ჩვენი მწვრთნელი ადგილობრივ ფეხბურთელებს ეუბნება, თქვენ ბევრი უნდა ირბინოთ, ქართველებმა კი იციან, რაც უნდა გააკეთონო...

**- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთის პრობლემა მხოლოდ ფინანსური გაჭირვებაა?**

- არა, ეს ერთ-ერთი პრობლემაა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლო 20 წელიწადში ჩვენ მეორეხარისხოვანი ერის სინდრომი შეგვეყარა და ევროპელებთან პირველ ნომრად თამაში გვიჭირს, ზოგჯერ გვეშინია კიდეც.

**- გვეშინია?!**

- დიახ, გვეშინია. აბა, გაიხსენეთ, როცა ევროთასებზე თუნდაც მესამეხარისხოვანი ევროპული გუნდი შეგვხვდება, საქართველოში რა რეაქციაა?! იგივე „დილა" დანიელებს რომ ხვდებოდა, გარკვეული შიში გვქონდა. არადა, დანიელები ოცნებობდნენ ჩვენნაირ მოთამაშეებზე, მაგალითად - სალუქვაძისნაირ მცველზე, რომელიც „რუბინთან" ერთად „ბარსელონას" „კამპ ნოუზე" დამარცხებაში მონაწილეობდა. ამ გადასახედიდან ვამბობ - რა მოხდა მერე, რომ ევროპელები არიან, ჩვენ უფრო ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს. ეს არის ამოსავალი პრინციპი და არა ის, რომ დანია, რადგან ერთ დროს ევროპის ჩემპიონი გახდა, აუცილებლად ჩვენზე უკეთესი უნდა იყოს. მერწმუნეთ, ბევრად მეტი პოტენციალი გაგვაჩნია, ვიდრე დღეს ჩანს. ეგ არის, რომ არასრულფასოვნების კომპლექსი გვაწუხებს და ევროპელებთან „მეორე ნომრად" თავისუფლად ვთამაშობთ, „პირველ ნომრად" კი გვიჭირს.

**- მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე რას იტყვით?**

- მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვთამაშობთ, ფავორიტი მაინც საფრანგეთია. მათთან დაცვიდან თამაში ლოგიკური იქნება. თუმცა ბევრი მაყურებელი თუ მოვა, ვინ იცის, თამაში როგორ წარიმართება?! მაგრამ, როგორც ამბობენ, ბურთი მრგვალია და იმედია, ქულის მოპოვება შესაძლებელი იქნება... რაც შეეხება ფინეთთან მატჩს, სატურნირო მდგომარეობიდან და ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, პირველ ნომრად უნდა დავუხვდეთ, რადგან გამარჯვება ჰაერივით გვჭირდება. „ორჰუსში" ფინელი მცველი პეტრი პასანენი თამაშობს. ნაკრებში ძალიან ბევრი შეხვედრა ჩაუტარებია და დღევანდელ გუნდსაც ძალიან კარგად იცნობს. იცით, რა მითხრა? - ფინეთი სუსტი ნაკრებია და წესით, უნდა მოუგოთო. მეც მჯერა, რომ ასე იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**



● ივცნობდეთ...

# გაგურულებული კამერუნელი

## არნო ჩუენსუ: საქართველოს ნაკრებში? დავფიქრდებოდი!

ორშაბათს ლანჩხუთის „გურიამ" პატარა სენსაცია მოახდინა და მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამო" ნეიტრალურ მოედანზე დაამარცხა. „ლელოს" მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში „გურიის" ერთბაშად 5 მოთამაშე და მთავარი მწვრთნელი მოხვდნენ. გურულთა წარმატებაში დიდი წვლილი კლუბის ერთადერთ ლეგიონერს, არნო ჩუენსუს მიუძღვის, რომელიც, სხვათა შორის, „ლელოს" სიმბოლურში მეორედ მოხვდა. კამერუნელი „ჩელე-არენაზე" საუკეთესო იყო და, ზოგადადაც, ამ სეზონში „გურიის" რიგებში ყველაზე გამორჩეულია.

ჩუენსუს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აქვს კლუბის ქომაგებთან, ქალაქში მას ყველა ცნობს და ესალმება. ლანჩხუთელებმა არნოს გვარიც „შეუცვალეს" და სიყვარულით რაიონში ყველაზე მრავალრიცხოვან და მის გვართან შედარებით „დაახლოებულ" - „ჩხაიძედ" მოიხსენებენ. მოდით, ახლოს გავიცნოთ „გაგურულებული" კამერუნელი:

**- არნო, უპირველესად, გილოცავ კარგ თამაშს და სახელოვანი თბილისის „დინამოს" დამარცხებას...**

- ძალიან დიდი მადლობა, მართლაც კარგი თამაში გამოგვივიდა, ყველაფერი გავილეთ და სასიხარულოა, რომ წარმატებას მივაღწიეთ.

**- ასე კარგად როგორ საუბრობ ქართულად?**

- უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ვარ, თან ჭკვიანი ბიჭი ვარ (იცინის და თავზე იკიდებს ხელს - ავტ.) და როგორ ვერ ვისწავლიდი? გურული სიტყვებიც კი ვისწავლე (იღიმის).

**- როგორც ვიცი, საქართველოში ძმამ ჩამოგიყვანა...**

- კი, ჩემი ძმა ერიკ-რომეო ჩასემი „ზესტაფონში" იყო და მეც ამ გუნდში ვიყავი თავიდან, სამი თვე დავყავი ზესტაფონში, შემდეგ ერთი წელი „ნორჩ დინამოში" ვიყავი... უკვე წელიწად-ნახევარია, რაც „გურიაში" ვარ...

**- მოგწონს აქაურობა?**

- რომ არ მომწონდეს, ამდენ ხანს არ დავრჩებოდი, ხო? არც კონტრაქტს გავაგრძელებდი. „გურიაში" თამაში ძალიან კარგია, მაგარი გულშემატკივრები გვყავს და გვინდა, მათი იმედები გავამართლოთ.

**- კამერუნში დიდი ხანია არ ყოფილხარ. მიზეზი რა არის?**

- რაღაც პრობლემა შემექმნა საბუთებთან დაკავშირებით და ხომ იცი, აქ კლუბშიც პრობლემები იყო - არ ვიცოდი, ვინ იქნებოდა ხელმძღვანელობა, ამან დრო წაიღო და ამის გამო ვერ მოვახერხე. ახლა ვცდილობ, მოვაგვარო ეს საკითხი.

**- იქ სათამაშოდ დაბრუნებას ხომ არ აპირებ?**

- ვერ ვიტყვი, რა იქნება შემდეგში. ჩვენთან, კამერუნში 3-4 კარგი გუნდია, ძლიერი ჩემპიონატიცაა. 17 წლის ვიყავი, საქართველოში რომ წამოვედი, მეოთხე წელია აქ ვარ. მინდა, ჯერ აქ დავამტკიცო, რა შემიძლია, და შემდეგ კარგ კლუბში მოვხვდე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „გურიაში" ყოფნა არ მომწონს. ძალიან მიყვარს აქაურობა, მინდა „გურიასთან" ერთად წარმატებებს მივაღწიო. ყველა ფეხბურთელი ფიქრობს უფრო ძლიერ გუნდში გადასვლას და ეს შანსი აქ კარგი თამაშის გარეშე არ მომეცემა.

**- საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- ნორმალურია უმაღლესი ლიგა, რამდენიმე კარგი გუნდია. პირველ ლიგაშიც იყო დაძაბულობა, თუმცა იქ მხოლოდ 3-4 გუნდს თუ გამოარჩევდი.

**- ჯერ მხოლოდ ოთხი ტური ჩატარდა და ორჯერ სიმბოლურში მოხვდი, წაგებულ შეხვედრებშიც გამორჩეული იყავი. შენც ფიქრობ, რომ ძალიან მოუმატე?**

- არ ვიცი, ეს ჟურნალისტებმა უნდა თქვათ (იღიმება). მადლობა ყველას, ვინც ჩემს თამაშს დადებითად აფასებს, თუმცა ეს არ მომადუნებს - კიდევ უნდა მოვუმატო და დარწმუნებული ვარ, შემიძლია კიდეც.

**- „გურიის" შანსებს როგორ აფასებ?**

- ვფიქრობ, ექვსეულისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ორი თამაში წავაგეთ, თუმცა ამას არ ვიმსახურებდით. ამ ორიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა მოგვეგო. ამის შანსიც გვქონდა, მაგრამ არ გამოვიდა.

**- ლანჩხუთში თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

- ინტერნეტი მაქვს, ოჯახთან და მეგობრებთან ვსაუბრობ, თუ პაუზა გვაქვს, თბილისში მივდივარ მეგობრებთან.

**- „გურიაში" ვისთან მეგობრობ?**

- ყველასთან. საერთოდ, მეგობრული გუნდი გვყავს. მე განსაკუთრებით ახლოს ვარ ალეკო შენგელიასთან.

**- ქართულ საჭმელებს როგორ შეეგუე?**

- თითქმის ყველაფერი მომწონს, ძალიან კარგი სამზარეულო გაქვთ.

**- მაინც რომელს გამოარჩევ?**

- მწვადი მომწონს ძალიან, მაგარია...

**- ხაჭაპური, ხინკალი?**

- კი, ორივე. ხაჭაპური იმერული.

**- ქართველ გოგონას არ მოიყვანდი ცოლად?**

- ჯერ არ მყავს შეყვარებული და თუ ქართველი იქნება, არ არის პრობლემა, პირიქით (იცინის).

**- სად არის ახლა შენი ძმა?**

- კამერუნშია და იქ თამაშობს.

**- ლანჩხუთელ ქომაგებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს?**

- ისეთი სითბო ვიგრძენი მათგან, არ შეიძლება კარგი თამაშით არ გადავუხადო მადლობა. გურიაში მართლა ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს. ვიცი, რომ პატივს მცემენ და მეც ყველა ძალიან მიყვარს. „გურიას" საუკეთესო გულშემატკივარი ჰყავს!

**- არნო, ლანჩხუთელებმა გურულების სიაში უკვე ჩაგწერეს და გვარიც „მოგცეს", შემოთავაზების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებში თამაშს დათანხმდები?**

- თუ დამიძახებენ, ვნახოთ... ჯერ დამიძახონ და დავფიქრდები (იღიმის)...

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან



არნო ჩუენსუ „დინამოსთან" ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფოტო: fcdinamo.ge

# საქართველოს ჩემპიონატი
## პირველი ლიგა. განაცხადები

### A ზონა

#### კოლხეთი (ფოთი)

| | |
|---|---|
| ლაშა ძაგანია | 14.01.88 |
| ილია მაღრაძე | 01.01.92 |
| ომარ გოგონაია | 24.01.90 |
| პაატა ცხვიტარია | 17.09.89 |
| ალექსანდრე ქორჩილავა | 11.09.91 |
| გიორგი კილასონია | 21.05.86 |
| გიორგი კრასოვსკი | 20.12.79 |
| გიორგი ლემონჯავა | 25.11.90 |
| გია ჩადუნელი | 15.05.94 |
| ამირან წაბრია | 02.10.87 |
| დათა სიჭინავა | 21.03.89 |
| ლევან კაკულია | 28.05.92 |
| აკაკი ჯანელიძე | 23.09.91 |
| ლევან გულუა | 06.05.91 |
| ბექა ხოშტარია | 30.08.92 |
| ირაკლი მოისწრაფიშვილი | 11.05.91 |
| მამუკა ლორია | 19.02.92 |
| გიორგი ჭედია | 28.02.88 |
| ზვიად ძანთარია | 03.06.90 |
| აპოლონ სარსანია | 10.10.91 |
| კონსტანტინე ბარამიძე | 12.07.91 |
| მიხეილ რუსია | 07.07.91 |
| სულხან კახიძე | 18.01.94 |
| თემურ ბეჩეხია | 16.04.94 |
| ლაშა კუკავა | 12.01.92 |

მთავარი მწვრთნელი: ზაზა ინაშვილი
მწვრთნელი: ნუგზარ ცაავა
მეკარეების მწვრთნელი: ზვიად გვასალია

#### შუქურა (ქობულეთი)

| | |
|---|---|
| გიორგი ზოიძე | 03.02.93 |
| დავით გაბელია | 06.06.91 |
| ზურაბ მალანია | 07.10.96 |
| ავთანდილ ბრაჭული | 02.04.92 |
| ზაზა ტულუში | 08.07.92 |
| ირაკლი ტაკიძე | 02.01.92 |
| გიორგი გერმოზაშვილი | 24.06.91 |
| ვახტანგ ცენტერაძე | 07.10.91 |
| ლევან მახარაძე | 08.06.86 |
| ნოდარ მაჭავარიანი | 26.01.93 |
| მინდია ფუტკარაძე | 05.05.92 |
| მერაბ მამულაძე | 08.05.92 |
| მიხეილ კაკალაძე | 08.06.82 |
| გიორგი შერვაშიძე | 10.09.91 |
| თეიმურაზ კაკალაძე | 06.05.88 |
| გიორგი ჩელებაძე | 01.01.92 |
| არჩილ ბაჯელიძე | 07.04.86 |
| რობერტ ლოტე | 10.10.88 |
| ვლადიმერ შეროზია | 05.01.88 |

მთავარი მწვრთნელი: ასლან ბალაძე
მწვრთნელი: ავთანდილ ნამგალაძე

#### გაგრა

| | |
|---|---|
| გიორგი ბეგაშვილი | 12.02.91 |
| ლაშა კალანდაძე | 17.06.91 |
| ნიკა ჭკუასელი | 09.12.93 |
| ბენჟამენ ტეიდი | 05.05.94 |
| ირაკლი ფიფია | 28.11.93 |
| ნუგზარ ხოჯაშვილი | 21.08.93 |
| თამაზ ჟიშკარიანი | 13.03.93 |
| გუგა ფალავანდიშვილი | 14.08.93 |
| ზაურ ძარდავა | 11.10.93 |
| ბაქარ ძარდავა | 04.11.94 |
| ცოტნე ხარაბაძე | 16.05.93 |
| ჯონ ჯერემია | 02.09.93 |
| გიორგი გადრანი | 30.09.94 |
| აბამიომი ოვონიკოკო | 13.09.92 |
| გიგა ჯულელი | 08.11.91 |
| კონსტანტინე ზარნაძე | 19.02.93 |
| გიორგი დობორჯგინიძე | 08.06.94 |
| რატი ცაცკრიალაშვილი | 11.10.93 |
| ცოტნე მოსიაშვილი | 14.02.95 |
| რუსლან კაკუბავა | 11.04.95 |
| ავთანდილ მუსელიანი | 20.09.96 |
| თენგიზ ძერფელიძე | 20.09.95 |
| ივანე ჭაბუკიანი | 25.09.90 |
| არჩილ გომელაური | 24.05.92 |

მთავარი მწვრთნელი: ზვიად ჯელაძე
მწვრთნელები: თენგიზ სიჭინავა, დავით მამარდაშვილი, გაგა კირკიტაძე, შალვა ნადირაძე

#### დინამო 2 (თბილისი)

| | |
|---|---|
| თორნიკე ზარქუა | 01.09.90 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 10.05.93 |
| გიორგი გველესიანი | 05.05.91 |
| გიორგი პაპავა | 16.02.93 |
| ლაშა შინდაგორიძე | 30.01.93 |
| დავით ხოჭოლავა | 08.02.93 |
| ირაკლი ლექვთაძე | 30.08.91 |
| ბუბა რუხაძე | 22.01.93 |
| ბიძინა მახაროვლიძე | 1?.10.92 |
| ლაშა შერგელაშვილი | 17.01.92 |
| ვაჟა მათიაშვილი | 22.03894 |
| ვასიკო ბაჩიაშვილი | 04.11.92 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | 31.10.92 |
| შოთა გვაზავა | 26.10.92 |
| ნიკა დიასამიძე | 03.02.94 |
| ბექა მუმლაძე | 17.12.92 |
| გიორგი ოთარაშვილი | 12.12.90 |

მთავარი მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე
მწვრთნელები: კახა გოგოლაძე, გიორგი მაკასარაშვილი

#### მერცხალი (ოზურგეთი)

| | |
|---|---|
| ირაკლი მურუსიძე | 22.04.95 |
| სერგო გ. ჩიგოგიძე | 01.04.89 |
| სერგო ვ. ჩიგოგიძე | 28.01.88 |
| ჯემალ პაპავა | 04.02.93 |
| ირაკლი ბაჯელიძე | 07.07.93 |
| გიორგი გოგუაძე | 11.03.93 |
| მიხეილ ქოგულაძე | 07.09.74 |
| ნიკოლოზ ხინთიბიძე | 23.02.92 |
| გიგა ძარჩილაძე | 29.08.93 |
| გიგა გობრონიძე | 26.10.86 |
| ლევან ათუაშვილი | 10.10.90 |
| დავით სურგულაძე | 05.03.87 |
| ლაშა კოტრიკაძე | 30.04.93 |
| თემურ ჩხატარაშვილი | 16.02.88 |
| გოგიტა ხამაშურიძე | 07.02.84 |
| გიორგი მექვაბიშვილი | 27.02.92 |
| გიორგი ცერცვაძე | 11.07.94 |
| გიორგი გოგუა | 14.09.94 |
| ლაშა ესაძე | 08.02.94 |
| რომიკო ჭაფოძე | 26.03.96 |
| გიორგი მალაზონია | 18.08.91 |
| ირაკლი ღლონტი | 17.03.94 |

მთავარი მწვრთნელი: სოსო გაგუა
მწვრთნელები: ამირან ვანიძე, გოჩა წივწივაძე, კახა როხვაძე

#### ადელი (ბათუმი)

| | |
|---|---|
| გიორგი ზოიძე | 23.05.91 |
| დავით რუხაია | 25.10.93 |
| დავით ჯალაღანია | 02.12.91 |
| ბექა ხურციძე | 05.01.93 |
| ვაჟა ივანიაძე | 21.06.93 |
| დათო ძურიძე | 21.10.92 |
| ზაზა კონცელიძე | 03.07.93 |
| თამაზ გიორგაძე | 02.10.94 |
| გიორგი თურმანიძე | 01.01.94 |
| ლევან კარაკულიანი | 09.11.93 |
| ნუკრი წულუკიძე | 23.07.92 |
| თამაზ მჟავანაძე | 02.02.94 |
| გურამ სირაბიძე | 29.06.95 |
| ფოფანა მოროტიე | 23.02.89 |
| ზურაბ მჟავანაძე | 13.03.91 |
| ლევან ჯინჭარაძე | 02.05.90 |
| გიორგი ოქრუაშვილი | 14.02.89 |
| ნიკოლოზ ხორნაული | 14.10.95 |
| ლაშა ცხადაძე | 26.07.89 |
| თორნიკე ყურფანაშვილი | 16.08.94 |
| გიორგი ცაბუტაშვილი | 10.03.93 |
| ვალერი ტყეშუჩავა | 11.02.96 |
| კონსტანტინე ჩადუნელი | 19.12.88 |
| გიორგი ბერაძე | 23.11.92 |
| გიორგი ტყეშელაშვილი | 24.01.90 |
| ვილფრიდ ლერუა | 16.12.93 |
| ჰერკე ტურე | 31.05.90 |
| დავით ლოლობერიძე | 18.06.92 |

მწვრთნელ-კონსულტანტი: რევაზ ძოძუაშვილი
უფროსი მწვრთნელი: იოსებ ნასყაშვილი, ომარ ნაგერვაძე
მწვრთნელი: ინდიკო ტაბალუა

#### ჩხერიმელა (ხარაგაული)

| | |
|---|---|
| გიორგი ნიქაბაძე | 12.09.87 |
| მიხეილ ლომსაძე | 29.01.92 |
| ზურაბ ძურდობაძე | 31.05.91 |
| შოთა სვანიძე | 01.01.94 |
| ირაკლი ჩუბინიძე | 20.02.89 |
| თედორე ლურსმანაშვილი | 29.05.92 |
| ბერდია შარვაძე | 24.01.93 |
| ლაშა მჭედლიშვილი | 07.02.93 |
| გიორგი მეტრეველი | 05.09.92 |
| დაჩი კოსტავა | 01.09.86 |
| გიორგი ჯიმშელეიშვილი | 17.05.92 |
| იკონკვო ჩიკორგე | 18.10.88 |
| გივი ზაქარაშვილი | 08.03.90 |
| თორნიკე კიკნაძე | 17.07.92 |
| ირაკლი გვეტაძე | 05.12.87 |
| გიორგი თურმანიძე | 29.11.73 |
| ბექა ოკრიბელაშვილი | 28.10.94 |
| ვასილ აფციაური | 09.09.90 |
| გიორგი კიკნაძე | 22.09.91 |
| ენუქი აბაშიძე | 20.10.97 |
| გია ცუცქირიძე | 25.05.87 |

მთავარი მწვრთნელი: ემზარ ჯიმშელეიშვილი
მოთამაშე-მწვრთნელი: გიორგი თურმანიძე

#### ალგეთი (მარნეული)

| | |
|---|---|
| მალხაზ ძიძიგური | 18.04.85 |
| გოჩა ჭოველიძე | 12.09.88 |
| ილია ჯოჯიშვილი | 29.10.89 |
| ირაკლი ალასანია | 26.06.86 |
| გიორგი პატარძალიშვილი | 19.06.90 |
| მიხეილ მახათაძე | 11.01.91 |
| თორნიკე ბახტურიძე | 19.01.94 |
| ზურაბ ტიელიძე | 15.05.90 |
| შოთა ფილიევი | 17.01.92 |
| ლაშა ეზეიშვილი | 26.05.90 |
| რომან კიკალიშვილი | 18.03.90 |
| რევაზ კორღალიძე | 06.12.93 |
| თორნიკე მოსიაშვილი | 09.10.91 |
| ჯუმბერ სულაძველიძე | 29.06.92 |
| ბექა ლაბუჩიძე | 08.02.93 |
| გიორგი ჩიძოვანი | 23.11.84 |
| ბადრი ფოჩხუა | 24.11.92 |
| დემიკო როხვაძე | 26.01.92 |
| ემანუელ ტიფანიე | 19.03.91 |
| დონალდ არინზე | 15.06.94 |
| კალუ აგარა | 16.05.92 |

მთავარი მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი
მწვრთნელები: გოჩა ტოროშელიძე, გელა მენაბდე

#### მეშახტე (ტყიბული)

| | |
|---|---|
| ნიკოლოზ ხარაბაძე | 03.10.90 |
| გიორგი ფარფალია | 21.06.86 |
| თემურ სანიკიძე | 04.03.92 |
| ლაშა ჯანგიძე | 11.05.83 |
| დუშიკო მემარნიშვილი | 23.09.84 |
| დავით სოფრომაძე | 23.05.95 |
| ამირან სახელაშვილი | 11.07.94 |
| თორნიკე გოგიჩაძე | 28.01.95 |
| მიხეილ ჟღენტი | 24.06.85 |
| იორამ კუჭუხიძე | 28.06.85 |
| ივანე კილაძე | 01.10.89 |
| ირაკლი ჩაკვეტაძე | 02.02.88 |
| ოთარ გიორგობიანი | 31.01.91 |
| ალექსანდრე ძამაკაშვილი | 19.05.91 |
| ბაგრატ კოლუაშვილი | 30.07.93 |
| გიორგი გვენეტაძე | 09.08.91 |
| ბექა ჯიშიაშვილი | 18.08.92 |

მთავარი მწვრთნელი: დავით რუხაძე

#### სქური (წალენჯიხა)

| | |
|---|---|
| ნუკრი ჯოლოგუა | 25.05.87 |
| თეიმურაზ ფურთუხია | 23.09.84 |
| გიორგი სართანია | 21.12.90 |
| გოგა კვირკვია | 15.10.91 |
| ბექა ხოჯანაშვილი | 23.01.93 |
| არჩილ კალანდია | 14.06.90 |
| ლადო მორგოშია | 11.04.95 |
| დათო შონია | 21.07.95 |
| კობა სოსელია | 04.02.95 |
| ზაზა ღარიბაშვილი | 01.11.90 |
| გელა ჭკუასელი | 15.02.85 |
| ჯაბა ყურუა | 22.05.80 |
| ლევან ბოჯგუა | 07.08.87 |
| ირაკლი ძარდავა | 24.08.95 |
| ზურაბ ქვარცხავა | 20.10.93 |
| დათა რაფავა | 11.01.90 |
| ალექსანდრე მიქენაია | 03.10.90 |
| არსენა ყალიჩავა | 02.01.95 |
| ბექა სვანიძე | 27.06.89 |
| ტარიელ ხარჩილავა | 12.09.92 |
| ბეჟანა შამუგია | 02.09.95 |

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ციკოლია
მწვრთნელები: ნუგზარ ბოჯგუა, ლევან კვარაცხელია, თამაზ კვარაცხელია

#### იმერეთი (ხონი)

| | |
|---|---|
| სერგო მექველია | 30.09.90 |
| ვახტანგ ბრეგაძე | 21.04.87 |
| გიორგი ხელაძე | 29.03.91 |
| ლევან გაჩეჩილაძე | 20.09.93 |
| ანრი ტყეშელაშვილი | 22.01.93 |
| გიორგი მანაგაძე | 01.06.93 |
| გიორგი გოდერიძე | 04.01.89 |
| დათო კუხალაშვილი | 10.01.90 |
| დავით სულაბერიძე | 26.10.90 |
| თამაზ ბაბუნაშვილი | 13.04.92 |
| ნიკოლოზ ჩიხლაძე | 08.02.91 |
| გიგლა ბერძენაძე | 14.01.93 |
| დემურ ხაბურძანია | 28.01.89 |
| ზაულ სადილიანი | 17.03.94 |
| გურამ ხვიჩია | 15.05.93 |
| ბექა ჩხეტიანი | 15.08.89 |
| მათე აშვეთია | 01.07.94 |
| თორნიკე ვაშაკიძე | 26.08.95 |
| ჯემალ კილაძე | 03.02.95 |
| ლევან გაბუნია | 16.11.96 |
| სერგო ჯალაღანია | 30.01.96 |
| დათო მუკბანიანი | 11.07.95 |
| ლერი ტაბიძე | 17.04.95 |

მთავარი მწვრთნელი: დათო ჭელიძე
მწვრთნელები: გიგა ნიქაბაძე, აბესალომ პაპავა, ნუგზარ მოსეშვილი

#### საყოვნელა (თერჯოლა)

| | |
|---|---|
| ალექსანდრე გიორგაძე | 02.03.92 |
| ვაჟა კახეთელიძე | 03.10.91 |
| ანზორ ბუცხრიკიძე | 20.05.88 |
| ზურაბ ენდელაძე | 23.04.91 |
| მიხეილ კოპალიანი | 28.09.92 |
| ნიკა სირაძე | 02.11.90 |
| კობა რუხაძე | 08.06.89 |
| დავით ბაქრაძე | 06.06.79 |
| დავით ჩხიკვაძე | 27.11.86 |
| სანდრო შულაძე | 24.10.90 |
| ზურა აბულაძე | 20.03.94 |
| შალვა ცქიფურიშვილი | 15.01.92 |
| თორნიკე დარსაველიძე | 22.12.92 |
| დავით ხუჯაძე | 01.02.93 |
| ლევან შავგულიძე | 23.11.80 |
| კობა კუბლაშვილი | 04.01.87 |
| დიმა არეშიძე | 21.02.90 |
| იაკობ დეისაძე | 18.01.87 |
| იაგო დეისაძე | 10.02.88 |
| ირაკლი კახიძე | 11.05.85 |

მთავარი მწვრთნელი: მირიან გეწაძე
მწვრთნელები: მალხაზ ახვლედიანი, კალენიკე მორალიშვილი

#### კახეთი (თელავი)

| | |
|---|---|
| ხვიჩა დავითაშვილი | 04.02.94 |
| დომენტი ნატროშვილი | 17.06.90 |
| თორნიკე გურაშვილი | 04.04.92 |
| კახა ბაგალიშვილი | 01.01.93 |
| ლევან მაჭარაშვილი | 19.08.94 |
| ჯურხა ცისკარაული | 01.06.95 |
| გუგა დილმელაშვილი | 05.04.92 |
| გუგა ჩიტალაძე | 04.05.89 |
| გიორგი ნონიაშვილი | 12.07.91 |
| მამუკა ბელადიძე | 01.09.89 |
| გოჩა ლომიძე | 09.04.86 |
| გიგო აბულაშვილი | 11.09.91 |
| გიორგი მურველაშვილი | 23.08.88 |
| ივანე ხუციშვილი | 19.03.88 |
| ზვიად დარისპანაშვილი | 21.04.90 |
| ვეფხია მურადაშვილი | 10.03.92 |
| ალექსანდრე ნატროშვილი | 07.01.92 |
| ზურაბ პოპიაშვილი | 12.01.89 |
| ამირან ნატროშვილი | 10.06.90 |

მთავარი მწვრთნელი: როსტომ თორლაშვილი

ქართული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები. ისტორია, სტატისტიკა

# 100 ფუნტიდან 100 მილიონ ევრომდე

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ფეხბურთელი, რომელშიც ყველაზე მეტი გადაიხადეს

2 სექტემბერს, ზაფხულის სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს, გარეთ ბეილმა თავისი ხელმოწერა დასვა მადრიდის „რეალის" 6-წლიან კონტრაქტზე. თანხა ოფიციალურად არ გახმაურებულა და არც გახმაურდება, თუმცა ევროპელ ჟურნალისტთა უმეტესობა ასახელებს 100 მილიონ ევროს, სამნიშნა რიცხვი მილიონებში პირველად გადაიხადეს ფეხბურთელის სანაცვლოდ, ეს კი ახალი ერის დასაწყისია...


ვილი გრუვსი, კაცი, რომელშიც 100 ფუნტი გადაიხადეს და ეს მსოფლიოს რეკორდი იყო

### არის რეკორდი თუ არ არის

ბრიტანული წყაროების უმეტესობა (BBC, „სქაი სპორტსი", „დეილი მეილი" და სხვა) შეთანხმდა - „რეალმა" „ტოტენჰემს" **გარეთ ბეილში** არც მეტი, არც ნაკლები, 100 მილიონი ევრო გადაუხადა და ამით თავისივე რეკორდი (2009 წელს **კრიშტიანო რონალდო** „მანჩესტერ იუნაიტედისგან" 94 მილიონად იყიდა) დაამხო. აი, ესპანეთში კი აზრთა სხვადასხვაობაა - განსხვავებული აზრით („მარკა"), 24 წლის უელსელში 91 მილიონია გადახდილი, შესაბამისად, რეკორდი არ დამყარებულა.

ესპანეთში ხუმრობენ, რეკორდს კრიშტიანო რონალდოს უმალავენ, არ დაიბოლმოსო. სხვათა შორის, სერიოზული ვერსიაც რონალდოს რეკორდთან არის დაკავშირებული - **ფლორენტინო პერესის** მისია სწორედ ის ყოფილა, „ტოტენჰემი" როგორმე 94 მილიონ ევროზე ნაკლებზე დაეთანხმებინა.

თუმცა ევროპელ ჟურნალისტთა უმეტესობის აზრს ვენდოთ და მსოფლიოს რეკორდი „ვალიაროთ".

### სამეფო კლუბის საუკუნე

რონალდოს რეკორდმა 4 წელიწადი გაძლო, მანამდეც „რეალის" იყო მსოფლიოს რეკორდი - 8 წლის განმავლობაში მსოფლიოს უძვირფასეს შენაძენად **ზინედინ ზიდანი** იყო მიჩნეული. ზიდანის რეკორდი **კაკამ** მოხსნა, თუმცა რამდენიმე დღით, შემდეგ კი „სამეფო კლუბში" რონალდო მივიდა. მოკლედ, 21-ე საუკუნეში „სამეფო კლუბი" არავის უთმობს მსოფლიოს რეკორდებს.

აი, წინა საუკუნეებში კი...

### პირველი ტრანსფერები, პირველი რეკორდები

მართლაც საინტერესოა, როგორ დაიწყო სატრანსფერო ამბები ფეხბურთში. სპორტის ამ სახეობის სამშობლო ინგლისია და ტრანსფერიც, ბუნებრივია, იქ „დაიბადა".

1885 წლამდე ფეხბურთი სამოყვარულო იყო და ვისაც სად უნდოდა, იქ თამაშობდა, შეეძლო 1-2 თამაში სხვა კლუბშიც გაემართა. მოკლედ, ამ მხრივ სრული ქაოსი იყო. შემდეგ კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, მოთამაშეთა რეგისტრაციის შემოღება. კლუბს სეზონისთვის უნდა დაერეგისტრირებინა ფეხბურთელი, რომელიც იმ სეზონში სხვაგან ვერ ითამაშებდა, მაგრამ სეზონის შემდეგ მას თავისუფლად შეეძლო წასვლა.

სატრანსფერო სისტემა დაახლოებით 1912 წელს ჩამოყალიბდა, რათა შედარებით ღარიბი კლუბები დაეცვათ მდიდრების შემოტევებისგან. ეს სისტემა ძირეულად მხოლოდ „ბოსმანის საქმის" შემდეგ შეიცვალა.

პირველი ფეხბურთელი, ვის ტრანსფერზეც უტყუარი ცნობები მოგვეპოვება, შოტლანდიელი **ვილი გრუვსი** იყო. გრუვსი პირველი ფეხბურთელია, რომელშიც 100 ფუნტზე ოდნავ მეტი გადაიხადეს. ეს ტრანსფერი „ასტონ ვილამ" 1893 წელს განახორციელა. დიახ, იყო დრო, როცა მსოფლიოს რეკორდი სულ რაღაც 100 ფუნტი იყო.

ფუნტებში (მაშინ ევრო არ არსებობდა) პირველი ფეხბურთელი, რომლის ტრანსფერმაც მილიონს გადააბიჯა, იყო იტალიელი **ჯუზეპე სავოლდი**, რომელშიც „ნაპოლიმ" 1,2 მილიონი ფუნტი გადაიხადა. ეს იყო 1975 წელს, სავოლდიმ **იოჰან კრუიფის** რეკორდი მოხსნა („აიაქსიდან" „ბარსელონაში" 922 ათასი ფუნტი).

### 2013 წლის ციებ-ცხელება

წლეულს მხოლოდ მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა, სატრანსფერო ბაზარზე აშკარა გამოცოცხლება იგრძნობოდა, დაახლოებით ისეთი, როგორიც 2009 წელს. ოთხი წლის პაუზის შემდეგ, საფეხბურთო სამყაროში დიდი ცვლილებების დრო დადგა და ამას მალე დავინახავთ ახალი საფეხბურთო სეზონის მიმდინარეობისას.

ფეხბურთის ისტორიაში ტოპ-10 ტრანსფერების სიაში 4 წლევანდელ სატრანსფერო სეზონზე მოდის (ბეილი, **კავანი, ფალკაო, ნეიმარი**).



გარეთ ბეილი, მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი

### იცით, თუ არა, რომ...

■ ყველაზე ძვირი აფრიკელ ფეხბურთელში 2004 წელს გადაიხადეს, როცა „მარსელმა" „ჩელსის" **დიდიე დროგბა** 36 მილიონ ევროდ მიჰყიდა. კოტდიუვარელის ტრანსფერი მხოლოდ 46-ე ადგილზეა.

■ **რიო ფერდინანდის** შემდეგ ყველაზე ძვირად ინგლისელ ფეხბურთელებში, ბედის ირონიით, **ენდი კეროლი** იყიდეს, რომლის მოშორებაც შემდგომ „ლივერპულს" ძალიან გაუჭირდა. ინგლისელთა სიაში მხოლოდ მე-3 ადგილზეა **დევიდ ბექჰემი**, რომელიც „რეალში" 37,5 მილიონ ევროდ გადავიდა.

■ ყოფილი საბჭოეთის ყველაზე ძვირი ტრანსფერი უკრაინელი **ანდრი შევჩენკოს** ტრანსფერია „მილანიდან" „ჩელსიში".

■ ყველაზე მეტი მწვრთნელის ტრანსფერში „ჩელსიმ" გადაიხადა - 2011 წელს **ანდრე ვილაშ-ბოაშისთვის** ლონდონურმა კლუბმა „პორტუს" 15 მილიონი ევრო გადაურიცხა. შემდეგ მოდიან **ჟოზე მოურინიო** (რეალში) და **ფაბიო კაპელო** (რეალში).

■ ზინედინ ზიდანი 8 წლის განმავლობაში იყო მსოფლიოს რეკორდსმენი, სანამ მას ჯერ კაკამ, რამდენიმე დღეში კი კრიშტიანო რონალდომ არ აჯობა.

■ ყველაზე დიდხანს რეკორდული არგენტინელი **ბერნაბე ფერეირას** ტრანსფერი იყო „ტიგრედან" „რივერ პლეიტში".


დრო როგორ შეცვლილა! - ომარ სივორი 1957 წელს „რივერ პლეიტიდან" „იუვენტუსში" 93 ათას ფუნტ სტერლინგად გადავიდა.

1932 წელს მასში დაახლოებით 23 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადეს. ფერეირას რეკორდი მოიხსნა მხოლოდ 1949, როცა ინგლისელი **ჯონი მორისი** „დერბი ქაუნთიმ" 24 ათას ფუნტად იყიდა.

■ კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტი **ზლატან იბრაჰიმოვიჩში** გადაიხადეს, შემდეგ მოდის რადამელ ფალკაო, გარეთ ბეილი, კრიშტიანო რონალდო და **ნიკოლა ანელკა**.

■ კოლუმბიელი რადამელ ფალკაო ტოპ-30-ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც სიაში 2-ჯერ მოხვდა. 2011 წელს ის „ატლეტიკომ" 47 მილიონად იყიდა და 2013-ში 60 მილიონად გაყიდა. ჯამში ფალკაო 4-ჯერ გაიყიდა და მის სანაცვლოდ 111 მილიონი ევრო გადაიხადეს. შედარებისთვის, კრიშტიანო რონალდოში ჯამში 109 მილიონია გადახდილი

■ ყველაზე სარფიანად, რა თქმა უნდა, „ტოტენჰემმა" გაყიდა - გარეთ ბეილი ლონდონურ კლუბს დაახლოებით 10 მილიონი ევრო დაუჯდა. გარდა იმისა, რომ უელსელმა 6 სეზონი შეალია „ტოტენჰემს" ის ათმაგ ფასშიც გაიყიდა და 90 მილიონი ევრო სუფთა მოგება დატოვა.

**TOP 30 ქვირადღირებული ტრანსფერი**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა | წელი |
|---|---|---|---|---|
| 1. გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | რეალი | 100 | 2013 |
| 2. კრიშტიანო რონალდო | მანჩესტერი | რეალი | 94 | 2009 |
| 3. ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | რეალი | 75 | 2001 |
| 4. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | ბარსელონა | 69 | 2009 |
| 5. კაკა | მილანი | რეალი | 68 | 2009 |
| 6. ედინსონ კავანი | ნაპოლი | პსჟ | 64 | 2013 |
| 7. ლუიშ ფიგუ | ბარსელონა | რეალი | 62 | 2000 |
| 8. რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | მონაკო | 60 | 2013 |
| 9. ფერნანდო ტორესი | ლივერპული | ჩელსი | 58 | 2011 |
| 10. ნეიმარი | სანტოსი | ბარსელონა | 57 | 2013 |
| 11. ერნან კრესპო | პარმა | ლაციო | 56,5 | 2000 |
| 12. კარლოს ტევესი | მან. იუნ. | მან. სიტი | 53 | 2009 |
| 13. მესუთ იოზილი | რეალი | არსენალი | 50 | 2013 |
| 14. გაისკა მენდიეტა | ვალენსია | ლაციო | 48 | 2001 |
| 15. რადამელ ფალკაო | პორტუ | ატლეტიკო | 47 | 2011 |
| 16. ჰალკი | პორტუ | ზენიტი | 45 | 2012 |
| 17. ჰამეს როდრიგესი | პორტუ | მონაკო | 45 | 2013 |
| 18. კრისტიან ვიერი | ლაციო | ინტერი | 45 | 1999 |
| 19. ჯანლუიჯი ბუფონი | პარმა | იუვენტუსი | 45 | 2001 |
| 20. რონალდო | ინტერი | რეალი | 45 | 2002 |
| 21. სერხიო აგუერო | ატლეტიკო | მან. სიტი | 45 | 2011 |
| 22. რიო ფერდინანდი | ლიდსი | მან. იუნ. | 44,8 | 2002 |
| 23. ლუკას მოურა | სან პაულო | პსჟ | 44,3 | 2012 |
| 24. ანდრი შევჩენკო | მილანი | ჩელსი | 43,9 | 2006 |
| 25. ხუან ს. ვერონი | ლაციო | მან. იუნ. | 42,6 | 2001 |
| 26. რობინიო | რეალი | მან. სიტი | 42,5 | 2008 |
| 27. ტიაგო სილვა | მილანი | პსჟ | 42 | 2012 |
| 28. პაველ ნედვედი | ლაციო | იუვენტუსი | 41 | 2001 |
| 29. ენდი კეროლი | ნიუკასლი | ლივერპული | 41 | 2011 |
| 30. მარკ ოვერმარსი | არსენალი | ბარსელონა | 40,6 | 2000 |
| ...31. ფერნანდინიო | შახტარი | მან. სიტი | 40 | 2013 |
| ...37. გონსალო იგუაინი | რეალი | ნაპოლი | 39 | 2013 |
| ...38. ასიერ ილიარამენდი | სოსიედადი | რეალი | 39 | 2013 |
| ...45. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | ბაიერნი | 37 | 2013 |

*შენიშვნა: 2013 წლის ტრანსფერებში მე-11-15 ადგილებზე გავიდნენ: **მარკინიოსი, მარუან ფელაინი, ისკო, ერიკ ლამელა, რობერტო სოლდადო** (35-30 მილიონი ევრო)*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ზინედინ ზიდანის პრეზენტაცია



კრიშტიანო რონალდოს კიდევ აქვს იმედი, რომ მისი რეკორდი არ მოუხსნიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. მასიმო მორატი

# მაცარი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს

## თურმე მორატი კაკას ტრანსფერზე მუშაობდა



**მიუხედავად** იმისა, რომ სერია A-ს 2013-14 წლების გათამაშება სულ ორი ტურია, რაც დაიწყო, უკვე შეგვიძლია გარკვეულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება... მაგალითად, ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „ინტერის" წარმატებული სტარტი, რომელმაც ორიდან ორივე თამაში მოიგო. აქ არა იმდენად ორი მატჩის მოგებასა და ექვსი ქულის დაგროვებაზე, რამდენადაც თამაშის მაღალ ხარისხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება - მოკლედ, „ნერაძურიმ" ცოტა გაგვაკვირვა და ექსპერტთა დიდი ნაწილი უკვე ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას ელოდება. ამ ყველაფერზე „გაძეტა დელო სპორტი" კლუბის პრეზიდენტს, მასიმო მორატის ესაუბრა...

**- თქვენთვის თუ იყო მოულოდნელი ასეთი წარმატებული სტარტი?**

- სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ გუნდი ასე მალე ითამაშებდა გამართულ ფეხბურთს. ფაქტია, რომ ვალტერ მაცარიმ საწვრთნელი პერიოდი იდეალურად გამოიყენა, რის შედეგსაც უკვე ვხედავთ. აქ საქმე იმდენად ქულებში არაა, რამდენადაც თამაშის ხარისხში; ჩვენ ორივე მეტოქე პირწმინდად დავჯაბნეთ და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ყველამ კარგად იცით, თუ რა ძნელია „კატანიასთან" სიცილიაზე მოგება, ჩვენ კი მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გავუტანეთ. ერთი სიტყვით, „ინტერის" თამაშით სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ.

**- და როგორც ჩანს, ამ ყველაფერში „მთავარ დამნაშავედ" ვალტერ მაცარის მიიჩნევთ...**

- დარწმუნებული ვარ, რომ ვალტერ მაცარი „ინტერისთვის" იდეალური მწვრთნელია. ჩვენ შეგვეძლო უფრო ამბიციური, სახელიანი სპეციალისტი მოგვეწვია, მაგრამ არჩევანი იმაზე შევაჩერეთ, ვინც ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. მაცარისთან პირველივე შეხვედრისას მივხვდი, რომ საქმეს იდეალურად წარუძღვებოდა. ვალტერს უჩვეულო უნარი აქვს ენერგიით და ოპტიმიზმით აგავსოს, რაც გუნდს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ახალმა მწვრთნელმა საკუთარი თავის რწმენა განგვიმტკიცა, დანარჩენს კი დრო მოიტანს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაცარის ბოლომდე ვენდობი.

**- მაინც რა არის მაცარის მთავარი იარაღი?**

- როგორც აღვნიშნე, ვალტერ მაცარი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. მას უყვარს მოსმენა, განსაკუთრებით ფეხბურთელების და ეს მთავარ პლუსად მიმაჩნია. ვალტერის ვარჯიშებს ყურადღებით ვადევნებ თვალს, არადა, საწვრთნელ ბაზაზე აქამდე იშვიათად დავდიოდი. მაცარი არ მიიჩნევს, რომ ყველაფერი იცის და ყველაფერი მისი გადასაწყვეტია, ეს მისი მთავარი პლუსია.

> ეტოოს ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებაც კი არ წამოგვიწყია და არ მესმის, საიდან გავრცელდა ეს ცნობები

**- ანუ, ის მზადაა ნებისმიერი ადამიანის რჩევა გაითვალისწინოს, მათ შორის თქვენი...**

- არ იფიქროთ, მწვრთნელის კომპეტენციაში ვიჭრებოდე და მაცარისთან ურთიერთობა ამიტომ იყოს ჩემთვის კომფორტული. წლებია „ინტერის" პრეზიდენტი ვარ და მწვრთნელის საქმეში ჯერ არ ჩავრეულვარ. მაცარი თავმდაბალი და შრომისმოყვარე ადამიანია, რაც არ შეიძლება არ გხიბლავდეს.

**- კი, მაგრამ თქვენ დღემდე დიდი სიყვარულით იხსენებთ ზეამბიციურ ჟოზე მოურინიოს...**

- ჟოზე მართლაც განსაკუთრებული ადამიანია და მას ყველაფერი ეპატიება. მოურინიოს უხდება კიდეც ამბიციურობა და ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს. თუმცა, ყველა ჟოზე ვერ იქნება და ყოველთვის მიკვირდა იმ ხალხის, ვისაც უსაფუძვლო ამბიცია ამოძრავებს. საქმე გვაჩვენებს ყველაფერს და დარწმუნებული ვარ, მაცარი „ინტერშიც" ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც „ნაპოლიში" გახლდათ.

**- რა სატრანსფერო პოლიტიკა აქვს „ინტერს", რით ახსნით ასეთ პასიურობას?**

- რა მიზნებიც გვქონდა სატრანსფერო ფანჯრის წინ, ყველა შევასრულეთ და მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ და აქცენტიც ახალგაზრდებზე გვაქვს გადატანილი. შეტევაში ისაკ ბელფოდილი და მაურო იკარდი დავიმატეთ, რომლებიც მომავალში დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. მჯერა ჩვენი არჩეული გეზის და ვიცი, რომ წარმატება არ დაახანებს. შესაძლოა, გულშემატკივრები სუპერვარსკვლავებს ელოდნენ, მაგრამ ათეულობით მილიონის ხარჯვა ნამდვილად არ იქნებოდა გამართლებული.

**- გულშემატკივართა ბოლო იმედი სამუელ ეტოოს ტრანსფერი იყო...**

- არა, ეტოოს ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებაც კი არ წამოგვიწყია და არ მესმის, საიდან გავრცელდა ეს ცნობები. სამუელმა „ინტერის" ისტორიაში დაიმკვიდრა ადგილი და ის მუდამ ჩვენს გულებში იქნება, მაგრამ როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, „ინტერში" გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს. თუმცა, იყო ერთი გამოცდილი მოთამაშე, რომლის ტრანსფერზეც ვმუშაობდით...

**- ვის გულისხმობთ?**

- რიკარდო კაკას, რომელიც საბოლოოდ „მილანში" გადაბარგდა. ბრაზილიელი შემტევის თამაში ძალიან მომწონს და სიამოვნებით ვიხილავდი მას შავ-ლურჯი მაისურით. თავიდანვე მცირე იყო იმის შანსი, რომ კაკას „ინტერში" გადმოსვლაზე დავიყოლიებდით, რადგან საუკეთესო წლები „მილანში" აქვს გატარებული. მილანურ გრანდებს შორის ფეხბურთელთა გაცვლა არცთუ იშვიათი ამბავია, მაგრამ კაკა მაინც ნამეტანი იქნებოდა. მესმის რიკის და მას წარმატებებს ვუსურვებ. მიხარია, რომ კაკა იტალიაში ითამაშებს, მისი კალიბრის ვარსკვლავები ჩვენს ჩემპიონატს ძალიან სჭირდება.

**- და მაინც, რა შეუძლია მიმდინარე სეზონში „ინტერს"?**

- რთული სათქმელია და მოდი, პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. როგორც გითხარით, ჩემთვის „ინტერის" წარმატებული სტარტიც მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა, რადგან მოსამზადებელ ციკლში გუნდი შორს იყო ოპტიმალური ფორმისგან. გამომდინარე აქედან, დღეს გაცილებით ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვიდრე თუნდაც გუშინ ვიყავი, მაგრამ პროგნოზებს მაინც მოვერიდები. ვფიქრობ, „ინტერს" შესწევს იმის ძალა, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს.

● მილანი

# ნიანგი ლიგის მიღმა

## ალეგრი სკუადრა აძურაზე ოცნებობს

**იტალიური** სპორტული პრესა მოიცავა ინფორმაციამ „მილანის" მესვეურთა შეცდომის შესახებ, რომლის გამოც 18 წლის შემტევი **მბაიე ნიანგი** ჩემპიონთა ლიგის განაცხადს მიღმა დარჩა. ლომბარდიელებს შეეძლოთ, **სტეფან ელ შაარავი** B განაცხადში შეეყვანათ და ამ გზით, მბაიესთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ეს ნიუანსი მხედველობიდან გამორჩათ და ახალგაზრდა ფრანგი ოფსაიდში დატოვეს. აქვე ვთქვათ, რომ B განაცხადში 1992 წელს დაბადებულებს აქვთ მოხვედრის უფლება, რომლებიც კლუბში მინიმუმ ორი სეზონი ასპარეზობენ - ანუ, ელ შაარავის მთავარ განაცხადში შეყვანის აუცილებლობა არ იდგა და ის თავისუფლად შეეძლოთ, სარეზერვო სიაში შეეყვანათ. შეცდომაზე მთელი პასუხისმგებლობა ერთ-ერთმა დირექტორმა **უმბერტო განდინიმ** აიღო და ყველას მოუბოდიშა, ვისაც ნიანგის განაცხადს მიღმა დარჩენამ გული დასწყვიტა. ბოლოს, დავძინოთ, რომ მილანელებს შეცდომის გამოსწორების საშუალება იანვარში ექნებათ.

ამასობაში, „მილანის" მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** ჟურნალისტებს გაესაუბრა... მისი თქმით, ამჟამინდელი სამსახურით ძალიან კმაყოფილია და უახლოესი წლების განმავლობაში, ადგილის შეცვლას არ ეშურება. აი, შემდეგ კი იტალიის ეროვნული ნაკრების გაწვრთნა სურს:

*„ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, პსვ-სთან მატჩის წინ ვთქვი, რომ ხვალიდან შესაძლოა „მილანის" მთავარი მწვრთნელი აღარ ვყოფილიყავი. ეს უფრო ხუმრობით ნათქვამი ფრაზა იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, როდესაც წინ უმნიშვნელოვანესი მატჩი გელოდება, რომელზეც მთელი სეზონია დამოკიდებული. საბედნიეროდ, მოვიგეთ და მე ისევ „როსონერის" მთავარი მწვრთნელი ვარ. სიმართლე გითხრათ, აქედან წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს და მსურს, „მილანელოზე" კიდევ 10 წელი მაინც გავჩერდე".*

შორეულ გეგმებზე ალეგრიმ შემდეგი განაცხადა: *„რა იქნება შორეულ მომავალში და კიდევ რომელი კლუბის გაწვრთნას ვისურვებდი? - ისეთ გუნდში ვმუშაობ, რომ ამაზე მაღლა ასვლა საკლუბო დონეზე წარმოუდგენელია. ჩემი ოცნება იტალიის ეროვნული ნაკრების გაწვრთნაა და იმედია, ეს დღეც დადგება. ვფიქრობ, ყველა მწვრთნელი ოცნებობს საკუთარი ნაკრების მესაჭეობაზე და გამონაკლისი არც მე ვარ. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე, ჩემი იტალიის ნაკრებში დანიშვნა გამორიცხულია - ერთი, რომ „მილანიდან" აბარგებას არ ვაპირებ და მეორე, „სკუადრა აძურას" დიდებული მწვრთნელი ჰყავს".*



„მილანის" მესვეურთა შეცდომის გამო, მბაიე ნიანგი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ ითამაშებს

● პოზიცია



მარეკ ჰამშიკის რეკორდი სეზონში 12 გოლია (2009-2010)

# ჰამშიკი: ბენიტესმა 15 გოლი მთხოვა

**სერია** A-ს ახალი გათამაშების სტარტზე, „ნაპოლის" 26 წლის შემტევი ნახევარმცველი **მარეკ ჰამშიკი** ბრწყინვალედ წარმოჩნდა, ორ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას ჩაუდგა სათავეში. სლოვაკის რეკორდი სეზონში 12 გოლია და დიდი ალბათობით, ეს რეკორდი მიმდინარე სეზონში გაუმჯობესდება. მარეკს ჟურნალისტებმა სულაც ბომბარდირობაზე ჩამოუგდეს სიტყვა, რისგანაც თავი შორს დაიჭირა:

*„რაფაელ ბენიტესმა სეზონში 15 გოლის გატანა მთხოვა და მჯერა, რომ ამ მიზნის მიღწევა შემიძლია. რაც შეეხება ბომბარდირობას, თქვენ ალბათ ხუმრობთ, რადგან იტალიის ჩემპიონატში ექსტრაკლასის ფორვარდები ასპარეზობენ. სულ მალე, თავდამსხმელები წინ გაიჭრებიან, მე კი ვეცდები, რომ მათ ძალიან არ ჩამოვრჩე. სეზონის სტარტზე, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემს გოლებზე გაცილებით მნიშვნელოვანი გუნდის შედეგებია".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ანჩელოტი: ცუდი პერიოდი უკან დარჩა

**კარლო ანჩელოტის** **გარეთ ბეილთან** გასაუბრების შანსი ორშაბათს ორჯერ მიეცა - პრეზენტაციამდე და პრეზენტაციის შემდეგ. იტალიელმა სპეციალისტმა „რეალის“ ახალწვეული გაამხნევა და ბევრი მუშაობისკენ მოუწოდა. სატრანსფერო საგის გამო, ბეილს მოსამზადებელ ეტაპზე „ტოტენჰემთან“ ერთად ნორმალურად არ უვარჯიშია და გასაგებია, რომ საუკეთესო კონდიციებში არ იმყოფება.

*„ცუდი პერიოდი უკან დარჩა. ახლა მისთვის და ჩვენი კლუბისთვის ახალი ეპოქა იწყება, რომელიც აუცილებლად წარმატებული იქნება,“* - განაცხადა ანჩელოტიმ.

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ბეილი ხარივით ჯანმრთელია, თუმცა ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორ მოახერხებს უელსელი იმ უდიდეს ზეწოლასთან გამკლავებას, რომელიც მასზე იქნება. ცნობილია, რომ როგორც სხვა ახალწვეულების შემთვევაში, ამჯერადაც საქმეში **ზინედინ ზიდანი** ჩაერთვება. კარლოს ასისტენტი „სამეფო კლუბის“ სხვა მოთამაშეებსაც დაეხმარა, თუმცა ყველას კარგად ესმის, რომ ბეილი არც **ისკოა**, არც **ილიარამენდი**, **კარვახალი** თუ **კაზემირუ** - უელსელში 100 მილიონი ევრო გადაიხადეს, ის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელია და გულშემატკივრები თუ სპეციალისტები მის მიმართ გაცილებით ნაკლებად მომთმენნი იქნებიან.

ანჩელოტის და 24 წლის ფეხბურთელის გასაუბრება მადრიდელთა ახალწვეულისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გარდა იმისა, რომ მთავარმა მწვრთნელმა კლუბში მისვლა მიულოცა, ანჩელოტიმ მოთამაშის მიმართ მხარდაჭერა და ნდობა გამოხატა, რაც ახლა უელსელს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

**ტატო ბაციკაძე**



გარეთ ბეილი მწვრთნელს უკვე ორჯერ ესაუბრა

ბუცები ლურსმანზე

# ჰიტცლშპერგერმა კარიერა დაამთავრა

## არადა, თომასი ჯერ მხოლოდ 31 წლისაა

გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **თომას ჰიტცლშპერგერი** იძულებული გახდა, 31 წლის ასაკში აქტიური სპორტული კარიერა დაესრულებინა. ცენტრალური ნახევარმცველი, რომელსაც უძლიერესი დარტყმა აქვს, ტრავმებმა გატანჯეს.

*„რამდენიმე დღეა, ექიმებმა საბოლოოდ დამარწმუნეს იმაში, რომ კარიერა უნდა დავასრულო,“* - უთხრა ჰიტცლშპერგერმა „ზუდდოიჩე ცაითუნგს“.

ჰიტცლშპერგერი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 52 მატჩი აქვს ჩატარებული (8 გოლი, ბოლო მატჩი 2010 წლის აგვისტოში, დანიასთან), 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობდა და ბუნდესგუნდთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა, 2008 წელს კი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. თომასი ივლისამდე ინლისურ „ევერტონში“ ირიცხებოდა, სადაც კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს. საკლუბო დონეზე მისი უდიდესი წარმატება 2007 წელს „შტუტგარტთან“ ერთად მოპოვებული გერმანიის ჩემპიონობაა.

**გოტფრიდ ლენცი**



თომას ჰიტცლშპერგერი

ამბები



პაულო ბენტუს საკადრო პრობლემები აწუხებს

# პორტუგალიაში ცვლილებებია

პორტუგალიის ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდში მიიწვია ფორვარდი **ნელსონ ოლივეირა** და სამი დებიუტანტი, **ადრიენ სილვა**, **ლიკა** და **ანტონი ლოპეში**, ბოლო დროს გამოკლებული ფეხბურთელების ნაცვლად. ცვლილებები მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ტრავმების გამო **რუბენ მიკაელი**, **დანი** და **უგო ალმეიდა** გამოაკლდნენ ეროვნულ გუნდს. ტრავმირებულია „სევილიას“ გოლკიპერი **ბეტოც**.

„რენის“ 22 წლის ფორვარდი ოლივეირა დიდებულ ფორმაშია, მან სამი გოლი გაიტანა საფრანგეთის ჩემპიონატში. 24 წლის ლიკამ ერთი გოლი გაიტანა „პორტუში“ თამაშისას. „ლიონის“ გოლკიპერი ლოპეში 22 წლისაა.

ჯგუფის ლიდერ პორტუგალიას ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიასთან ელის თამაში. **პაულო ბენტუს** გუნდს 14 ქულა აქვს.

# კოჭში დაჭრილი ვეფხვი

მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში კოლუმბიის ნაკრები ეკვადორს შეხვდება. ამ მატჩში კოლუმბიას შესაძლოა, მთავარი დამრტყმელი ძალა, **რადამელ ფალკაო** დააკლდეს.

კოლუმბიის ნაკრები ლიდერია 16-წლიანი პაუზის შემდეგ და თუ ასე გააგრძელა, პირველად მოხვდება მუნდიალზე, ხოლო ფალკაო 7 გოლით ნაკრების ბომბარდირია მიმდინარე ტურნირზე.

ფალკაომ კვირას ლიგა 1-ის ტურის ცენტრალურ მატჩში „ველოდრომზე“ ტრავმა მიიღო - ფალკაოს „მონაკომ“ სტუმრად 2:1 დაამარცხა „მარსელი“. „ელ ტიგრემ“ კოჭი დაიზიანა.

თუ ის ვერ მოასწრებს გამოჯანმრთელებას, სასტარტო შემადგენლობაში **ჯექსონ მარტინესი** (პორტუ) შეცვლის, რომელიც **ტეოფილო გუტიერესს** შეუწყვილდება. კოლუმბიის ნაკრები კონმებოლის ზონას 21 ქულით ლიდერობს.

# ოსასუნამ მწვრთნელი გააგდო

ლალიგის ახალ სეზონში პირველი მწვრთნელის თავი დაგორდა - პამპლონის „ოსასუნას“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაანთავისუფლა 52 წლის მწვრთნელი **ხოსე ლუის მენდილიბარი**.

მენდილიბარი ნავარულ კლუბში 2011 წლის თებერვალში მივიდა, მას მერე, რაც თანამდებობიდან **ხოსე ანტონიო კამაჩო** გაანთავისუფლეს.

„ლოს როხილიოსი“ ლა ლიგის ცხრილის ფსკერზეა ნული ქულით სამი მატჩიდან.

*„ჩვენ ვიპოვით ახალგაზრდა მწვრთნელს, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ათამაშებს“,* - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა **მიგელ არჩანკომ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჰოლოვეი ორი მატჩით დასაჯეს

„კრისტალ პალასის“ ენაწყლიანი დამრიგებელი **იან ჰოლოვეი** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორი მატჩით და 21 000 ევროთი დასაჯა. ლონდონური კლუბის დამრიგებელმა, „ტოტენჰემთან“ გამართული პირველი ტურის შეხვედრის შემდეგ, არბიტრი გააკრიტიკა და სასჯელიც მიიღო. შეგახსენებთ, რომ „პალასი“ მეტოქესთან მინიმალური სხვაობით, 0:1 დამარცხდა, ერთადერთი გოლი კი **რობერტო სოლდადომ** პენალტით გაიტანა.

# ბარსელონას სამი ბრაზილიელი სურს

„ბარსელონამ“ „სანტოსის“ სამი ნიჭიერი ფეხბურთელის პრიორიტეტული შეძენის უფლების ყიდვა მოისურვა და ბრაზილიურ კლუბს 7,9 მილიონი ევრო შესთავაზა. საუბარია „სანტოსის“ სამ შემტევ ფეხბურთელზე: **გაბრიელი** (იგივე გაბიგოლი), **ჟივა** და **ვიქტორ ანდრადე**.

გაბიგოლი და ვიქტორ ანდრადე 17 წლის ფორვარდები არიან, ჟივა კი 20 წლისაა და ისიც თავდამსხმელია. გაბიგოლი „სანტოსის“ რიგებში პირველად წელს გამოჩნდა და მის ანგარიშზე 6 შეხვედრაში 1 გოლია.

ვიქტორ ანდრადეს ბრაზილიური ფეხბურთის მოყვარულები უკვე დიდი ხანია იცნობს. ეს ბიჭი ჯერ კიდევ 16 წლის იყო, როდესაც **ნეიმარის** გვერდით თამაშობდა და გოლებიც გაჰქონდა. მართალია, მას წელს არ უთამაშია, მაგრამ 2012 წლის ჩემპიონატში 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლიც გაიტანა.

ჟივა, მიუხედავად ასაკისა, ყურადღების ცენტრში პირველად რამდენიმე თვის წინ მოექცა. 20 წლის ფორვარდმა ჯერ სან პაულოს შტატის პირველობაზე გაიტანა, შემდეგ კი ჩემპიონატში. ჯამში თავდამსხმელმა 6 გოლი შეაგდო (3 სან პაულოს შტატის ჩემპიონატში, 2 სერია A-ში და ერთიც ბრაზილიის თასზე)

ესპანური პრესის ცნობით, ეს გარიგება ნეიმარის ტრანსფერთან კავშირში არაა და კატალონიური კლუბი გადახდილ თანხას უკან მიიღებს, თუ მოგვიანებით ფეხბურთელების შეძენას აღარ მოისურვებს.

**ტატო ბაციკაძე**

# ვენესუელის ნაკრების 20 ფეხბურთელი მოიწამლა

6 სექტემბერს ვენესუელის ნაკრები ჩილეს ეწვევა მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩის გასამართავად, თუმცა ეს შეხვედრა შეიძლება ჩაიშალოს. საქმე იმაშია, რომ ვენესუელის ნაკრების ერთბაშად 20 წევრი, პრაქტიკულად ყველა, კუჭის უცნობი ვირუსით მოიწამლა და ნაკრებმა ვარჯიშების დაწყება ვერ შეძლო.



**სესარ ფარიასმა**, გუნდის თავკაცმა აღნიშნა, რომ 20-მა ფეხბურთელმა ღამე ტკივილში გაათენა და მათ ვარჯიშის თავი ნამდვილად არა აქვთ. სამხრეთ ამერიკიდან, 4 გუნდი გადის პირდაპირ მუნდიალზე, ხოლო მე-5 პლეი ოფში თამაშობს. ვენესუელა ამჟამად 16 ქულით მე-6 ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელის ნაკრები ერთადერთია კონტინენტზე, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასოდეს უთამაშია.

# რონალდო: გაბრაზებული ვარ, იოზილი, როგორ გაყიდეს!

პორტუგალიის ნაკრების შეკრებაზე მყოფმა **კრიშტიანო რონალდომ** ღიად გააკრიტიკა მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა **მესუთ იოზილის** გაყიდვისთვის.

შეგახსენებთ, რომ 2 სექტემბერს „რეალმა“ იოზილი „არსენალს“ 50 მილიონ ევროდ მიჰყიდა.

*„იოზილის წასვლა ჩემთვის საშინელი სიახლე იყო. ყველაზე მეტად იოზილი მიგებდა მოედანზე, ყველაზე კარგად ის ხედავდა ჩემს მოძრაობას მოედანზე. როგორ შეიძლებოდა ისეთი ფეხბურთელის მოშორება, რომელიც თამაშის ბედს წყვეტდა?“*

- აღშფოთებას ვერ მალავს მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იოზილი და რონალდო ერთად ველარ ითამაშებენ

# საქართველომ პოლონეთი გააქრო


გიორგი შერმადინი ფარქვეშ მეფობდა

4 სექტემბერი. ცელიე. ცელიე არენა. 850 მაყურებელი

## საქართველო 84:67 პოლონეთი

20-14, 19-8, 16-15, 29-30

მსაჯები: მ. იოვიჩიჩი (სერბეთი), ფერნანდო როჩა (პორტუგალია), კრის დოდსი (ბრიტანეთი)

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. მეტრეველი | 3 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | -8 | 2 |
| 5. ფხაკაძე | 3 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | -7 | 0 |
| 6. სანაძე | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -4 | 0 |
| 7. ბურჯანაძე | 6 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 5 | 2 |
| *8. ცინცაძე | 34 | 3/12 | 25.0 | 2/6 | 33.3 | 1/6 | 16.7 | 4/7 | 57.1 | 1 | 2 | 3 | 7 | 3 | 2 | 0 | 2 | 7 | 20 | 11 |
| *9. შერმადინი | 29 | 5/6 | 83.3 | 5/6 | 83.3 | 0/0 | 0.0 | 3/3 | 100.0 | 4 | 5 | 9 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 20 | 13 |
| 10. ჰიკმანი | 27 | 2/7 | 28.6 | 2/5 | 40.0 | 0/2 | 0.0 | 5/9 | 55.6 | 0 | 2 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 10 | 13 | 9 |
| *11. მარკოიშვილი | 32 | 8/15 | 53.3 | 6/10 | 60.0 | 2/5 | 40.0 | 0/1 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 3 | 0 | 4 | 2 | 22 | 18 |
| *12. ფაცაცია | 13 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 |
| *13. სანიკიძე | 31 | 8/11 | 72.7 | 5/6 | 83.3 | 3/5 | 60.0 | 4/8 | 50.0 | 2 | 4 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 20 | 23 |
| 14. ლეჟავა | 9 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 4 | 3 |
| 15. ცქიტიშვილი | 10 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 0 | -3 | 3 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 30/61 | 49.2 | 22/36 | 61.1 | 8/25 | 32.0 | 16/28 | 57.1 | 11 | 24 | 35 | 16 | 5 | 6 | 3 | 21 | 27 | | 84 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, **+/-** - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*

| პოლონეთი | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. კარნოვსკი | 7 | 4/4 | 100.0 | 4/4 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 5 | 9 |
| *5. კელატი | 18 | 1/3 | 33.3 | 1/1 | 100.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | -2 | 2 |
| *6. ლამპე | 25 | 5/10 | 50.0 | 5/10 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 0 | -14 | 10 |
| 7. შუბარგა | 20 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 | -3 | 2 |
| 8. ჩილინსკი | 6 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 |
| 9. ზამოისკი | 11 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 10 |
| 10. პონიტკა | 26 | 1/7 | 14.3 | 1/5 | 20.0 | 0/2 | 0.0 | 5/6 | 83.3 | 2 | 5 | 7 | 1 | 1 | 0 | 1 | 4 | 3 | -17 | 7 |
| 11. იგნერსკი | 16 | 4/7 | 57.1 | 4/6 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 3 | 2 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 2 | -14 | 8 |
| *12. ვაჩინსკი | 18 | 1/4 | 25.0 | 1/2 | 50.0 | 0/2 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | -5 | 3 |
| *13. გორტატი | 28 | 6/13 | 46.2 | 6/13 | 46.2 | 0/0 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 2 | 6 | 8 | 4 | 1 | 0 | 2 | 3 | 6 | -17 | 12 |
| 14. პრიჩიანიუკი | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -1 | 0 |
| *15. კოშარეკი | 26 | 1/4 | 25.0 | 1/2 | 50.0 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 3 | -15 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 60 | 43.3 | 23/44 | 52.3 | 3/16 | 18.8 | 12/19 | 63.2 | 14 | 25 | 39 | 18 | 12 | 1 | 4 | 27 | 21 | | 67 |


საქართველოსთვის პოლონური ტვირთი მსუბუქი აღმოჩნდა



### ქრონოლოგია

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 08:40 | შერმადინი (საქ) 1+1ძ | 2:0 |
| 08:24 | კელატი (პოლ) 2ძ | 2:2 |
| 07:56 | ლამპე (პოლ) 2ძ | 2:4 |
| 06:34 | გორტატი (პოლ) 2ძ | 2:6 |
| 06:05 | სანიკიძე (საქ) 3ძ | 5:6 |
| 04:58 | სანიკიძე (საქ) 2ძ | 7:6 |
| 04:25 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 9:6 |
| 03:56 | იგნერსკი (პოლ) 2ძ | 9:8 |
| 03:30 | ცინცაძე (საქ) 2ძ | 11:8 |
| 03:13 | ლამპე (პოლ) 2ძ | 11:10 |
| 03:00 | ცინცაძე (საქ) 2+1ძ | 14:10 |
| 01:41 | გორგატი (პოლ) 2ძ | 14:12 |
| 01:21 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 16:12 |
| 01:08 | იგნერსკი (პოლ) 2ძ | 16:14 |
| 00:40 | შერმადინი (საქ) 2ძ | 18:14 |
| 00:03 | ბურჯანაძე (საქ) 2ძ | 20:14 |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 09:48 | სანიკიძე (საქ) 2ძ | 22:14 |
| 09:28 | იგნერსკი (პოლ) 2ძ | 22:16 |
| 08:46 | გორგატი (პოლ) 2ძ | 22:18 |
| 06:59 | ჰიკმანი (საქ) 2ძ | 24:18 |
| 06:09 | სანიკიძე (საქ) 1ძ | 25:18 |
| 05:13 | გორგატი (პოლ) 2ძ | 25:20 |
| 05:05 | ჰიკმანი (საქ) 1+1ძ | 27:20 |
| 04:37 | შერმადინი (საქ) 2ძ | 29:20 |
| 03:22 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 31:20 |
| 02:28 | სანიკიძე (საქ) 2ძ | 33:20 |
| 01:31 | იგნერსკი (პოლ) 2ძ | 33:22 |
| 01:08 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 35:22 |
| 00:46 | ლეჟავა (საქ) 3ძ | 38:22 |
| 00:23 | სანიკიძე (საქ) 1ძ | 39:22 |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 09:19 | კოშარეკი (პოლ) 2ძ | 39:24 |
| 05:53 | შერმადინი (საქ) 2ძ | 41:24 |
| 05:41 | გორტატი (პოლ) 2ძ | 41:26 |
| 05:22 | შერმადინი (საქ) 2ძ | 43:26 |
| 04:54 | ლამპე (პოლ) 2ძ | 43:28 |
| 04:29 | სანიკიძე (საქ) 2ძ | 45:28 |
| 04:11 | გორტატი (პოლ) 2ძ | 45:30 |
| 02:49 | მარკოიშვილი (საქ) 3ძ | 48:30 |
| 02:29 | ვაჩინსკი (პოლ) 2+1ძ | 48:33 |
| 01:38 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 50:33 |
| 01:23 | პონიტკა (პოლ) 1+1ძ | 50:35 |
| 01:10 | მარკოიშვილი (საქ) 2ძ | 52:35 |
| 00:34 | ცქიტიშვილი (საქ) 3ძ | 55:35 |
| 00:04 | პონიტკა (პოლ) 1+1ძ | 55:37 |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 09:21 | სანიკიძე (საქ) 1ძ | 56:37 |
| 08:56 | ზამოისკი (პოლ) 3ძ | 56:40 |
| 08:38 | სანიკიძე (საქ) 3ძ | 59:40 |
| 08:05 | სანიკიძე (საქ) 3ძ | 62:40 |
| 07:42 | ლამპე (პოლ) 2ძ | 62:42 |
| 07:20 | შერმადინი (საქ) 2+1ძ | 65:42 |
| 07:02 | ზამოისკი (პოლ) 3ძ | 65:45 |
| 06:40 | სანიკიძე (საქ) 2ძ | 67:45 |
| 06:06 | ცინცაძე (საქ) 1+1ძ | 69:45 |
| 05:46 | კარნოვსკი (პოლ)2ძ | 69:47 |
| 05:36 | ცინცაძე (საქ) 1ძ | 70:47 |
| 05:00 | პონიტკა (პოლ) 2ძ | 70:49 |
| 04:42 | ლამპე (პოლ) 2ძ | 70:51 |
| 04:06 | ცინცაძე (საქ) 3ძ | 73:51 |
| 03:55 | ჰიკმანი (საქ) 2ძ | 75:51 |
| 03:28 | სანიკიძე (საქ) 1ძ | 76:51 |
| 03:10 | კარნოვსკი (პოლ) 2+1ძ | 76:54 |
| 02:45 | მარკოიშვილი (საქ) 3ძ | 79:54 |
| 02:33 | კოსზარეკი (პოლ) 1+1ძ | 79:56 |
| 02:17 | ზამოისკი (პოლ) 1ძ | 79:57 |
| 01:28 | კარნოვსკი (პოლ) 2ძ | 79:59 |
| 01:17 | მეტრეველი (საქ) 2ძ | 81:59 |
| 01:07 | შუბარგა (პოლ) 1+1ძ | 81:61 |
| 00:59 | ჰიკმანი (საქ) 1ძ | 82:61 |
| 00:48 | პონიტკა (პოლ) 1ძ | 82:62 |
| 00:39 | ჰიკმანი (საქ) 1+1ძ | 84:62 |
| 00:29 | ზამოისკი (პოლ) 3ძ | 84:65 |
| 00:06 | კარნოვსკი (პოლ) 2ძ | 84:67 |

» პირველი გვერდიდან

## გამართული დაცვა

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, თამაშის მოგების საწინდარი **გორტატი-ლამპეს** დუეტის შეჩერება გახდა. და ვინ გააკეთა ეს? გორტატს **გიორგი შერმადინი** (13 ქულა, 9 მოხსნა, 6-დან 5 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო) მეურვეობდა და მატჩის შემდეგ ერთ ამერიკელ ჟურნალისტს (ესპანურ არხზე მუშაობს) ათქმევინა კიდეც - არ გამიკვირდება, „ფინიქს სანსმა“ გორტატის ნაცვლად შერმადინი აიყვანოსო. ამით ყველაფერი ნათქვამია...

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდის მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** წლების განმავლობაში „ფინიქსში“ სწორედ გორტატის მწვრთნელი იყო. ჰოდა, გამოჩნდა, რომ „ხეზე ასვლა“ არ უსწავლებია“ - ქართველთა მწვრთნელს, ალბათ, კარგად მოეხსენებოდა, რომ ბურთის მიღების შემთხვევაში მარცინი, პირველ რიგში, ტყორცნაზე ფიქრობს და თუ არ გამოუვიდა, მერე იძლევა პასს. შერმადინი გორტატს ქართულ ციხესიმაგრესავით მტკიცედ ალმართული ელოდა, ხოლო გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** პოლონელ ცენტრს სახის მხრიდან ეთამაშებოდა. ორმაგ წნეხში „ჰოთ დოგივით“ მოქცეული მარცინი, ვიდრე თავისუფალ პოზიციაში მყოფი თანაგუნდელი გამთამაშებლისკენ შეტრიალდებოდა, ცინცაძე პერიმეტრზე ასვლას ასწრებდა.

მოკლედ, დაცვაში საქართველოს ნაკრები იმდენად გამართულად მუშაობდა, შვეიცარიულ საათს შეშურდებოდა. ჩვენს დაცვით მექანიზმში არც ერთი კალათბურთელი არ აგვიანებდა თანაგუნდელის დაზღვევას, თავისუფალ სივრცეებს არავის უტოვებდა და სწორედ ამის შედეგი იყო, პოლონეთმა პირველი სამი პერიოდის განმავლობაში ერთი სამქულიანიც რომ ვერ ჩააგდო.

ფარქვეშ რა სიტუაციაც იყო, უკვე გითხარით. ცინცაძე (11 ქულა, 7 პასი) მწვრთნელმა მესამე პერიოდამდე არ შეცვალა. ვინც თამაში იხილა, კითხვა - „რატომ“, არ დაებადებოდა: „ბუ“ ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ევროლიგის დონის გამთამაშებელს შეშვენის - ტემპის კონტროლიდან დაწყებული, თამაშის გაშლით დამთავრებული.

## ალარც კელატი, ალარც ლამპე და ალარც გორტატი...

პოლონელებს ჰყავთ ნატურალიზებული **თომას კელატი**. უფრო სწორად, ჰყავდათ - გუშინ ის მოედანზე თითქმის არ ჩანდა (2 ქულა). ამის მიზეზი მისი მეურვე **მანუჩარ მარკოიშვილია** - მატჩის დასაწყისში ექსტრა-კლასის კალათბურთელებს რომ შეშვენით, ისე დაიძრა იქით, საიდანაც კელატი იჭერდა და ამერიკელს ბავშვური ჯარიმა მიალებინა. „მანუმ“ ის ისე დატვირთა „ფოლებით“, ბაუერმანი იძულებული გახდა, ბოლო პერიოდისთვის შემოენახა...

...და რას იფიქრებდა პოლონელთა მწვრთნელი, რომ ბოლოს ალარც კელატი დასჭირდებოდა, ალარც ლამპე და ალარც გორტატი. მეოთხე პერიოდის დასაწყისში სხვაობა 20 ქულამდე რომ ავიდა, ბაუერმანმა სამივე ლიდერი სკამზე დასვა და მომდევნო მატჩისთვის დაასვენა. მარკოიშვილის შეტევით მონაგარზე არაფერი გვითქვამს. მის ანგარიშზე 18 ქულაა. ასეთ სტატისტიკას მისგან ნაჩვევები ვართ.

## ვიქტორის ვიქტორია და ზედაც რევანში

...და ვინ გახდა მატჩის ბომბარდირი? რა თქმა უნდა, **ვიქტორ სანიკიძე** - 23 ქულა. ევროლიგის განვლილ გათამაშებაში მისი „მონტეპასკი“ გადამწყვეტ მატჩში ესპანურ „კახა ლაბორალთან“ დამარცხდა. ის შეხვედრა, როგორც იტყვიან, ლამპემ მოიგო. სანიკიძემ გუშინ ღირსეული რევანში აიღო. ლამპესგან განსხვავებით, მას მსროლელად თამაშიც შეუძლია და პოლონელ მეურვეებს აშკარად გაუჭირდათ დანახვა, თუ სად ჩაყვინთავდა ვიქტორი და სად ამოყვინთავდა. მან 5-დან 3 სამქულიანი და 6-დან 5 ორქულიანი გამოიყენა.

## რატომ ვაკრიტიკებდით კოკოშკოვს...

იგორ კოკოშკოვს გასულ წელს უმთავრესად იმიტომ ვაკრიტიკებდით, რომ სათადარიგოებს სათამაშო დროს ნაკლებად აძლევდა. ამ აგვისტოს მწვრთნელმა ყველა მათგანს მისცა თავის გამოჩენის შანსი. მათ ნდობაც იგრძნეს და პოლონეთთან თამაშში ისე ჩაერთვნენ, თითქოს წლების განმავლობაში სასტარტოები ყოფილიყვნენ. აღნიშვნის ღირსია **ბესიკ ლეჟავას** სამქულიანი, რომლის შემდეგაც ტაბლოზე 38:22 დაფიქსირდა. ხოლო **ბექა ბურჯანაძემ,** პირველი მეოთხედის დასრულების მომასწავებელ სირენასთან ერთად, თამამად ჩააგდო ორქულიანი.

რაც შეეხებათ **რიკი ჰიკმანსა** და **ნიკა ცქიტიშვილს**, ისინი გუნდს ნამდვილად დაეხმარნენ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ლიდერობაც შეუძლიათ.

## კოკოშკოვი: შერმადინი ევროპის ტოპ-ცენტრებს შორისაა

ჩვენი ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვი** გამარჯვებას მშვიდად შეხვდა:

*„აგვისტოს დასაწყისში პოლონეთთან ამხანაგურ მატჩში დავმარცხდით. მას მერე კარგად შევისწავლეთ მეტოქე და იტალიასთან პოლონელთა გამარჯვების შემდეგ, ბიჭებს ვუთხარი - ეს ევრობასკეტის ერთ-ერთი ყველაზე კარგად მომზადებული გუნდი იქნება-მეთქი. ამიტომ, შეხვედრას მაქსიმალურად კონცენტრირებულები შევხვდით. გიორგი შერმადინმა გორტატის წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. მას ევრობასკეტის დაწყებამდე ვუთხარი - ეს ტურნირი შენი შანსია და აჩვენე, რაც შეგიძლია-მეთქი. განსაკუთრებით გორტატთან უშუალო დაპირისპირებაში უნდა გამოჩენილიყო გიორგის ნამდვილი პოტენციალი და მანაც აჩვენა, რომ ევროპის ტოპ-ცენტრებს შორისაა“.*

## იასმინ რეპეშა: ქართველებს თავისუფლად თამაშის საშუალება არ უნდა მივცეთ

გუშინვე, ესპანეთთან წაგების შემდეგ, ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იასმინ რეპეშას** საქართველოსთან დღევანდელ მატჩზე ვკითხეთ.

*„საქართველოსთან წაგება არ შეიძლება. თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, ქართველებს უნდა ვაჯობოთ. მათ ლიტვასთან ამხანაგური მატჩი ოვერტაიმში დათმეს, პოლონეთთანაც იოლად გაიმარჯვეს და ჯგუფიდან გასვლის ფავორიტთა შორის აღმოჩნდნენ. ქართველებს თავისუფლად თამაშის უფლება არ უნდა მივცეთ“.*

### მეტოქეები

**ესპანეთი 68**
24:9, 9:11, 16:17, 19:3
**ხორვატია 40**

ე: ფერნანდესი (15+8 მოხსნა), მარკი (14+11 მოხსნა+4 შეცდომა), კალდერონი (13), რუბიო (7+7 პასი), კლავერი (0+5 მოხსნა) - სტარტი; როდრიგესი (5), ლიული (5), მუმბრუ (4), სან ემეტერიო (3), აგილარი (2), რეი (0).

ხ: ბოგდანოვიჩი (12+7 მოხსნა), ზორიჩი (8), უკიჩი (7+7 მოხსნა), სიმონი (3+5 მოხსნა), მარკოტა (0) - სტარტი; შარიჩი (4), ტომიჩი (3+5 მოხსნა), რუდეჟი (3), დრეიპერი (0+4 შეცდომა), დელასი (0).

**ორქულიანები**: 14/33 (42,4%) - 13/42 (31,0%)
**სამქულიანები**: 8/19 (42,1%) - 2/17 (11,8%)
**საჯარიმოები**: 16/23 (69,6%) - 8/12 (66,7%)
**მოხსნები**: 41-38. **პასები**: 14-5. **შეცდომები**: 12-13

**გადამწყვეტი მომენტი**: ხორვატია ამ მატჩში მხოლოდ ერთხელ იყო წინ, როცა ორი ქულით (5:3) გაასწრო მეტოქეს, მაგრამ ამის შემდეგ იყო პირენეელთა 15:0 გაქცევა. აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი - მეოთხე მეოთხედში შვიდი წუთის განმავლობაში ხორვატიამ ქულა ვერ აიღო.

**მატჩის გმირი**: მარკ გასოლი ორმაგი დუბლით - 14 ქულა და 11 მოხსნა.

**სტატისტიკა არ ტყუის**: ხორვატიამ საშინლად ისროლა თამაშიდან და საჯარიმოს ხაზიდან, ხოლო ნამდვილი კატასტროფა იყო ბოლო მეოთხედში დაგროვებული სამი ქულა.

**ჩეხეთი 60**
19:21, 13:15, 14:15, 14:11
**სლოვენია 62**

ჩ: ვესელი (17+7 მოხსნა+3 დაფარება), სატორანსკი (12+4 პასი), ბარტონი (9), პუმპრლა (5+5 მოხსნა+4 პასი), იელინეკი (2) - სტარტი; ბენდა (4+6 მოხსნა), პ. პოუშკა (4), უელში (3+5 მოხსნა+5 პასი), ბალვინი (2), ჰრუბანი (2).

ს: ბალაჟიჩი (11+8 მოხსნა), ვიდმარი (9+6 მოხსნა) ბლაჟიჩი (9), გ. დრაგიჩი (8+9 პასი+6 შეცდომა), მურიჩი (0) - სტარტი; ნახბარი (9+5 მოხსნა), ბეგიჩი (8+8 მოხსნა+3 დაფარება), დ. ლორბეკი (5), ზ. დრაგიჩი (3+6 მოხსნა), იოკსიმოვიჩი (0).

**ორქულიანები**: 24/57 (42,1%) - 17/41 (41,5%)
**სამქულიანები**: 2/10 (20%) - 5/23 (21,7%)
**საჯარიმოები**: 6/15 (40%) - 13/24 (54,2%)
**მოხსნები**: 41-48. **პასები**: 17-13. **შეცდომები**: 12-12

● სპეციალისტის კომენტარი

# ციკლონმა პოლონელებს გადაუარა


პაატა გურასპაული

**ვეტერანი ქართველი კალათბურთელი პაატა გურასპაული ბათუმში იმყოფება. გუშინ საქართველო-პოლონეთის მატჩის შემდეგ კომენტარისთვის მას აჭარის დედაქალაქში ტელეფონით შევეხმიანეთ. უპირველესად ზღვისპირეთში მოსალოდნელ ქარიშხალსა თუ ციკლონზე ვკითხეთ.**

— ბათუმში მთელი დღე სიმშვიდე იყო, მზე ანათებდა და ხალხი ზღვაში ბანაობდა, საღამოს რა იქნება ვერ გეტყვით. რაც შეეხება ციკლონს, ტელეეკრანზე ვნახე, ცელიეში თუ როგორ გადაუარა პოლონელებს. მთელ საქართველოს ვულოცავ ჩვენი ბიჭების ამ გამარჯვებას. შესანიშნავად ითამაშეს.

უპირველესად ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფაქტორი მინდა გამოვყო: იგორ კოკოშკოვმა მის ხელთ არსებული რეზერვი რაციონალურად გაანაწილა. მატჩში მონაწილეობის საშუალება გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ახალგაზრდებსაც მისცა, რომ საერთო გამარჯვებაში მათაც შეეტანათ წვლილი.

საქართველოს ნაკრების ტელერეპორტაჟებისას არაერთხელ აღმინიშნავს დაცვაში ჩვენი გუნდის სუსტი თამაში. დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა — ქართველი კალათბურთელების ასეთი მობილიზებული დაცვა არასდროს მინახავს და ეს კოკოშკოვის დამსახურებაა. ეტყობა, გუნდის მზადებისას ამ კომპონენტზე მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. გორტატი ყოველთვის გორტატია, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა გონივრული ურთიერთდაზღვევით პოლონელს თავისუფალი მოქმედების არე შეუზღუდეს და განძრევის საშუალება არ მისცეს, ფაქტობრივად, 12 ქულას დააჯერეს.

პოლონელები თავიდან თითქოს შორეული ტყორცნებით აპირებდნენ ფონს გასვლას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა მაჩეი ლამპემ მეორე პერსონალური ჯარიმა მიიღო (ამაში ვიქტორ სანიკიძეს მიუძღვის დიდი წვლილი) და მწვრთნელმა ის სათადარიგოთა სკამზე დასვა, მაგრამ არც აქ გამოუვიდათ არაფერი — მთელი მატჩის განმავლობაში 16 ტყორცნიდან მხოლოდ სამჯერ მიაღწიეს მიზანს. ჩვენდა საბედნიეროდ, პოლონელთა მწვრთნელმა ლამპეს გაყვანით მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — მოედანზე დაბრუნების შემდეგ ის გუნდის მექანიზმს ბოლომდე ვერ შეერწყა და უცხო სხეულივით ჩანდა.

საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ჰქონდა პრობლემად ორი აქილევსის ქუსლი — სუსტი დაცვა და ბურთის დაკარგვა. დღეს ამ კომპონენტებში ჩვენმა გუნდმა აშკარად გამაკვირვა. დაცვაზე უკვე გითხარით. წინა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მიერ დაკარგული ბურთების რაოდენობა საშუალოდ 20-ს აღემატებოდა. პოლონელებთან კი ჩვენებმა მხოლოდ 5-ჯერ (სტუმრებმა თორმეტჯერ) დაკარგეს ბურთი, თანაც ბოლო ორი ისეთ მომენტში, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენებს პერიმეტრიც კარგად ჰქონდათ გადაკეტილი. ერთი სიტყვით, აკადემიური თამაშით ვძლიეთ მეტოქეს. ყოველივე ეს მომდევნო მატჩებშიც უნდა გავითვალისწინოთ და ერთ კომპონენტზეცაა ყურადღება გასათვალისწინებელი — სისწრაფე.

კალათბურთელებზეც მინდა ვთქვა: კვლავ შეუდარებელი იყო ვიქტორ სანიკიძე. სწორედ, მისმა ზუსტმა სამქულიანმა ტყორცნებმა გატეხა მეტოქე. შესანიშნავად ითამაშა გიორგი შერმადინმა როგორც მეტოქის ისე საკუთარ ფარზე და გორტატმა რომ ბევრი ვერაფერი მოახერხა, თანაგუნდელებთან ერთად, სწორედ, გიორგის დამსახურებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მანუჩარ მარკოიშვილი გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა, რაშიც პოლონელებთან მატჩმაც დაგვარწმუნა. გუშინ დირიჟორული თვისებები წარმოაჩინა გიორგი ცინცაძემ — თამაშის რიტმს აკონტროლებდა. თავად ხომ 11 ქულას მოუყარა თავი, პარტნიორებს შვიდჯერ ზუსტად მიაწოდა ბურთი. მიმაჩნია, რომ მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას ბესო ლეჟავამ. ბევრი შავი სამუშაო შეასრულა და გადამწყვეტ მომენტში ბურთიც ჩააგდო. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდებმა — ფაცაციამ, ბურჯანაძემ, მეტრეველმა, ფხაკაძემ და სანაძემ. მეტს მოველოდი ნიკა ცქიტიშვილისა და რიკი ჰიკმანისგან, რადგან მათი შესაძლებლობები ვიცი. იმედია, მომავალ მატჩებში საკუთარი თავის წარმოჩენას შეძლებენ. ისინი ეროვნული გუნდის საიმედო რეზერვად მიმაჩნია.

პოლონელებთან გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონატის მე-2 ეტაპზე მოსახვედრად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ვფიქრობ, ჩვენი ბიჭები იმედებს არც მომავალში გაგვიცრუებენ.

**ვაჟა დანელია**






# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია. ბუნდესლიგა 2013/14. ზაფხულის ტრანსფერები

### ბაიერნი
**-21 მლნ**

**მივიდნენ**: იან კირხჰოფი (მაინცი, უფასოდ), მარიო გიოტცე (დორტმუნდი, 37 მლნ), ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა, 25 მლნ).

**წავიდნენ**: მაქსიმილიან რიდმიულერი (ჰოლშტაინ კილი, უფასოდ), ნილს პეტერსენი (ვერდერი, 3 მლნ), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, უფასოდ), მარიო გომესი (ფიორენტინა, 15.5 მლნ), ემრე ჩანი (ლევერკუზენი, 5 მლნ), ლუის გუსტავო (ვოლფსბურგი, 17.5 მლნ).

### დორტმუნდი
**-5.3 მლნ**

**მივიდნენ**: მარიან ზარი (დორტმუნდი II), სოკრატის პაპასტატოპულოსი (ვერდერი, 9.5 მლნ), მარვინ დუკში (დორტმუნდი II), იონას ჰოფმანი (დორტმუნდი II), პიერ-ემერიკ ობამეიანგი (სენტ ეტიენი, 13 მლნ), ჰენრიხ მხითარიანი (შახტარი, 27.5 მლნ), იოჰანეს ფოხერი (შტურმი, უფასოდ).

**წავიდნენ**: იულიან კოხი (მაინცი), მარიო გიოტცე (ბაიერნი, 37 მლნ), პატრიკ ოვომოიელა (უკლუბოდ), ფელიპე სანტანა (შალკე, 1 მლნ), მორიტც ლაიტნერი (შტუტგარტი, 0.5 მლნ), ლეონარდო ბიტენკური (ჰანოვერი, 2.8 მლნ), ლასე ზობიეხი (ჰამბურგი, 1.2 მლნ), მარვინ ბაკალორცი (აინტრახტი).

### ლევერკუზენი
**+13.1 მლნ**

**მივიდნენ**: რობერტო ჰილბერტი (ბეშიქთაში, უფასოდ), კონსტანტინოს სტაფილიდისი (პაოკ, 1.5 მლნ), ჯულიო დონატი (ინტერი, 3 მლნ), ლევინ იოზთუნალი (ჰამბურგი, უფასოდ), ნიკო პერეი (ლევერკუზენი II), იონას მეფერტი (ლევერკუზენი II), რობი კრუსი (ფორტუნა, 1.5 მლნ), ანდრეს პალოპი (სევილია, უფასოდ), ჰეონ-მინ სონი (ჰამბურგი, 10 მლნ), ემირ სპაჰიჩი (სევილია, 0.4 მლნ), ემრე ჩანი (ბაიერნი, 5 მლნ), ერენ დერდიოკი (ჰოფენჰაიმი, 0.5 მლნ, არენდა).

**წავიდნენ**: ნიკოლაი იორგენსენი (კოპენჰაგენი), მანუელ ფრიდრიხი (უკლუბოდ), მიხაელ რენზინგი (ფორტუნა, უფასოდ), კრისტოფ კრამერი (გლადბახი, არენდა), დანიელ შვააბი (შტუტგარტი, უფასოდ), ჰაიმე ჰოსოგაი (ჰერტა, 1 მლნ), ჟუნიორ ფერნანდესი (ზაგრების დინამო), დანიელ კარვახალი (რეალი, 6.5 მლნ), ანდრე შიურლე (ჩელსი, 22 მლნ), მიხალ კადლეცი (ფენერბაჰჩე, 4.5 მლნ), ქარიმ ბელარაბი (ბრაუნშვაიგი, არენდა), არკადიუშ მილიკი (აუგსბურგი, არენდა).

### შალკე
**-19 მლნ**

**მივიდნენ**: კაან აიჰანი (შალკე II), ფელიპე სანტანა (დორტმუნდი, 1 მლნ), კრისტიან კლემენსი (კიოლნი, 2.8 მლნ), ადამ სალაი (მაინცი, 8 მლნ), ლეონ გორეტცკა (ბოხუმი, 3.25 მლნ), დენის აოგო (ჰამბურგი, არენდა), კევინ-პრინს ბოატენგი (მილანი, 10 მლნ).

**წავიდნენ**: კრისტოფ მორიტცი (მაინცი, უფასოდ), მიშელ ბასტოსი (ლიონი), კრისტოფ მეტცელდერი (ჰალტერნი, უფასოდ), ჩიპრიან მარიკა (უკლუბოდ), ხოსე მანუელ ხურადო (სპარტაკი, 3 მლნ), სერხიო ესკუდერო (ხეტაფე, 0.5 მლნ), ფილიპ ჰოფმანი (ინგოლშტადტი, არენდა), ტეემუ პუკი (სელტიკი, 2.5 მლნ), ტრანკვილიო ბარნეტა (აინტრახტი, არენდა).

### ფრაიბურგი
**+4.2 მლნ**

**მივიდნენ**: სებასტიან კერკი (ფრაიბურგი II), ფელიქს კლაუსი (ფიურტი, 1.1 მლნ), მაიკ ჰანკე (გლადბახი, უფასოდ), კრისტოფერ ჟულიენი (ოსერი, უფასოდ), გელსონ ფერნანდესი (სპორტინგი, 0.4 მლნ), ვაცლავ პილარი (ვოლფსბურგი, არენდა), ფრანსის კოკელინი (არსენალი, არენდა), დენის პერგერი (კოპერი), ადმირ მეჰმედი (კიევის დინამო, არენდა), ვლადიმირ დარიდა (პლზენი, 4 მლნ).

**წავიდნენ**: იოჰანეს ფლუმი (აინტრახტი, 2 მლნ), იან როზენტალი (აინტრახტი, უფასოდ), მაქს კრუზე (გლადბახი, 2.5 მლნ), დანიელ კალიჯური (ვოლფსბურგი, 2.8 მლნ), სიმონ ბრანდშტეტერი (ერფურტი, უფასოდ), ჩედრიკ მაკიადი (ვერდერი, 3 მლნ), ერიკ იენდრიშეკი (კოტბუსი, უფასოდ), ბეგ ფერატი (სიონი, 0.2 მლნ).

### აინტრახტი
**-6.7 მლნ**

**მივიდნენ**: იოჰანეს ფლუმი (ფრაიბურგი, 2 მლნ), იან როზენტალი (ფრაიბურგი, უფასოდ), ფელიქს ვიდვალდი (დუისბურგი, უფასოდ), მარკო რუსი (ვოლფსბურგი, 0.4 მლნ), შტეფან შრიოკი (ჰოფენჰაიმი, უფასოდ), ხოსელუ (ჰოფენჰაიმი, არენდა), მარვინ ბაკალორცი (დორტმუნდი), ვაცლავ კადლეცი (სპარტა, 3.5 მლნ), ტრანკვილიო ბარნეტა (შალკე, 0.3 მლნ).

**წავიდნენ**: ჰაიკო ბუტშერი (ბოხუმი, უფასოდ), მარტინ ამედიკი (პადერბორნი, უფასოდ), იულიან დუდა (ვერდერი II, უფასოდ), ოკა ნიკოლოვი (ფილადელფია, უფასოდ), კარიმ მატმური (კაიზერსლაუტერნი, უფასოდ), ოლივიე ოუშენი (კაიზერსლაუტერნი).

### ჰამბურგი
**+8.1 მლნ**

**მივიდნენ**: კარემ დემირბაი (დორტმუნდი II, უფასოდ), ჯონათან თაა (ჰამბურგი II), ჟაკ ზუა (ბაზელი, 1 მლნ), იოჰან ჯურუ (არსენალი, არენდა), ლასე ზობიეხი (დორტმუნდი, 1.2 მლნ), ვალმირ ნაფიუ (ჰამბურგი II), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰერტა, უფასოდ), ჰაქან ჩალჰანოღლუ (კარლსრუე).

**წავიდნენ**: იანეკ შტერნბერგი (ვერდერი II), ჰეონ-მინ სონი (ლევერკუზენი, 10 მლნ), მარკუს ბერგი (პანათინაიკოსი, უფასოდ), ჯაკოპო სალა (ვერონა, 0.1 მლნ), პაულ შარნერი (კარიერა დაასრულა), კრისტიან ნოირგაარდი (ბრონდბიუ, 0.35 მლნ), დენის აოგო (შალკე, არენდა), პერ ცილიან სკიელბრედი (ჰერტა, უფასოდ), ჯეფრი ბრუმა (ჩელსი).










### გლადბახი
**-5.9 მლნ**

**მივიდნენ**: მაქს კრუზე (ფრაიბურგი, 2.5 მლნ), ჯოელ მერო (ლაჰტი, უფასოდ), კრისტოფ კრამერი (ლევერკუზენი, არენდა), რაფაელი (კიევის დინამო, 0.5 მლნ), ნიკო ბრანდენბურგერი (გლადბახი II), მაჰმუდ დაჰუდი (გლადბახი II).

**წავიდნენ**: ნიკლას დამსი (სერვეტი, უფასოდ), იგორ დე კამარგო (ჰოფენჰაიმი, 1.4 მლნ), მეთიუ ლეკიე (ფრანკფურტი, 0.3 მლნ), მაიკ ჰანკე (ფრაიბურგი, უფასოდ), მათიას ციმერმანი (ზანდჰაუზენი), თოლგა ჩიგერჩი (ვოლფსბურგი, არენდა), ალექსანდერ რინგი (ჰაიდუკი).

### ჰანოვერი
**-5.8 მლნ**

**მივიდნენ**: ფლორიან ბალასი (ნიურნბერგი II), კონსტანტინ ფური (შტუტგარტი II), სალიფ სანე (ნანსი, 2 მლნ), ედგარ პრიბი (ფიურტი, 2.5 მლნ), ლეონარდო ბიტენკური (დორტმუნდი, 2.8 მლნ), დენიზ კადა (ჰანოვერი II), ალმირ კასუმოვიჩი (ჰანოვერი II), ალი გიოქდემირი (ჰანოვერი II), მარსელო (პსვ).

**წავიდნენ**: ნიკო გისელმანი (ფიურტი), კონსტანტინ რაუში (შტუტგარტი), სოფიან ჩაჰედი (უკლუბოდ), სერჟიო და სილვა პინტუ (ლევანტე, უფასოდ), მარიო ეგიმანი (უნიონი, უფასოდ), მოჰამედ აბდელაუ (შტუტგარტი, 3.5 მლნ), საშა შიუნემანი (ჰანზა, უფასოდ), დანიელ როიერი (აუსტრია, 0.2 მლნ), დენიზ აიჩიჩერკი (დუისბურგი, უფასოდ), ქარიმ ჰაგი (შტუტგარტი).

### ნიურნბერგი
**+800 000**

**მივიდნენ**: მარტინ ანგა (არსენალი, უფასოდ), დანიელ გინჩეკი (დორტმუნდი, 1.5 მლნ), მარიუშ სტეპინსკი (ვიძევი, უფასოდ), ემანუელ პოგატეცი (ვოლფსბურგი, უფასოდ), იოზიპ დრმიჩი (ციურიხი, 2.2 მლნ), მაკოტო ჰასებე (ვოლფსბურგი, 2 მლნ).

**წავიდნენ**: ვილსონ კამავუაკა (უკლუბოდ), მანუელ ცაიტცი (პადერბორნი, უფასოდ), ტიმი სიმონსი (ბრიუგე, 0.5 მლნ), იულიან ვისმაიერი (ვეენი), ფილიპ კლემენტი (ნიურნბერგი II), ტიმ კლოზე (ვოლფსბურგი, 6 მლნ), ალმოგ კოენი (ინგოლშტადტი, უფასოდ), სებასტიან პოლტერი (ვოლფსბურგი).

### ვოლფსბურგი
**-18.1 მლნ**

**მივიდნენ**: შტეფან კუჩკე (ლაიპციგი, უფასოდ), დანიელ კალიჯური (ფრაიბურგი, 2.8 მლნ), მაქს გრიუნი (ფიურტი, 0.4 მლნ), ტიმ კლოზე (ნიურნბერგი, 6 მლნ), ლუის გუსტავო (ბაიერნი, 17.5 მლნ).

**წავიდნენ**: სოტირიოს კირიაკოსი (უკლუბოდ), ალექსანდერ მადლუნგი (უკლუბოდ), მარვინ ჰიტცი (აუგსბურგი, უფასოდ), იოჰანდრი ოროსკო (ტახირა, უფასოდ), მიხაელ შულცე (კოტბუსი), კევინ პანევიტცი (უკლუბოდ), მატეუშ კლიხი (ზვოლე, 0.2 მლნ), მარკო რუსი (აინტრახტი, 0.4 მლნ), ვაცლავ პილარი (ფრაიბურგი, 0.2 მლნ), ბიარნე თიოლკე (ვოლფსბურგი II), ემანუელ პოგატეცი (ნიურნბერგი), სიმონ კიაერი (ლილი, 2.5 მლნ), აკაკი გოგია (ჰალეშერი, უფასოდ), ფაგნერი (ვასკო), იბრაჰიმ სისოკო (სენტ ეტიენი), თომას კალენბერგი (ბრონდბიუ, უფასოდ), რასმუს იონსონი (ოლბორგი), ჯოვანი სიო (ბაზელი, 2 მლნ), პატრიკ ჰელმესი (კიოლნი, უფასოდ), მაკოტო ჰასებე (ნიურნბერგი, 2 მლნ), თოლგა ჩიგერჩი (ჰერტა), ფერჰან ჰასანი (ბრონდბიუ, 0.3 მლნ).

### შტუტგარტი
**+600 000**

**მივიდნენ**: გოტუკუ საკაი (ალბირექსი, 1.2 მლნ), შერჩან სარარერი (ფიურტი, უფასოდ), ტორსტენ კირშბაუმი (კოტბუსი, უფასოდ), კონსტანტინ რაუში (ჰანოვერი, უფასოდ), მარკო როხასი (მელბურნი, უფასოდ), დანიელ შვააბი (ლევერკუზენი, უფასოდ), მორიტც ლაიტნერი (დორტმუნდი, არენდა), მოჰამედ აბდელაუ (ჰანოვერი, 3.5 მლნ), ტიმო ვერნერი (შტუტგარტი II), ქარიმ ჰაგი (ჰანოვერი, 0.5 მლნ).

**წავიდნენ**: მარკ ციგლერი (კარიერა დაასრულა), მამადუ ბა (უკლუბოდ), შინჯი ოკაზაკი (მაინცი, 1.5 მლნ), ანდრე ვაისი (ინგოლშტადტი, 0.1 მლნ), რაფაელ ჰოლცჰოიზერი (აუგსბურგი, 0.3 მლნ), კევინ შტიოგერი (კაიზერსლაუტერნი), პატრიკ ბაუერი (მარიტიმო, 0.15 მლნ), ტამაშ ჰაინალი (ინგოლშტადტი, 0.25 მლნ), სერდარ ტასკი (სპარტაკი, 4 მლნ), იოჰან აუდელი (ნანტი), ტიმ ჰოოგლანდი (შალკე), ფელიპე (ვოლფსბურგი), ფედერიკო მაკედა (მანჩესტერ იუნაიტედი).

### მაინცი
**+3.3 მლნ**

**მივიდნენ**: კრისტოფ მორიტცი (შალკე, უფასოდ), იულიან კოხი (დორტმუნდი, 0.6 მლნ), იოჰანეს გაისი (ფიურტი, 0.9 მლნ), შინჯი ოკაზაკი (შტუტგარტი, 1.5 მლნ), სებასტიან პოლტერი (ვოლფსბურგი, 0.75 მლნ), დანი შაჰინი (ფორტუნა, 1.5 მლნ), იო-ჰუ პარკი (ბაზელი, 1 მლნ).

**წავიდნენ**: იან კირხჰოფი (ბაიერნი, უფასოდ), ფაბიან შიონჰაიმი (უნიონი, 0.3 მლნ), ივან კლასნიჩი (უკლუბოდ), რადოსლავ ზაბავნიკი (ზანდჰაუზენი, უფასოდ), მარკო კალიჯური (ბრაუნშვაიგი, უფასოდ), ანდრეას ივანშიტცი (ლევანტე, უფასოდ), მარსელ რისსე (კიოლნი, 0.7 მლნ), ადამ სალაი (შალკე, 8 მლნ), ტობიას შილკი (მაინცი II), ანტონი უჯა (კიოლნი, 2 მლნ), დენიზ ილმაზი (ელაზიგი, 0.25 მლნ).

### ვერდერი
**+4.5 მლნ**

**მივიდნენ**: ნილს პეტერსენი (ბაიერნი, 3 მლნ), ჩედრიკ მაკიადი (ფრაიბურგი, 3 მლნ), ლუკა კალდიროლა (ინტერი, 2.25 მლნ), იოჰანეს ვურტცი (ვერდერი II), ფრანკ დი სანტო (უიგანი, უფასოდ), სანტიაგო გარსია (რეინჯერსი/პალერმო).

**წავიდნენ**: კრისტიან ფანდერი (კარიერა დაასრულა), სოკრატის პაპასტატოპულოსი (დორტმუნდი, 9.5 მლნ), დენი ავდიჩი (ალკმაარი, 0.25 მლნ), ნიკლას ფიულკრუგი (ფიურტი, არენდა), მარკო არნაუტოვიჩი (სტოკი, 2.8 მლნ), ფლორიან ჰართერცი (0.3 მლნ), იოზეფ აკპალა (ქარაბიუქი, 0.25 მლნ), კევინ დე ბრუინი (ჩელსი).

### აუგსბურგი
**-1.6 მლნ**

**მივიდნენ**: მარვინ ჰიტცი (ვოლფსბურგი, უფასოდ), ბაირამ ნებიჰი (აუგსბურგი II), მათიას ფეტში (ოფენბახი, 0.2 მლნ), არიფ ექინი (აუგსბურგი II), რაფაელ ფრამბერგერი (აუგსბურგი II), ჰალილ ალთინთოფი (ტრაბზონი, უფასოდ), რაფაელ ჰოლცჰოიზერი (შტუტგარტი), პანაგიოტის ვლახოდიმოსი (ოლიმპიაკოსი), რაულ ბობადილია (ბაზელი, 1.5 მლნ), არკადიუშ მილიკი (ლევერკუზენი, არენდა), ჰეონ-ჰო ჰონგი (ჯეჯუ იუნაიტედი).

**წავიდნენ**: სიმონ იენტცში (კარიერა დაასრულა), სებასტიან ლანგკამპი (ჰერტა, უფასოდ), შტეფან ჰაინი (მიუნხენ 1860, უფასოდ), სომენ ჩოი (უკლუბოდ), მარკო თიედე (ზანდჰაუზენი, უფასოდ), ტორსტენ იორლი (ბრაუნშვაიგი, 0.5 მლნ), მილან პეტრჟელა (პლზენი, უფასოდ), არისტიდ ბონსე (ფორტუნა, 0.1 მლნ).

### ჰოფენჰაიმი
**-6.3 მლნ**

**მივიდნენ**: ვინჩენცო გრიფო (ჰოფენჰაიმი II), ანდრეას ლუდვიგი (ჰოფენჰაიმი II), კევინ აკპოგუმა (კარსლრუე, 1 მლნ), რობინ სარკა (ჰოფენჰაიმი II), იგორ დე კამარგო (გლადბახი, 1.4 მლნ), ტიმ პატეროკი (ჰოფენჰაიმი II), ტარიკ ელიუნუსი (რუსენბორგი, 3 მლნ), ტობიას შტრობლი (ჰოფენჰაიმი II), კენან კარამანი (ჰოფენჰაიმი II), ანტონი მოდესტე (ბორდო, 3 მლნ), ალექსანდერ შტოლცი (უკლუბოდ), ბრუნო ნაზარიო (ტომბენსე, 1.5 მლნ).

**წავიდნენ**: კრისი (ტომბენსე, უფასოდ), მიხაელ გრეგორიჩი (ზანკტ პაული), სანდრო ვიზერი (რიდი), დანიელ ვილიამსი (რედინგი, 2 მლნ), შტეფან შრიოკი (აინტრახტი), ფილიპ მალბაშიჩი (პარტიზანი), ხოსელუ (აინტრახტი, არენდა), ნოულეჯ მუსონა (კაიზერი, უფასოდ), აფრი აკვა (პარმა), ერენ დერდიოკი (ლევერკუზენი).

### ჰერტა
**-1 მლნ**

**მივიდნენ**: სებასტიან ლანგკამპი (აუგსბურგი, უფასოდ), ჰაიმე ჰოსოგაი (ლევერკუზენი, 1 მლნ), იოჰანეს ვან დერ ბერგი (ფორტუნა, უფასოდ), ალექსანდერ ბაუმიოჰანი (კაიზერსლაუტერნი, უფასოდ), პერ ცილიან სკიელბრედი (ჰამბურგი, უფასოდ), თოლგა ჩიგერჩი (ვოლფსბურგი).

**წავიდნენ**: ალფრედი მორალესი (ინგოლშტადტი, უფასოდ), მარვინ კნოლი (ზანდჰაუზენი, უფასოდ), შერვინ რაჯაბალი-ფარდი (ჰანზა, უფასოდ), ფელიქს ბასტიანსი (ბოხუმი), დანიელ ბაიხლერი (შტურმი, უფასოდ), მარკო დურიჩინი (შტურმი, უფასოდ), ფანოლ პერდედაი (ჰერტა II), რობერტ ანდრიხი (ჰერტა II), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი, უფასოდ), რომან ჰუბნიკი (პლზენი, უფასოდ).

### ბრაუნშვაიგი
**-1.4 მლნ**

**მივიდნენ**: ომარ ელაბდელაუი (მანჩესტერ სიტი II, 0.5 მლნ), მარკო კალიჯური (მაინცი, უფასოდ), იან ჰოხშაიდტი (აუე, 0.4 მლნ), ტორსტენ იორლი (აუგსბურგი, 0.5 მლნ), ტიმო პერთელი (დუისბურგი, უფასოდ), სიმონ ჯეკსონი (ნორვიჩი, უფასოდ), ქარიმ ბელარაბი (ლევერკუზენი, არენდა).

**წავიდნენ**: ემრე თურანი (ბერლინერი, უფასოდ), შტეფან ბოლი (უკლუბოდ), რაფაელ კორტე (ზაარბრიუკენი, უფასოდ), ოლივერ პეტერში (არმინია, უფასოდ), პიერ მერკელი (ჰალეშერი), ბიორკ კლუფტი (ზანდჰაუზენი).

**გოტფრიდ ლენცი**

# ესპანეთი. ლა ლიგა 2013/14. ზაფხულის ყველა ტრანსფერი

## ალმერია

**მოვიდნენ:** სებასტიან დუბარბიერი (კორდობა), ოსკარ დიასი (ლუგო, უფასოდ), სამუელ საისი (ხეტაფე), მარკოს ტებარი (ჟირონა, უფასოდ), როდრი (ბარსელონა, იჯარა), ვიქტორი (კარტახენა), ნიკო (კადისი, უფასოდ), სუსო (ლივერპული, იჯარა), ოსკარ უსტარი (ბოკა ხუნიორსი, უფასოდ), ხაიმე (ლევანტე), ნელსონი (პალერმო, იჯარა), ბონაკე (უელვა, უფასოდ), ნონო (რაიო ვალეკანო), მარკო ტორსილიერი (მეტალისტი, იჯარა), ადრი (ხაენი, იჯარა), ელდერ ბარბოსა (ბრაგა, იჯარა), ფრან ველესი (ტარაგონა)

**წავიდნენ:** პალიარდო (ლევანტე, დაბრუნდა იჯარიდან), შარლესი (სელტა, 1 მილიონი), იაგო ფალკე (ტოტენჰემი, დაბრუნდა), ადრიან გუნინო (ფენიქსი, დაბრუნდა), დიეგო გარსია (პონფერადინა, უფასოდ), ერნან ბერნარდელიო (მონრეალი), კარლოს კალვო (ქსანტი, უფასოდ), ალვარო მეხია (ერგოლეტისი, უფასოდ), რუბენ სუარესი (ქსანტი, უფასოდ), აბელ მოლონერო (ხაენი, უფასოდ)

## ათლეტიკო (ბილბაო)

**მოვიდნენ:** მიკელ რიკო (გრანადა, 2,8 მილ.), ბენიატი (ბეტისი, 8 მილ.), კიკე სოლა (ოსასუნა, 4 მილ.), მიკელ ბალენსიაგა (ვალიადოლიდი, 500 000), ჩაბიერ ეჩეიტა (ელჩე, უფასოდ), იაგო (ნუმანსია, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** იონ აურტენეჩე (სელტა, იჯარა), ინიგო პერესი (მალიორკა, იჯარა), რამალიო (ჟირონა, იჯარა), ინიგო რუის დე გალარეტა (მირანდესი, იჯარა), იბან სუბიაური (რასინგი, უფასოდ), ისმა ლოპესი (სპორტინგ, უფასოდ), ჩაბიერ კასტილიო (ლას პალმასი, უფასოდ), რაულ ფერნანდესი (ნუმანსია, იჯარა), იგორ მარტინესი (მირანდესი, უფასოდ), ფერნანდო ლორენტე (იუვენტუსი, უფასოდ), ფერნანდო ამორებიეტა (ფულჰემი, უფასოდ)

## ათლეტიკო (მადრიდი)

**მოვიდნენ:** ჟოსუა გილავოგი (სენტ ეტიენი, 10 მილ.), ტობი ალდერვეირელდი (აიაქსი, 7 მილ.), დანიელ არანსუბია (დეპორტივო, უფასოდ), რობერტო ხიმენესი (ბენფიკა, 6 მილ.), მარტინ დემიკელისი (მალაგა, უფასოდ), დავიდ ვილია (ბარსელონა, 5,1 მილ.), ლეო ბაპტისტაო (რაიო ვალეკანო, 7 მილ.), ხოსე ხიმენესი (დანუბიო, 900 000), რუბენ პერესი (ბეტისი, დაბრუნდა), რუბენ მიკაელი (ბრაგა, დაბრუნდა), ხოელ რობლესი (უიგანი, დაბრუნდა), პიცი (დეპორტივო, დაბრუნდა), ლეანდრო კაბრერა (ერკულესი, დაბრუნდა), სილვიო (დეპორტივო, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ლეანდრო კაბრერა (რეალი B, უფასოდ), მარტინ დემიკელისი (მანჩესტერ სიტი, 5 მილ.), ბორახ ბასტონი (დეპორტივო, იჯარა), პიცი (ბენფიკა, 6 მილ.), რობერტო ხიმენესი (ოლიმპიაკოსი, იჯარა), დომინგო სისმა (ელჩე, უფასოდ), სერხიო ასენხო (ვილიარეალი, იჯარა), კატა დიასი (ბოკა ხუნიორსი, უფასოდ), ხორხე პულიდო (რეალი B, უფასოდ), რუბენ პერესი (ელჩე, იჯარა), ხოელ რობლესი (ევერტონი, 4 მილ.), სილვიო (ბენფიკა, იჯარა), ფალკაო (მონაკო, 60 მილ.), რუბენ მიკაელი (ბრაგა, 3 მილ.)

## ბარსელონა

**მოვიდნენ:** ნეიმარი (სანტოსი, 57 მილ.), ბოიან კრკიჩი (რომა, 13 მილ.), იბრაჰიმ აფელაი (შალკე, დაბრუნდა), ისააკ კუენკა (აიაქსი, დაბრუნდა), ანდრეუ ფონტასი (მალიორკა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** რაფაელ ალკანტარა (სელტა, იჯარა), ტიაგო ალკანტარა (ბაიერნი, 25 მილ.), ხერარდ დეულოფეუ (ევერტონი, იჯარა), დავიდ ვილია (ატლეტიკო, 5,1 მილ.), ერიკ აბიდალი (მონაკო, უფასოდ), ბოიან კრკიჩი (აიაქსი, იჯარა), ანდრეუ ფონტასი (სელტა, 1 მილ.)

## სელტა

**მოვიდნენ:** იონ აურტენეჩე (ბილბაო, იჯარა), რაფაელ ალკანტარა (ბარსელონა, იჯარა), ნოლიტო (ბენფიკა, 2,6 მილ), ანდრეუ ფონტასი (ბარსელონა, 1 მილ.), შარლესი (ალმერია, 1 მილ.), იოელი (ლუგო, დაბრუნდა), დავიდ როდრიგესი (სპორტინგი (ხ), დაბრუნდა), დანი აბალო (ბეირა მარი, დაბრუნდა), ხოტა (რეალი B, დაბრუნდა).

**წავიდნენ:** ენრიკე დე ლუკასი (ერკულესი, უფასოდ), ნაჩო ინსა (ანთალია), ხოტა (ეიბარი, იჯარა), იაგო ასპასი (ლივერპული, 8,2 მილ.), რობერტო ლაგო (ხეტაფე, უფასოდ), დანი აბალო (ლუდოგორეცი), ხავი ვარასი (სევილია, დაბრუნდა), ვადიმ დემიდოვი (აინტრახტი (ფ), დაბრუნდა), ჩუ-იუნ პარკი (არსენალი, დაბრუნდა), დანიელ პრანიჩი (სპორტინგი (ლ), დაბრუნდა)

## ელჩე

**მოვიდნენ:** რიჩმონდ ბოაკიე (იუვენტუსი, იჯარა), ხავი მარკესი (მალიორკა, იჯარა), კარლოს სანჩესი (რეინჯერსი /ჩილე/), კრისტიან საპუნარუ (სარაგოსა, უფასოდ), დომინგო სისმა (ატლეტიკო, უფასოდ), ალბერტო ბოტია (სევილია, იჯარა), რუბენ პერესი (ატლეტიკო, იჯარა), დავიდ ლომბანი (ბარსელონა B), ტონიო (გრანადა, უფასოდ), მიროსლავ სტევანოვიჩი (სევილია, იჯარა), მანუდელ მორალი (სევილია, იჯარა), კარლეს ხილი (ვალენსია B), ლეანდრო მონტაგუდი (პონფერადინა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ბერი პაუელი (გაუშვეს), დიეგო რივასი (ეიბარი, იჯარა), პელაიო (კორდობა, იჯარა), ლეანდრო მონტაგუდი (ლევანტე B, უფასოდ), მიგელ ლინარესი (უელვა, უფასოდ), მიგელ პალანკა (ნუმანსია, უფასოდ), ხორდი ჩუმეტრა (ლევანტე, უფასოდ), ექტორ ვალდესი (ალკორკონი, უფასოდ), ჩაბირტ ეჩეიტა (ბილბაო, უფასოდ), ხავიერ ფლანიო (მირანდესი, უფასოდ), ანხელ როდრიგესი (ლევანტე, დაბრუნდა)

## ესპანიოლი

**მოვიდნენ:** გაბრიელ ტორიე (უდინეზე, იჯარა), ჯონ კორდობა (ხაგუარესი, იჯარა), ალექსი (რეალი B, 500 000), პიცი (ბენფიკა, იჯარა), სიდნეი (ბენფიკა, იჯარა), დავიდ ლოპესი (უესკა, 250 000), მანუელ ლანსაროტე (საბადელი, უფასოდ), აბრაამ გონსალესი (ალკორკონი, უფასოდ), ხუან რაფაელ ფუენტესი (კორობა), ხორდი ამატი (რაიო ვალეკანო, დაბრუნდა), ტიევი ბიფუმა (ლას პალმასი, დაბრუნდა), ადრიან ლუნა (ნასიონალი, დაბრუნდა), ხუან ალბინი (ნასიონალი, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ადრიან ლუნა (გაუშვეს), ხუან ალბინი (გაუშვეს), ვაკასო მუბარაქი (რუბინი, 6 მილ.), ხუან ფორლინი (ალ რაიანი, 3,5 მილ.), კრისტიან ალვარესი (სან ლორენსო, უფასოდ), ხორდი ამატი (სუონსი, 2,9 მილ.), რაულ ბაენა (რაიო ვალეკანო, უფასოდ), ჟოან ვერდუ (ბეტისი, უფასოდ), მარტინ პეტროვი (გაუშვეს), სამუელ ლონგო (ინტერი, დაბრუნდა)

## ხეტაფე

**მოვიდნენ:** ლისანდრო ლოპესი (ბენფიკა, იჯარა), ალექსისი (სევილია, უფასოდ), პედრო ლეონი (რეალი, 6 მილ.), სერხიო ესკუდერო (შალკე, 500 000), რობერტო ლაგო (სელტა, უფასოდ), ალექს პერესი (უესკა, დაბრუნდა), მიკუ (სელტიკი, დაბრუნდა), ხავიერ არისმენდი (მალიორკა, დაბრუნდა), ალვარო აროიო (ალკორკონი, დაბრუნდა), პედრო მოსკერა (რეალი B, დაბრუნდა), დანიელ გუისაა (ჯოჰორი, მალაიზია, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ალვარო ვასკესი (სუონსი, იჯარა), ალექს პერესი (ლევსკი, იჯარა), მიგელ ტორესი (ოლიმპიაკოსი, 500 000), ხავი ტორესი (ბეტისი, 2,8 მილ.), ხავიერ არისმენდი (დეპორტივო, უფასოდ), დანიელ გუისა (სერო პორტენიო, უფასოდ), აბდელაზიზ ბარადა (ალ ჯაზირა, 10 მილ.), მანე (მაკაბი, თელ-ავივი, უფასოდ), უგო ფრაილე (სპორტინგ (ხ), უფასოდ), პაკო ალკასერი (ვალენსია, დაბრუნდა), ფედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი, დაბრუნდა).

## გრანადა

**მოვიდნენ:** მატიას კამპოსი (უდინეზე, იჯარა), მიშელ პერეირა (მალიორკა, იჯარა), დიმიტრი ფულკიე (რენი, იჯარა), ოდიონ იგალო (უდინეზე, იჯარა), რესიო (მალაგა, იჯარა), ორესტის კარნეზისი (უდინეზე, იჯარა), ალექსანდრე კოეფი (უდინეზე, იჯარა), დუგლას სანტოსი (ნაუტიკო, 2,3 მილ.), გაი ასულინი (რასინგი, უფასოდ), იასინ ბრაიმი (რენი, 4 მილ.), მანუელ იტურა (მალაგა, უფასოდ), რიკი (დეპორტივო, უფასოდ), ესაიდ ბელქალემი (ქაბილი, უფასოდ), პიტი (რაიო ვალეკანო, უფასოდ), სილვან ვიდმერი (არაუ, დაბრუნდა), ალექს კრუსი (მურსია, დაბრუნდა), ჯეისონ მურილიო (ლას პალმასი, დაბრუნდა), დავიდ ფერეირო (რასინგი, დაბრუნდა), რიჩი კიტოკო (ჟირონა, დაბრუნდა), ხონა (გიმარაეში, დაბრუნდა), ხოსე მარია კასესი (ალკოიანო, დაბრუნდა), ექტორ იუსტე (რასინგი, დაბრუნდა), დავიდ დე კოსი (ლუგო, დაბრუნდა), იკეჩი ანია (უოტფორდი, დაბრუნდა), დანიელ პუდილი (უოტფორდი, დაბრუნდა), ტოტი (ერკულესი, დაბრუნდა) ალექს ბერნალი (ლეგანესი, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** გილერმე სიკეირა (ბენფიკა, იჯარა), დუგლას სანტოსი (უდინეზე, იჯარა), ტოტი (ალავესი, იჯარა), მიკელ რიკო (ბილბაო, 2,8 მილ.), ალექს ბერნალი (უესკა), ესაიდ ბელქალემი (უოტფორდი, იჯარა), მანუელ ლუსენა (მირანდესი, უფასოდ), ხუანმა ორტისი (ერკულესი, იჯარა), ირინეი (უოტფორდი, უფასოდ), იკეჩი ანია (უოტფორდი), ხონა (ხაენი, იჯარა), დანიელ პუდილი (უოტფორდი), რიჩი კიტოკო (ხაენი, იჯარა), გაი ასულინი (ერკულესი, იჯარა), ექტორ იუსტე (ერკულესი, იჯარა), დავიდ ფერეირო (ერკულესი, იჯარა), ტონიო (ელჩე, უფასოდ), სილვან ვიდმარი (უდინეზე, 750 000), ინოგო ლოპესი (პაოკ, უფასოდ), ხოსე მარია კასესი (პანთრაკიკოსი), დავიდ დე კოსი (ლუგო, უფასოდ), ნოლიტო (ბენფიკა, დაბრუნდა)

## ლევანტე

**მოვიდნენ:** რემი გომისი (ვალანსიენი, უფასოდ), ბაბა დიავარა (სევილია, იჯარა), ალოის ნონგი (მონსი, 300 000), სერჟიუ პინტუ (ჰანოვერი, უფასოდ), დავიდ ბარალი (ორდუსფორი, უფასოდ), ისამ ელ ადუა (გიმარაეში, უფასოდ), ხავი ხიმენესი (მურსია, უფასოდ), ხორდი ჩუმეტრა (ელჩე, უფასოდ), ანდრეას ივანშიტჩი (მაინცი, უფასოდ), ანხელ როდრიგესი (ელჩე, დაბრუნდა), მიგელ პალიარდო (ალმერია, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ხუანლუ (აეკ კალონი, უფასოდ), ვიქტორ იბორა (სევილია, 6 მილ.), როხერი (სარაგოსა, იჯარა), ხოსე ლუის მორალესი (ეიბარი, იჯარა), ივან ლოპესი (ჟირონა, იჯარა), ხოსე ხავიერ ბარკერო (სარაგოსა, უფასოდ), მიჩელი (ვალენსია, 420 000), დარიუშ დუდკა (გაუშვეს), სერხიო ბალესტეროსი (კარიერა დაასრულა), ვალდო (ატლანტე), რობერტ აკვაფრესკა (ბოლონია, დაბრუნდა)

## მალაგა

**მოვიდნენ:** მუნირ ელ ჰამდაუი (ფიორენტინა, იჯარა), რობერტო ჩენი (სან ფრანსისკო, პანამა, 400 000), ბარტლომეი პავლოვსკი (ვიძევი, იჯარა), მარკოს ანხელერი (ესტუდიანტესი, 230 000), როკე სანტა კრუსი (მანჩესტერ სიტი, უფასოდ), ფერნანდო ტისონე (სამპდორია, უფასოდ), ბობლი ანდერსონი (ვიდად კასაბლანკა, 1 მილ.), ვიტორინო ანტუნეში (პაკოშ ფერეირა, 1,25 მილ.), ფლავიო (აკადემიკა, 500 000), ედინიო (აკადემიკა, დაბრუნა), ხუანმი (რასინგი, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** სება ფერნანდესი (რაიო ვალეკანო, უფასოდ), რესიო (გრანადა, იჯარა), ხავიერ სავიოლა (ოლიმპიაკოსი, უფასოდ), ჟულიო ბაპტიშტა (კრუზეირო, უფასოდ), რუბენი (რაიო ვალეკანი, უფასოდ), მარტინ დემიკელისი (ატლეტიკო, უფასოდ), ჟერემი ტულალანი (მონაკო, 5 მილ.), ისკო (რეალი, 30 მილ.), ხოაკინი (ფიორენტინა, 1,8 მილ.), ედინიო (ბრაგა, უფასოდ), მანუელ იტურა (გრანადა, უფასოდ), ლუკას პიაზონი (ჩელსი, დაბრუნდა), ოგუჩი ონიევუ (სპორტინგ (ლ), დაბრუნდა), დიეგო ლუგანო (პსჟ, დაბრუნდა)

## ოსასუნა

**მოვიდნენ:** ორიოლ რიერა (ალკორკონი, 700 000), მიგელ დე ლას კუევასი (სპორტინგ (ხ), 1,2 მილ.), ფრანსისკო სილვა (უნივერსიდად კათოლიკა, 1,2 მილ.), ჟორდან ლოტიე (ნანსი, უფასოდ), ჟოან ორიოლი (ვილიარეალი, უფასოდ), ენეკო სატრუსტეგი (ნუმანსია, დაბრუნდა), რუპერი (მირანდესი, დაბრუნდა), იონ ეჩაიდე (უესკა, დაბრუნდა), ნაჩო საბალი (უესკა, დაბრუნდა), ჩავიერ ანუნსიატა (უესკა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** მასუდი (ლას პალმასი, უფასოდ), რუპერი (საბადელი, უფასოდ), ჩავიერ ანუნსიატა (ოვიედო, უფასოდ), დავიდ ტიმორი (ჟირონა, იჯარა), ნაჩო საბალი (უესკა), კიკე სოლა (ბილბაო, 4 მილ.), ნანო (ალავესი, უფასოდ), რიკარდო (დაასრულა კარიერა), ხოსება ლორენტე (სოსიედადი, დაბრუნდა), ანტონი ანანი (შალკე, დაბრუნდა), რუბენი (ბაქი, უფასოდ)

## რაიო ვალეკანო

**მოვიდნენ:** ხონათან ვიერა (ვალენსია, იჯარა), ზე კასტრო (დეპორტივო, უფასოდ), სება ფერნანდესი (მალაგა, უფასოდ), იაგო ფალკე (ტოტენჰემი, იჯარა), კრისტიან კუევა (უნიონ ესპანიოლა, იჯარა), ხოაკინ ლარივეი (ატლანტე), ალბერტო ბუენო (ვალიადოლიდი), ლეონელ გალეანო (ინდეპენდიენტე), რუბენი (მალაგა, უფასოდ), საულ ნიგესი (ატლეტიკო B, იჯარა), ნერი კასტილიო (პაჩუკა, უფასოდ), ხოან მოხიკა (დაპორტივო კალი, იჯარა), რაულ ბაენა (ესპანიოლი, უფასოდ), რაფა გარსია (ხერესი, დაბრუნდა), გაბრიელ მაჩადო (ერკულესი, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** რაულ ტამუდო (საბადელი, უფასოდ), გაბრიელ მაჩადო (სირიანსკა, უფასოდ), რაფა გარსია (ლუგო, უფასოდ), დანიელ ხიმენესი (ალკორკონი, უფასოდ), ალეხანდრო დომინგესი (ოლიმპიაკოსი, უფასოდ), ლეო ბაპტიშტაო (ატლეტიკო, 7 მილ.), ხავი ფუეგო (ვალენსია, უფასოდ), პიტი (გრანადა, უფასოდ), ანდრია დელიბაშიჩი (თავისუფალი აგენტი), ხოსე მანუელ კასადო (უგუნდოდ), მიკელ ლაბაკა (დაასრულა კარიერა), ხორდი ამატი (ესპანიოლი, დაბრუნდა), ფრანკო ვასკესი (პალერმო, დაბრუნდა), ხორდი ფიგერასი (ბრიუგე, დაბრუნდა)

## ბეტისი

**მოვიდნენ:** ხავი ტორესი (ხეტაფე, 2,8 მილ.), ვინჩენცო რენელია (ჯენოა, უფასოდ), დიდაკ ვილა (მილანი, იჯარა), ბრაიან როდრიგესი (უაჩიპატო, 1 მილ.), ხორდი ფიგერასი (ბრიუგე), მარკუს შტაინჰოფერი (ბაზელი, უფასოდ), გილერმო სარა (ატლეტიკო რაფაელა, იჯარა), ლორენცო რეიესი (უაჩიპატო, 900 000), ჩული (უელვა, 800 000), სტეფან ანდერსენი (ევიანი, უფასოდ), ჟოან ვერდუ (ესპანიოლი, უფასოდ), სედრიკ მაბვატი (ნუმანსია, უფასოდ), ხუანფრანი (რეალი B, უფასოდ), ესეკილ კალვენტე (ფრაიბურგი, დაბრუნდა), ხონათან პერეირა (ვილიარეალი, დაბრუნდა), ხავიერ მატილია (მურსია, დაბრუნდა), სალვადორ აგრა (სიენა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ფაბრი (დეპორტივო, უფასოდ), ალექს მარტინესი (მურსია, იჯარა), მარიო ალვარესი (ბაქი, უფასოდ), ვინჩენცო რენელია (ლუგო, იჯარა), კასტრო (მურსია, უფასოდ), ანხელ ლოპესი (ლას პალმასი, უფასოდ), სალვადორ აგრა (ბრაგა, იჯარა), ესეკილ კალვენტე (უელვა, იჯარა), ალეხანდრო პოსუელო (სუონსი, 500 000), ბენიატი (ბილბაო, 8 მილ.), ხოსე კანიასი (სუონსი, უფასოდ), ადრიანი (ვესტ ჰემი, უფასოდ), ხონათან პერეირა (ვილიარეალი), რუბენ პერესი (ატლეტიკო, დაბრუნდა), დორლან პაბონი (პარმა, დაბრუნდა), ჯოელ კემპბელი (არსენალი, დაბრუნდა), გილერმო მოლინსი (ანდერლეხტი, დაბრუნდა)

## რეალი

**მოვიდნენ:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი, 100 მილ.), ასიერ ილიარამენდი (სოსიედადი, 39 მილ.), ისკო (მალაგა, 30 მილ.), დანიელ კარვახალი (ბაიერი, 6,5 მილ.), კაზემირო (სან პაულო, 6 მილ.), პედრო ლეონი (ხეტაფე, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** მესუთ იოზილი (არსენალი, 50 მილ.), დენის ჩერიშევი (სევილია, იჯარა), კაკა (მილანი, უფასოდ), ანტონიო ადანი (უგუნდოდ), გონსალო იგუაინი (ნაპოლი, 37 მილ.), რაულ ალბიოლი (ნაპოლი, 12 მილ.), ხოსე კალეხონი (ნაპოლი, 9,5 მილ.), პედრო ლეონი (ხეტაფე, 6 მილ.), რიკარდო კარვალიო (მონაკო, უფასოდ), მიკაელ ესიენი (ჩელსი, დაბრუნდა)

## სოსიედადი

**მოვიდნენ:** ესტებან გრანერო (ქუინზ პარკი, იჯარა), ოსკარ ვეგა (ლეგანესი, უფასოდ), მიკელ აბაროა (ეიბარი, უფასოდ), ჰარის სეფეროვიჩი (ფიორენტინა, 3 მილ,), ხოსება ლორენტე (ოსასუნა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ოსკარ ვეგა (უნიონი, იჯარა), მიკელ აბაროა (უნიონი, იჯარა), ასიერ ილიარამენდი (რეალი, 39 მილ.), ხოსება ლორენტე (გაუშვეს)

## ვალიადოლიდი

**მოვიდნენ:** ფაუსტო როსი (იუვენტუსი, იჯარა), უმბერტო ოსორიო (სან მარტინი), ჰაინც ბარმეტლერი (ვადუცი, უფასოდ), ომარი (უესკა), დიეგო მარანიო (ვილიარეალი), ზაქარია ბერგდიხი (ლანსი, 750 000), ალკატრასი (ონსე კალდასი), კარლოს ლასარო (უესკა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** კიკე (გვადალახარა), კარლოს ლასარო (ალავესი), ალბერტო ბუენო (რაიო ვალეკანო), დანი ერნანდესი (ასტერასი, იჯარა), მიკელ ბალენსიაგა (ბილბაო, 500 000), ხუან ნეირა (ხიმნასია ლა პლატა, დაბრუნდა), ენრიკე სერენო (პორტუ, დაბრუნდა)

## სევილია

**მოვიდნენ:** დენის ჩერიშევი (რეალი, იჯარა), სტეფან მბია (ქუინზ პარკი, იჯარა), ვისენტე იბორა (ლევანტე, 6 მილ.), სებასტიან კრისტოფორო (პენიაროლი, 2,25 მილ.), კევინ გამეირო (პსჟ, 7,5 მილ.), დიეგო ფიგერასი (პაკოშ ფერეირა, 1 მილ.), დანიელ კარიკო (რედინგი, იჯარა), კარლოს ბაკა (ბრიუგე, 7 მილ.), ნიკოლას პარეხა (სპარტაკი, იჯარა), ვიტოლო (ლას პალმასი, 3,2 მილ.), რაულ რუსესკუ (სტიაუა, 2,50 მილ.), ხაირო სამპეირო (რასინგი, 2,5 მილ.), ბეტუ (ბრაგა, 2 მილ.), მარკო მარინი (ჩელსი, იჯარა), ხავი ვარასი (სელტა, დაბრუნდა), ტიბერიო გუარანტე (ბოლონია, დაბრუნდა), ლაუტარო აკოსტა (ბოკა ხუნიორსი, დაბრუნდა), ბერნარდო ესპინოსა (სპორტინგ (ხ), დაბრუნდა), ემირ სპაჰიჩი (ანჟი, დაბრუნდა), ალექსისი (ხეტაფე, დაბრუნდა), ლუის ალბერტო (ბარსლეონა B, დაბრუნდა), ჰიროში იბუსუკი (ეუპენი, დაბრუნდა), ანტონიო ლუნა (მალიორკა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ჟოფრე კონდოგბია (მონაკო, 20 მილ.), ტიბერიო გუარანტე (კატანია, იჯარა), ბაბა დიავარა (ლევანტე, იჯარა), ხავი ერვასი (ერკულესი, იჯარა), გარი მედელი (კარდიფი, 13 მილ.), ალექსისი (ხეტაფე, უფასოდ), ალბერტო ბოტია (ელჩე, იჯარა), ხოსე კამპანია (კრისტალ პალასი, 2 მილ.), ალვარო ნეგრედო (მანჩესტერ სიტი, 25 მილ.), ლაუტარო აკოსტა (ლანუსი, უფასოდ), ჰიროში იბუსუკი (ვალენსია B), მიროსლავ სტევანოვიჩი (ელჩე, იჯარა), მანუდელ მორალი (ელჩე, იჯარა), ხესუს ნავასი (მანჩესტერ სიტი, 20 მილ.), ლუის ალბერტო (ლივერპული, 8 მილ.), ანტონიო ლუნა (ასტონ ვილა, 2 მილ.), ემირ სპაჰიჩი (ბაიერი, 400 000), ანდრეს პალოპი (ბაიერი, უფასოდ), ბერნარდო ესპინოსა (სპორტინგ (ხ), უფასოდ).

## ვალენსია

**მოვიდნენ:** დორლან პაბონი (მონტერეი, 8 მილ.), ელდერ პოშტიგა (სარაგოსა, 3 მილ.), ორიოლ რომეუ (ჩელსი, იჯარა), ნელსონ ვალდესი (რუბინი, 3 მილ.), მიჩელი (ლევანტე, 420 000), ხავი ფუეგო (რაიო ვალეკანო, უფასოდ), პაკო ალკასერი (ხეტაფე, დაბრუნდა), ფერნანდო გაგო (ველეს სარსფილდი, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ხონათან ვიერა (რაიო ვალეკანო, იჯარა), ალი სისოხო (ლივერპული, იჯარა), დავიდ ალბელდა (კარიერა დაასრულა), რობერტო სოლდადო (ტოტენჰემი, 30 მილ.), ფერნანდო გაგო (ბოკა ხუნიორსი, 1,7 მილ.), ნელსონ ვალდესი (ალ ჯაზირა, 3 მილ.), ტინო კოსტა (სპარტაკი, 7 მილ.).

## ვილიარეალი

**მოვიდნენ:** გაბრიელ პაულისტა (ვიტორია, 3,3 მილ.), სერხიო ასენხო (ატლეტიკო, იჯარა), ჯოვანი დოს სანტოსი (მალიორკა, 6 მილ.), ალეკსანდარ პანტიჩი (ცრვენა ზვეზდა, 300 000), ტომას პინა (მალიორკა, 5 მილ.), ბოიან იოკიჩი (კიევო, უფასოდ), ჟერემი პერბე (მონსი, 1,4 მილ.), ხონათან პერეირა (ბეტისი), ხოსელუ (კორდობა, დაბრუნდა), ხავიერ კამუნიასი (დეპორტივო, დაბრუნდა), კრისტიან საპატა (მილანი, დაბრუნდა), ხერარდ ბორდასი (ჟირონა, დაბრუნდა)

**წავიდნენ:** ხავიერ კამუნიასი (გაუშვეს), ხუანმა (ალავესი, უფასოდ), ხერარდ ბორდასი (ჟირონა, უფასოდ), გუილემ ტრუიოლსი (მურსია, უფასოდ), ხავი ვენტა (ბრენტფორდი, უფასოდ), ოლოფ მელბერგი (კოპენჰაგენი, უფასოდ), ხოსელუ (უელვა, უფასოდ), დიეგო მარინიო (ვალიადოლიდი), კრისტიან საპატა (მილანი, 6 მილ.), მარკოს სენა (ნიო იორკ კოსმოსი, უფასოდ), ჟოან ორიოლი (ოსასუნა, უფასოდ), ექტორ კანტეროსი (ველეს სარსფილდი, დაბრუნდა).

**შენიშვნა:** თანხები მითითებულია ევროში.

**ტატო ბაციკაძე**

ძიუდო

# მსოფლიოს ჩემპიონები თბილისში ჩამოფრინდნენ



ძიუდოს გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული - საქართველოს ეროვნული ნაკრები 4 აგვისტოს გამთენიისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა.

3 აგვისტოს ძიუდოისტთა ეროვნულ ნაკრებს წარმატება საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა მიულოცეს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სტამბოლი-თბილისის რეისით ჩამოფრენილ დელეგაციას კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლევან ყიფიანი**, ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები დახვდნენ.

ბრაზილიაში, ქალაქ რიო დე ჟანეიროში 26 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით გამართულ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. მთავარ მწვრთნელ **ირაკლი უზნაძის** ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებმა ფინალის გზაზე სამი შეხვედრა ჩაატარა და სამივე დამაჯერებლად მოიგო. 1/8 ფინალში ქართველებმა საფრანგეთს სძლიეს, 1/4 ფინალში მონღოლეთს, ხოლო 1/2 ფინალში უზბეკეთს. ფინალში კი რუსეთის ეროვნული ნაკრები 3:2 დაამარცხეს და მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტულს დაეუფლნენ.

რუსეთთან ფინალურ შეხვედრაში **ლაშა შავდათუაშვილისა** და **ზებედა რეხვიაშვილის** მარცხის შემდეგ, საქართველო 0:2 აგებდა, თუმცა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა** თავიანთ შეხვედრებში იმარჯვეს და ანგარიში გაათანაბრეს - 2:2, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი მძიმეწონოსანმა - **ადამ ოქრუაშვილმა** მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ - ალექსანდრ მიხაილინს მოუგო და ჯამში საქართველომ 3:2 გაიმარჯვა. ბრინჯაოს მედლები იაპონიამ და გერმანიამ მოიპოვეს.

ინდივიდუალურ ტურნირში ქართველმა ძიუდოისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატი 2 ვერცხლის მედლით დაასრულეს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები - **ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ)** გახდნენ.

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**

# ვალერი ლიპარტელიანი: ვაღიარებ, მაჯობა!

## ქართველ ფალავანს ჩელიაბინსკში ჩასვლა არ აშინებს

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები თბილისში დაბრუნდა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ვალერი ლიპარტელიანი (90) გუნდურში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი გახდა, თუმცა იქვე სკანდალშიც გაეხვია. რუსი კირილ დენისოვი მას არასპორტულ საქციელში ადანაშაულებს - ლიპარტელიანმა ორთაბრძოლისას მიკბინა და მიკვირს, რატომ არ დასაჯეს მსაჯებმაო. რუსთა მწვრთნელი დმიტრი მოროზოვი უფრო შორს მიდის და არბიტრების მოსყიდვას გვაბრალებს. ცხადია, ლიპარტელიანს ამ თემაზეც ვთხოვეთ განმარტება და მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამოსვლის თაობაზეც ვკითხეთ...**

- არავითარი კბენა არ ყოფილა, ეგ მარცხის ახსნის ერთ-ერთი მიზეზია, - გვითხრა ლიპარტელიანმა, - ჭიდაობისას იყო მომენტი, როცა „მატეს" შემდეგ აგრძელებდა „მტკივნეულს" და ამაზე ცოტა კი მივარტყი. დენისოვს ახასიათებს ეს - ევროპის ჩემპიონატზეც იგივე გამიკეთა და ორი თვე მტკიოდა ხელი. სხვებთანაც აკეთებს ასე. მაგალითად, მასტერსზე ბრაზილიელ ტიაგო კამილოსაც ასე მოექცა. მართლა რომ მეკბინა, მსაჯები ხომ დააფიქსირებდნენ, ყველგან კამერებია დაყენებული. შეხვედრის შემდეგ მივედი და ვუთხარი - არ იქცევი სწორად, ევროპაზეც ასე გააკეთე და არაა შენგან ლამაზი-მეთქი. თან წაგების გამო ვანუგეშე, ძალიან კი განიცადეს მარცხი... პიროვნულად, მათთან არ გვაქვს ცუდი ურთიერთობა და ამიტომ მოვექეცი ასე. სხვათა შორის, მერე მიხაილინი მოვიდა, გამარჯვება მოგვილოცა და გვითხრა - ქართული ღვინო თქვენზეაო.

**- ანუ, დენისოვთან ბოდიშის მოსახდელად არ მისულხართ, როგორც ამას ის ამბობს და რაც რუსულმა პრესამაც აიტაცა?**

- არა, მხოლოდ ვანუგეშე და ვუთხარი, რომ ასე არ შეიძლებოდა. კიდევ ვიმეორებ - მართლა რომ მეკბინა, ვინ მაპატიებდა? მსაჯის „მატე" რომ გავიგონე, მოვეშვი, მაგრამ ის ხელს არ მიშვებდა.

**- ამასობაში, რუსებმა ერთი ამბავი ატეხეს იქაურ მედიაში და მსაჯების მოსყიდვაშიც კი დაგვადანაშაულეს. თუ არაფერი მომხდარა და ტყუიან, ჩვენი ფედერაცია არ აპირებს, ამ სიცრუეს უპასუხოს?**

- მოსყიდვა მათი მოგონილია, ამიტომ, რუსებისგან ამის დაბრალება სასაცილოა. როგორც ვიცი, ჩვენი ფედერაცია ოფიციალურ გამოხმაურებას არ აპირებს. გავიგე, გადანოვს ისიც უთქვამს, ჩამოვლენ ეგენი ჩელიაბინსკშიო... არც მაგის გვეშინია - ჩელიაბინსკშიც ვიყავით ჩასულები და იქაც მოვუგეთ. არ მეგონა, წაგება ასე თუ გააბრაზებდათ.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ გამოსვლას როგორ აფასებთ?**

- თავიდან ნორმალურად დავიწყე, კარგ ფორმაშიც ვიყავი, ყველანაირად მომზადებული, ფინალამდე კარგადაც ვიჭიდავე, მაგრამ... ფინალში კუბელმა ეშლი გონსალესმა ტაქტიკურად მაჯობა. თავიდან რამდენიმე „შესვლა" დამასწრო და ვფიქრობ, ცოტა უკეთ იყო მომზადებული.

**- იქნებ, დენისოვთან იმ დასამახსოვრებელი მოგების შემდეგ ფსიქოლოგიურად დაიცალეთ და ვეღარ განეწყვეთ საჭიდაოდ?**

- ამაზე იქაც იყო ლაპარაკი, მაგრამ არ ვეთანხმები. უკვე იმდენი გამოცდილება დამიგროვდა, ერთი წამით არ მიფიქრია, თითქოს უკვე ჩემპიონი ვიყავი. თან, კუბელი მეტად იყო დაღლილი ჯარჯი ზვიადაურთან ჭიდაობით. აქედან გამომდინარე, სრულად ვიყავი მობილიზებული და არც შეცდომები დამიშვია, მაგრამ ცოტათი მაჯობა, რაზეც ზემოთ გითხარით. შეიძლებოდა, უფრო მეაქტიურა და მსაჯის მოსაჩვენებლად „შესვლები" მე გამეკეთებინა, მაგრამ ორ მომენტში დამასწრო და ერთი გაფრთხილებით მომიგო. ვერაფერს ვიტყვი - მაჯობა.

**- როცა გაფრთხილებით ჩამორჩით, სულ ველოდით, რომ „ჩავლებაზე" გადაეწყობოდით და გაფრთხილებებზე იჭიდავებდით, თქვენ კი ჯიუტად ცდილობდით ილეთის გაკეთებას...**

- გეთანხმებით, მაგრამ გონსალესი ისეთი მოჭიდავეა, რომ გაფრთხილებით თუ დაწინაურდა, მერე ამის საშუალებას აღარ გაძლევს. „ჩავლებას" როგორც კი აუღებ, მაშინვე ილეთების კეთებას იწყებს ან ჩახტომით, ან - დგომიდან გდებით. მსაჯებზე ლაპარაკი არ მინდა - აჯობებს, მიზეზი ჩემს თავში ვეძებო, ვიდრე მათ დავაბრალო, მაგრამ შეიძლებოდა, პირველი გაფრთხილება არ მოეცა. იქ ისეთი არაფერი ყოფილა, „გდებისთვის გაკეთებული შესვლა" რომ დავარქვათ, უფრო თავიდან მოსაშორებლად დამიხტა „კისრულზე".

**- გულშემატკივრებს ძალიან უნდოდათ, ქართული ფინალი ეხილათ, მაგრამ აქამდე ილიადისს, ანუ იმავე ჯარჯი ზვიადაურს, სულ რაღაც 15 წამი დააკლდა...**

- ეს ჩვენი დიდი სურვილიც იყო. ძალიან გვინდოდა, 2007 წლის შემდეგ, იმავე რიოში, სადაც გადამწყვეტ შეხვედრაში ჯარჯიმ და ირაკლი ცირეკიძემ იჭიდავეს, მეორედ განმეორებულიყო ქართული ფინალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯარჯიმ წააგო. ამაზე ორივეს ძალიან დაგვწყდა გული.

**- გუნდურ ტურნირში გამოსვლაზე რას იტყვით?**

- მთელი გუნდი მაქსიმალურად მობილიზებული იყო და საჭიდაოდ მიმავლებს საჩემპიონო განწყობა გვქონდა. თუმცა ძალიან ძნელ ჯგუფში მოვხვდით - საფრანგეთი, იაპონია, მონღოლეთი, უზბეკეთი... თუმცა იმდენად ვიყავით მობილიზებულნი, ყველას მოვუგეთ. უკლებლივ ყველამ მთელი სული და გული ჩადო ორთაბრძოლებში და ბოლომდე დაიხარჯა. შავდათუაშვილზე ვიტყვი, რომ 6 კილოგრამი დაიკლო და გაუჭირდა, თუმცა თავიდან იმის შიში იყო, რომ ვერ დაიკლებდა ან ვერ იჭიდავებდა. საბედნიეროდ, ეს შეძლო, თუმცა იქნებ - ძველებურად ვერა, მაგრამ როცა გუნდში ოლიმპიური ჩემპიონი გყავს, სულ სხვა იმედი და განწყობაა. ეს მეტოქეზეც მოქმედებს და ვფიქრობ, შავდათუაშვილის ყოფნამ დადებითი გავლენა მაინც მოახდინა.

**- თქვენს გამარჯვებაზე უცხოელთა რეაქცია როგორი იყო? რაც უნდა იყოს, მესამედ გახდით მსოფლიოს ჩემპიონები...**



ვალერი ლიპარტელიანი (მარცხნივ) და ეშლი გონსალესი ფინალში

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ ასეთი ძლიერი ტურნირი ადრე არ ყოფილა. მაგალითად, ადრე გუნდურ ტურნირებზე ფრანგებმა რინერი მხოლოდ ბოლო შეხვედრაში აჭიდავეს, იმავე რუსების ნაკრებში კი ადრე არც დენისოვი და არც ივან ნიფონტოვი არ ჭიდაობდნენ. ორივე საჩემპიონოდ იბრძოდა. რუსები არც მალავდნენ, რომ პირადში წარუმატებლად გამოვიდნენ და ამის კომპენსაცია გუნდურში სურდათ, თუმცა კოვზი ნაცარში ჩავუგდეთ. 2:0 რომ დაწინაურდნენ, გახარებული, თითქოს დამცინავი სახეებით გვიყურებდნენ. ეგონათ, რომ რევანში აგვილეს, რაკი პირადში ოთხ რუსს მოვუგეთ - რეხვიაშვილმაც, ჭრიკიშვილმაც, მეც და ოქრუაშვილმაც.

**- 0:2-ზე თქვენი განწყობა როგორილა იყო? მაინც გჯეროდათ გამარჯვების?**

- პირადად მე, რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. რეხვიაშვილის წაგება ფრიად მოულოდნელი კი იყო და ერთი მომენტი იქნებ დაგვეშვა კიდეც, რომ გავტყდით, მაგრამ ჭრიკიშვილის გამარჯვების შემდეგ მოგება ვირწმუნეთ. ჩემს მერე ოქრუაშვილმაც ბრწყინვალედ იჭიდავა. აქვე, დარბაზში მყოფ ქართველ ქომაგებზეც უნდა ვთქვა - მათმა მხარდაჭერამ დიდი ძალა მოგვცა, რისთვისაც მადლობელი ვართ.

**- საინტერესოა, დენისოვთან საჭიდაოდ რა დავალებით, რა სტრატეგიით გაგიშვეს მწვრთნელებმა ორივე შეხვედრაში?**

- შეიძლებოდა, უფრო გამემწვავებინა და ილეთზე წავსულიყავი, მაგრამ ვცდილობდი, მაქსიმალურად შედეგზე მეჭიდავა. ვფიქრობ, ტაქტიკურად სწორად ვიჭიდავე, თუმცა გუნდურში თავიდან კი გამაფრთხილეს. სხვათა შორის, იქაც უსაფუძვლოდ და როცა რუსები მსაჯების მოსყიდვაზე ლაპარაკობენ, კარგად დააკვირდნენ შეხვედრებს, რამდენჯერ გაგვაფრთხილეს უსაფუძვლოდ მეც და სხვებიც. ამის მიუხედავად, მსაჯებსაც ვძლიეთ და მეტოქეებსაც... მწვრთნელთა დავალებებს რაც შეეხება, ამაზე მთელი სეზონი ვმუშაობდით, რაშიც ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილიც აქტიურად იყო ჩართული. დენისოვთან ტაქტიკურად, „ჩავლებებზე", ფეხების სწორად მოძრაობაზე უნდა იჭიდაო... ადრე გდებებს ძირითადად ფეხის გამოკვრით მიკეთებდა და მწვრთნელი ირაკლი უზნაძე ამ შეხვედრებშიც სულ მომიწოდებდა - ფეხები დაიცავიო. ამჯერად, სრულად ვიყავი მობილიზებული და ადრე თუ რაღაც შეცდომები მეპარებოდა, ახლა მეტოქე სრულად მყავდა შესწავლილი.

**- შეიძლება ითქვას, რომ დენისოვს გასალები მოარგეთ?**

- კი, შეიძლება ამის თქმაც. მას ფიზიკურადაც ვაჯობე - „ჩავლებას" რომ ავუღებდი, ვგრძნობდი, რომ ველარ მიძლებდა, ხელს ვერ მაშვებინებდა. მასთან საჭიდაოდ რომ შევდიოდი, მჯეროდა, გდებას ვერ გამიკეთებდა და ილეთი არც გამიშვია.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# მეორე სიმაღლეც დასძლია

ქართველი ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მონაწილეობს და ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია. ჯერ, როგორც უკვე გაუწყეთ, ჩინელი იი იანი დაამარცხა (6:2, 6:3), გუშინ კი მსგავსი ანგარიშით უკრაინელ განა როზნიხირენკოს დააყრევინა ფარ-ხმალი. მეოთხედფინალში თბილისელი სპორტსმენი მასპინძელ ალიონა ტარასოვასთან (ამ უკანასკნელმა მე-6 ნომრად განთესილ თანამემამულე მარინა მელნიკოვას აჯობა - 7:6, 4:6, 6:0) გაარკვევს ურთიერთობას. შეგახსენებთ, რომ შაფათავა მეორე ნომრადაა განთესილი. ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ნუდნიდა ლუანგნამი (ტაილანდი) უკრაინელმა ოლგა იანჩუკმა ჩამოიშორა გზიდან. მეოთხედფინალში უკრაინელი რუს ევგენიას როდინას შეხვდება.

შაფათავა წყვილებში იულია კალიაბინასთან (რუსეთი) ერთად ტურნირის მეოთხე ნომერია და პირველ წრეში ამინატ კუშხოვას (რუსეთი) და განა როზიხირენკოს (უკრაინა) დუეტს გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

# თელავი უქართველებოდ

როგორც ვწერდით, ჩოგბურთელ ვაჟათა თელავის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) ძირითად ბადეში რვა მასპინძელი ჩაება, მეოთხედფინალში კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ გააღწია. გუშინ მეორე წრეში დამარცხდა **ალექსანდრე მეტრეველი** - მას პირველ ნომრად განთესილმა ბენჯამინ ბალერეტმა (ჩერნოგორია) აჯობა - 6:3, 6:3, ხოლო თბილისელმა **სურენ ვართანიანმა** მე-8 ნომერ არკადიუშ კოსილასთან (პოლონეთი) წააგო - 3:6, 3:6. მეოთხედფინალში სწორედ ბალერეტი და კოსილა დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. დანარჩენები კი ასე დაწყვილდნენ: იური კრივოი (უკრაინა) - რომაინ არნეოდო (საფრანგეთი), ბლაზეი კონიუში (პოლონეთი) - მარად დევიატიაროვი (უკრაინა), პეტერ გოლდშტენიერი (ავსტრია) - ტონი ანდროიჩი (ხორვატია).

წყვილებში **მიხეილ ხმიადაშვილმა** იური კრივოისთან ერთად კონსტანტინ გერლახი და მიხაილ ხალდეევი (ორივე - რუსეთი) დაამარცხა - 6:3, 6:4. მეოთხედფინალში კოსილასა და კონიუშის (პოლონეთი, მე-2 ნომერი) დუეტს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

ინტერვიუ ნიკოლოზ ქავქავაძესთან

# ჩვენთვის წარმატება მხოლოდ ჩემპიონობაა

**რაგბის კლუბი „არმია“ 2011 წელს დაარსდა. ორწლიანი არსებობის მანძილზე თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გუნდმა წარმატებით იასპარეზა. ჯერ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მერე კი, გასულ სეზონში ვერცხლის მედლებს დასჯერდა. „არმია“ თავიდანვე სხვადასხვა კლუბში აღზრდილი მოთამაშეებით შეივსო და ერთ-ერთ უძლიერეს, საკმაოდ ღონიერ გუნდად ჩამოყალიბდა. არმიელებს ყველანაირი პირობა აქვთ ნორმალური ვარჯიშისა და დასვენება-აღდგენითი პროცესებისთვის. ის ერთადერთი გუნდია, რომელმაც სეზონისწინა საწვრთნელი შეკრება საზღვარგარეთ გაიარა. გუნდის მზადებისა და მომავლის გეგმების შესახებ „არმიას“ მთავარ მწვრთნელს ნიკოლოზ ქავქავაძეს ვესაუბრეთ.**



გიორგი შკინინის სალელოვე შეტევა

**- მოდით შარშანდელი სეზონის მოკლე შეფასებით დავიწყოთ. გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს წარმატებად არ მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრი გუნდი ოცნებობს ამაზე. ამიტომ, ცოტა უხერხულია გკითხოთ, რა არის წარუმატებლობის მიზეზი...**

- დიახ, ნამდვილად ასეა. ჩვენთვის წარმატება მხოლოდ ჩემპიონობაა. შარშან ეს რიგი ფაქტორების გამო ვერ შევძელით. გუნდში სეზონის განმავლობაში ბევრი ტრავმირებული მორაგბე გვყავდა. ლიდერების არყოფნამ გამოიწვია შეცდომები თამაშისას გადაწყვეტილებების მიღებაში. მერე ფინალში გუნდს რა დავალებაც მივეცით, არ შესრულდა. „ლელო“ კარგი, მებრძოლი გუნდია, რომელმაც მოინდომა, ყველაფერი გააკეთა წარმატების მისაღწევად. ერთი სიტყვით, ლელოელებმა ხასიათითაც გვაჯობეს და ჭკუითაც.

**- წლევანდელი სეზონის წინ კლუბების უმრავლესობას ფინანსურად გაუჭირდა. თუმცა, ამ პრობლემის გადაჭრის გზა მოიძებნა. თქვენს კლუბს ეს პროცესები არ შეეხო...**

- კარგია, რომ სარაგბო კლუბებს სახელმწიფო დაეხმარა. ამით მდგომარეობა დაბალანსდა. გუნდებს საშუალება მიეცა გაძლიერებულიყვნენ და ახლა ისეთი ვითარებაა, ვინ იქნება ფავორიტი, ძალიან ძნელი სათქმელია. დარწმუნებული ვარ, სათამაშო დონე საგრძნობლად გაიზრდება და, იმედი მაქვს, ჩემპიონატის მატჩებს ბევრი მაყურებელი დაესწრება.

**- რა ცვლილებები მოხდა სეზონებს შორის შესვენებისას „არმიაში“?**

- გუნდი ოთხმა მოთამაშემ დატოვა. ხვიჩა ბუჯიაშვილი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ალბიში“ გადაბარგდა. მამუკა ნინიძემ რუმინულ „ფარულს“ მიაშურა, მიხეილ არჩუაშვილმა თბილისის „არმაზში“ არჩია თამაში, ლევან გოგოლაშვილი კი, ბოლნისის „ყოჩების“ ღირსებას დაიცავს.

შევსება სოლიდური მივიღეთ. „ლელოდან“ დაგვიბრუნდა მესამეხაზელი ლევან დარასელია. რვა ნომრის პოზიციაზე სერიოზული პრობლემა გვქონდა და, ამიტომ, საქართველოს ნაკრების წევრი, ლოკომოტიველი ზვიად მაისურაძე დავიმატეთ. ამავე გუნდიდან გადმოვიდა ცხრა ნომერი ირაკლი ლვინჯილია. გასულ სეზონში ამ პოზიციაზეც გვიჭირდა. მაშინ საშუალება მივეცით ახალგაზრდა რამაზ ჯინაშვილს რაც შეიძლება მეტი ეთამაშა, გამოცდილება მიეღო და გაზრდილიყო. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ გუნდის თამაშში პრობლემები გაჩნდა. ვფიქრობ, ლვინჯილიას დამატებით ეს პოზიცია გაძლიერდება.

პირველ ლიგაში მოასპარეზე ფოთის „რაინდებიდან“ დავიმატეთ 19 წლის პირველხაზელი ზაზა ხარებავა. ის ძალიან პესპექტიული მოთამაშეა და გვინდა ჩვენთან გავზარდოთ, უმაღლეს ლიგაში თამაშის საშუალება მივცეთ, გამოცდილება მიიღოს. კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ მესამეხაზელ გიორგი თხილაიშვილს ამპლუა შევუცვალეთ. ის ამიერიდან შერკინების კვაჭის პოზიციაზე ითამაშებს. მას ბრწყინვალე მონაცემები აქვს. ერთნაირად ძლიერია, როგორც დაცვაში, ისე შეტევისას. ერთი პრობლემა ბურთის დერეფანში აგდებაა და ამ კომპონენტის დახვეწაზე ინტენსიურად ვმუშაობთ.

**- როგორ მოემზადა „არმია“ დამდეგი სეზონისთვის?**

- მზადება ივლისში დავიწყეთ. ვარჯიშების ოთხკვირიანი ციკლი გვქონდა, რომელიც ძირითადად ფიზიკური კონდიციების დახვეწაზე მუშაობამ დაიკავა. მერე საწვრთნელი შეკრების საზღვარგარეთ გამართვა გვინდოდა, სადაც რამდენიმე თამაშის ჩატარებასაც შევძლებდით, მაგრამ არ გამოვიდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ ბულგარეთში, ვარნასთან ახლოს პატარა საკურორტო ქალაქში გაგვეგრძელებინა მზადება. სავარჯიშო პირობები იდეალური გვქონდა და, ვფიქრობ, ნაყოფიერად ვიმუშავეთ.

**- თქვენი გუნდი ყველა რგოლში მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, მაგრამ მაინც, როგორ მიგაჩნიათ, რა ნაკლი აქვს „არმიას“?**

- დიახ, გუნდში ყველა პოზიციაზე რამდენიმე მოთამაშე გვყავს. სერიოზული კონკურენციაა და ეს ყველას კარგად აქვს გათავისებული. ვფიქრობ, ცოტა მგეზავის პოზიციაზე გვიჭირს. გიორგი ელიზბარაშვილს გასული სეზონი ტრავმის გამო გაუცდა. ნახევარფინალსა და ფინალში კი ვათამაშეთ, მაგრამ ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა და როგორც სჩვევია, ისე ვერ ითამაშა. ახლა ის საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და მისი დიდი იმედი გვაქვს. დაშავებული იყო და მთლიანად გაუცდა სეზონი კიდევ ერთ მგეზავ ლაშა ბაირამაშვილს, რომელსაც ასევე შეუძლია გაუძლვეს გუნდს.

ტრავმების გამო გასულ სეზონში სხვა მოთამაშეებიც გვაკლდა. გუნდის კაპიტანი, მესამეხაზელი ლაშა თავართქილაძე და მეორეხაზელი დავით ჩიტიძე გამოჯანმრთელდნენ და სრულ მზადყოფნაში არიან.

**- დამდეგ ჩემპიონატში მიზანი, ალბათ, ისევ ჩემპიონობა იქნება. ვინ მიგაჩნიათ კონკურენტებად პირველობისთვის ბრძოლაში?**

- მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პრობლემები ჰქონდა, ტიტულის დაცვას შეეცდება შარშანდელი გამარჯვებული „ლელო“. ამ გუნდმა საკმაოდ კარგი შევსება მიიღო და, ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. სერიოზულად გაძლიერდა „არმაზი“. მას ირაკლი აბუსერიძე დაემატა, რომელიც მგეზავ დავით კიკნაძესთან წყვილში გუნდს საინტერესოდ აათამაშებს. ამას დაუმატეთ საქართველოს ნაკრების კაპიტანი, გარემარბი ირაკლი მაჩხანელი. საკმაოდ ძლიერი გუნდია.

კონკურენტებს შორის მოვიაზრებ ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბს „ლოკომოტივსაც“. თემურ ბენდიაშვილი გამოცდილი მწვრთნელია და კარგი გუნდის შექმნა შეუძლია. მართალია, ქუთასის „აია“ ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ მას დიდი ტრადიციები აქვს, ბოლო წლებში მუდამ ახერხებდა მედლების მოპოვებას და, ალბათ, წლეულსაც პირველობისთვის იბრძოლებს.

**- თქვენს გუნდს თავდაცვის სამინისტრო პატრონობს. დაფინანსების სხვა წყარო არ გაქვთ?**

- არა, სპონსორი არ გვყავს. თუმცა, მის ძიებაში ვართ. ამჟამად ორ კომპანიასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და, იმედია, ის წარმატებით დასრულდება. ვცდილობთ, მალე სპონსორის დაფინანსებაზე გადავიდეთ. ვნახოთ, რა გამოვა.

**ბესიკ ჯანგველაძე**



არმია-ლელო

საქართველოს ჩემპიონატი



ხარები-არმაზი

# სარაგბო სეზონის წინ

**რუსთავის „ხარებს“ უკვე 23-წლიანი სარაგბო ტრადიცია აქვს, რომლის განმავლობაშიც თითოჯერ ყველა სინჯის მედლები აქვს მოგებული (1993 წელი - ოქრო, 1994 - ვერცხლი, 1997 - ბრინჯაო). გუნდმა არაერთგზის გამოიარა მძიმე პერიოდი. წლების განმავლობაში სამწვრთნელო შტაბი და მოთამაშეები ენთუზიაზმის, რაგბის სიყვარულის ხარჯზე გადიოდნენ ფონს, რაც რა თქმა უნდა დაუფასდათ კიდეც. უდიდესი ძალისხმევისა და მონდომების შედეგად 2009 წელს ისინი კვლავ დაბრუნდნენ უმაღლეს ლიგაში და დღემდე სტაბილურად ინარჩუნებენ ადგილს უძლიერესთა შორის.**

რ.კ. „რუსთავის ხარები“ R.C. „RUSTAVI BULLS“

### ხარები

**პალიკო ჯიმშელაძის** და **ზაზა ხუციშვილის** განვრთნილმა „ხარებმა“ წინა სეზონი გასავარდნი ზონიდან 8-ქულიანი დაშორებით დაასრულეს. თუმცა, პლეი ოფში გამსვლელ მეექვსე ადგილამდე ერთბაშად 16 ქულა დააკლდათ. საბოლოოდ, გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში მერვე ადგილს დასჯერდა.

XXIV სარაგბო სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი „ხარებმა“ რუსთავში, ახალაშენებულ ბაზაზე გაიარეს, სადაც მართლაც მშვენიერი პირობებია, როგორც სავარჯიშოდ, ასევე სათამაშოდ. გუნდმა ერთი საკონტროლო მატჩიც გამართა, რომელშიც პირველლიგელ თბილისის „დევებს“ სძლია. წლეულს რუსთაველთა უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება, ხოლო თუ წამყვანი მოთამაშეებმა ტრავმები აიცილეს თავიდან, შეიძლება საპლეიოფო ზონაშიც შეაღწიონ.

### შერკინება

„ხარების“ მთავარი იარაღი ტრადიციულად მძიმე და მობილური შერკინება იქნება. მწყობრში გახლავთ გუნდის ლიდერი **სოლომონ ქარუხნიშვილი**, რომელსაც ახალგაზრდა თანაგუნდელებთან ერთად სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში. კლუბი დატოვეს და საფრანგეთში განაგრძობენ კარიერას **ლევან შაშიაშვილი** და **თომა ბალიაშვილი**, „ლოკომოტივში“ გადაბარგდა **რატი ხარძიანი**, მათ შემცვლელად კი სამწვრთნელო შტაბმა სათადარიგო გუნდიდან პერსპექტიული **გიორგი გოგოლაშვილი, მიხეილ ზურიკაშვილი** და **ჟორა მლებრიშვილი** დააწინაურა. პირველი ხაზი გაძლიერდა გამოცდილი **მიხეილ ნიკლაურით.**

### უკანა ხაზი

ცხრა ნომრის პოზიციაზე გაირჯება 20 წლის „ბორჯღალოსანი“ **ვაჟა ხუციშვილი.** სპორტული კარიერა დაასრულა მგეზავმა **მიხეილ წიკლაურმა**,. ამიტომ მის პოზიციაზე სამწვრთნელო შტაბს **მანუჩარ ქაავასა** და **გიორგი ბასილაიას** შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს. გუნდი დატოვა და „ლელოში“ დაბრუნდა ფულბეკი **უჩა მჭედლიშვილი**, რაც ძირითადი შემადგენლობისაკენ გზას გაუხსნის 18 წლის **დათო გულიტაშვილს**. უკანა ხაზი პრაქტიკულად სულ ახალგაზრდებით გახლავთ დაკომპლექტებული, რაც დიდ პრობლემად შეიძლება ექცეს „ხარებს“. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სამწვრთნელო შტაბის უდიდეს პროფესიონალიზმს და ახალგაზრდა მოთამაშეთა კარგ სელექციას, მეტოქის ცუდად შეფასების შემთხვევაში ბევრმა ფავორიტმა შეიძლება წაიტეხოს რქები „ხარებთან“ ჭიდილში.

### სამწვრთნელო შტაბი

**ზაზა ხუციშვილი** და **პალიკო ჯიმშელაძე** ყოფილი „ბორჯღალოსნები“ არიან. მათი სარაგბო ინტელექტი და გამოცდილება უდიდეს სამსახურს გაუწევს გუნდს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოთამაშეებს, რათა პირველი ეტაპიდანვე გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული რაგბი ითამაშონ. კლუბის პრეზიდენტი **დავით კაკაბაძე** შერკინების მომზადების დიდი მცოდნეა, რომელსაც რეალურად ძალუძს რუსთაველთა მძიმე შერკინება ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ფიგურად აქციოს. მთავრობისაგან გაწეული ფინანსური დახმარების გარდა კლუბს რუსთავის მერიაც პატრონობს, რაც სამწვრთნელო შტაბს საშუალებას მისცემს მომავალში უფრო მეტი მორაგბე მოიზიდოს „ხარებში“ და მედლებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებას.

### შემადგენლობა

**პირველი ხაზი:** შოთა მაჭარაშვილი, მიშა ნიკლაური, უჩა ალაშვილი, მიშა ზურიკაშვილი, გიორგი ხაბაშვილი, გიორგი გოგოლაძე, მინდია ყირიმლიაშვილი;

**მეორე ხაზი:** გენო ხელია, სოლომონ ქარუხნიშვილი, თედო ივანიშვილი, მიშა ქუფარაშვილი, გიორგი მაჭავარიანი;

**მესამე ხაზი:** ლაშა გოგიაშვილი, ზვიად ლამბარაშვილი, რატი ტყეშელაშვილი, გიგა ქვლივიძე, ჟორა მლებრიშვილი, გურამ თედელური;

**№9:** ვაჟა ხუციშვილი, კობა ბუჯიაშვილი;

**№10:** მანუჩარ ქაავა, გიორგი ბასილაია;

**№12-13:** რატი ლამბაშიძე, ბექა ბებიაშვილი, გიორგი ნათელაშვილი, შოთა დევიძე;

**№11-14:** გიორგი ბებიაშვილი, ლექსო მელიქიშვილი, თორნიკე კიკნაძე;

**№15:** თორნიკე თეგეთაშვილი, დათო გულიტაშვილი.

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ძალიან დამაჯერებელი ნოვაკი

მამაკაცებს შორის დასრულდა მერვედფინალური ეტაპი და **ტომაშ ბერდიხის** წაგებას თუ არ ჩავთვლით, დღემ სიურპრიზების გარეშე ჩაიარა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაისეირნა ამ ეტაპზე. მან 79 წუთში გაანადგურა ესპანელი **მარსელ გრანოლერსი** – 6:3, 6:0, 6:0. სერბს თითქმის არ შეხვედრია წინააღმდეგობა. აღსანიშნავია, რომ ესპანელმა მიღებაზე პირველი ქულა მხოლოდ მეორე სეტის შუაში აიღო და 3:3-დან მოყოლებული, ჯოკოვიჩმა ზედიზედ 15 გეიმის აღება შეძლო! ნოვაკს ამ ტურნირზე ჯერ სეტი არ წაუგია, ოთხი მატჩიდან კი სამი ისე მოიგო, რომ ხუთ გეიმზე მეტი არ დაუთმო მეტოქეებს.

ჯოკოვიჩის შემდეგი მეტოქე იქნება რუსი **მიხაილ იუჟნი**, რომელმაც თითქმის წაგებული მატჩი გადაარჩინა ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** წინააღმდეგ. ვეტერანი სეტებში 2:1 იყო დაწინაურებული, როცა მეოთხე პარტიაში 4:1 წაიყვანა ანგარიში, თუმცა ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და თამაში მეხუთე სეტში გადავიდა. იქაც ჰიუიტმა ბრეიკით დაწინაურება შეძლო და ძალიან მიუახლოვდა მეოთხედფინალის საგზურს – 5:2 და 30:15. ავსტრალიელმა ვერ მოახერხა დარჩენილი ორი ქულის აღება, მისმა მეტოქემ ამჯერადაც ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და სასწაულებრივ გააღწია მეოთხედფინალში.

იუჟნი კარიერაში მეორედ არის "დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში. პირველად ეს 2012 წელს მოხდა, როცა მან უიმბლდონის საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის შეაღწია. რაც შეეხება მის ურთიერთშეხვედრებს ჯოკოვიჩთან, სერბს არც ისე დიდი უპირატესობა აქვს – 5:3.

■ ■ ■

აგრძელებს ნიუ იორკში ტიტულის დაცვას **ენდი მარეი**, რომელსაც თითქოს იოლი მეტოქე ჰყავდა უზბეკი **დენის ისტომინის** სახით. თუმცა ეს უკანასკნელი კარგად თამაშობს სწრაფ კორტებზე და თავისი ძალა მსოფლიოს მესამე ნომერსაც დაანახვა. საერთო ჯამში, მარეი ფლობდა უპირატესობას და პირველ პარტიაში სეტზეც აწვდიდა, თუმცა ისტომინმა ბრეიკი გააკეთა და შემდეგ ტაი-ბრეიკზე შეძლო გამარჯვება.

ამის შემდეგ, მარეი სტაბილურად ათამაშდა. სულ მას მატჩში 15 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელთაგანაც ექვსი გამოიყენა, 38 "ვინერსი" მიითვალა, მაგრამ ამასთან, 35 უნებლიე შეცდომა დაუშვა. აშშ-ის ღიაზე ბრიტანელის მოგებათა სერიამ 11 მატჩს მიაღწია.

გუშინდელ მატჩებამდე ჯოკოვიჩი და ბერდიხი იყვნენ ის ჩოგბურთელები, რომლებსაც სეტი არ ჰქონდათ წაგებული. თუმცა, ნოვაკისგან განსხვავებით, ჩეხს სერიოზული მეტოქე ჰყავდა **სტანისლას ვავრინკას** სახით. მართალია, ფავორიტმა პირველი სეტი იოლად მოიგო, მაგრამ მეორეში ძალიან მძლავრ თამაშს წააწყდა შვეიცარიელისგან და მხოლოდ ერთი გეიმი აიღო. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე სეტი, რომელიც 70 წუთი გაგრძელდა. შვეიცარიელმა ორჯერ ვერ შეძლო სეტზე ჩაწოდება, ტაი-ბრეიკზე კი 1:4 ჩამორჩა, მაგრამ კარგად გამოძვრა ამ რთული სიტუაციიდან და მეოთხე სეტში იოლად მოუგო ფსიქოლოგიურად გატეხილ მეტოქეს. ვავრინკა მეცხრედ თამაშობს ამერიკის ღიაზე და მეორედ გავიდა მეოთხედფინალში. ის ჩამორჩება თავის მომდევნო მეტოქეს ურთიერთშეხვედრებში – 5:8.

### 1/8 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:3, 6:0, 6:0; **მიხაილ იუჟნი (რუს, 21)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:3, 3:6, 6:7(3), 6:4, 7:5; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:7(5), 6:1, 6:4, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 3:6, 6:1, 7:6(6), 6:2.

### 1/4 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-იუჟნი (21); მარეი (3)-ვავრინკა (19); გასკე (8)-ფერერი (4); რობრედო (19)-ნადალი (2).



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ტორნადო, სახელად სერენა

გუშინ, ამერიკის ღიაზე ქალებს დასამთავრებული ჰქონდათ მერვედფინალური ეტაპი, ამასთან, გაირკვა ტურნირის პირველი ორი ნახევარფინალისტი.

მეოთხედფინალის ბოლო საგზური დრამატულ ბრძოლაში გაითამაშეს **ვიქტორია აზარენკამ** და **ანა ივანოვიჩმა**.

შეგახსენებთ, რომ წინა წრეში აზარენკა სერიოზულ პრობლემებს წააწყდა ფრანგ **ალიზ კორნესთან** მატჩში და წააგო მასთან ერთი სეტი. იგივე მოხდა ამჯერადაც. სერბმა აქტიურად დაიწყო შეხვედრა და 3:0 დაწინაურდა, სეტი კი 6:4 მოიგო. პირველ პარტიაში ანას სტატისტიკა ფანტასტიკური იყო – 17 "ვინერსი" და მხოლოდ ოთხი უნებლიე შეცდომა.

მაგრამ მეორე პარტიაში ივანოვიჩი ანერვიულდა, აზარენკა კი კვლავაც შორს იყო თავისი საუკეთესო თამაშისგან. ამიტომაც, პირველ ხუთ გეიმში ბრეიკი დაფიქსირდა. პირველი ამ კრიზისიდან ბელარუსი გამოვიდა, რომელმაც კარგად ჩაატარა სეტის მეორე ნაწილი და ანგარიში გაათანაბრა.

თითქოს, ივანოვიჩის თამაში საბოლოოდ მოიშალა, რადგან ის 0:2 ჩამორჩა მესამე სეტში. და მაინც, სერბმა გამონახა ძალები ბრძოლის გასაგრძელებლად და ანგარიში გაათანაბრა – 3:3. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს მისი ბოლო გაბრძოლება იყო. მართალია, 3:5-ზე მან ორი მატჩბოლი გადაარჩინა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეოთხე ცდაზე აზარენკამ შეძლო მძიმე გამარჯვების გაფორმება.

■ ■ ■

მოგვიანებით, ქალთა ბადეში პირველი ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა.

უცნაური მატჩი მოიგო ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**. მისგან მეტოქეთა განადგურება არავის უკვირს, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ "დიდი სლემის" ტურნირის ამ ეტაპზე ამერიკელი 6:0, 6:0-ს მოუგებდა ესპანელ **კარლა სუარეს ნავაროს**. სხვა თუ არაფერი, ამერიკელს ოდნავი გულმოწყალება უნდა გამოეჩინა, რადგან ესპანელს დაბადების დღე ჰქონდა.

თამაში 52 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც სერენამ 20 "ვინერსი" შეასრულა, მისმა მეტოქემ კი აქტიური მოქმედებით მხოლოდ სამი ქულა აიღო. თუ აზარენკას პრობლემებს გავითვალისწინებთ, უილიამსი აშშ-ის ღიას აშკარა ფავორიტად რჩება – ოთხ მატჩში სერენამ მხოლოდ 13 გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

უმცროსი უილიამსი კარიერაში 24-ედ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში. წინა 23 ნახევარფინალიდან მას მხოლოდ სამი აქვს წაგებული: 2000 წელს უიმბლდონზე (**ვინუს უილიამსთან**), 2003 წელს როლან გაროსზე (**ჟუსტინ ანენთან**) და 2009 წელს აშშ-ის ღიაზე (**კიმ კლაისტერსთან**).

სერენას მეტოქე უნდა გარკვეულიყო ჩინელი **ნა ლისა** და რუსი **ეკატერინა მაკაროვას** შეხვედრაში. ლის ამ მატჩის მოგებით ისტორიაში შესვლა შეეძლო - ის იქნებოდა პირველი ჩინელი, ვინც აშშ-ის ღიას ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებდა. ჩინელებს უთამაშიათ "დიდი სლემის" სხვა ტურნირების ნახევარფინალებში: ლისა და **ჟიე ჟენგს** ავსტრალიაში, ლის როლან გაროსზე, ჟენგს - უიმბლდონზე.

ნა ლიმ შეძლო სამსეტიანი მატჩის მოგებით ამ ამოცანის შესრულება, თუმცა ორ სეტში გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა.

მაკაროვა დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მოთამაშეა რუსებს შორის. ერთ-ერთ წინა ეტაპზე მან **აგნიეშკა რადვანსკა** დაამარცხა, ასე რომ, ჩინელის ბარიერის გავლის იმედი ჰქონდა.

პირველ სეტში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, ბოლოსკენ კი უფრო აქტიურად ჩინელმა ითამაშა და დაწინაურება მოახერხა.

ლი აგრძელებდა მეორე სეტში აქტიურად და ეფექტურად თამაშს და სოლიდური უპირატესობაც მოიპოვა – ჯერ 3:1, შემდეგ 4:2. მაკაროვას თავისი საბრძოლო თვისებების გამოვლენა დასჭირდა მატჩის გადასარჩენად და გამოუვიდა კიდეც. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ნა ლი ისევ დაწინაურდა (3:0, 4:2). რუსმა აქაც შეძლო სიტუაციის გამოსწორება და მატჩის მესამე სეტში გადაყვანა. თუმცა გადამწყვეტ პარტიაში ბრძოლა არ შედგა და მაკაროვამ მხოლოდ ორი გეიმის აღება შეძლო. რუსი დაალალატა 33-მა უნებლიე შეცდომამ, გარდა ამისა, ნა ლის 44 "ვინერსი" დაუგროვდა.

ახლა, წინ გველის ნახევარფინალი უილიამსსა და ლის შორის. აქამდე ეს ჩოგბურთელები ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ამერიკელი წინ არის: 8-1.

### 1/8 ფინალი

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 13) 4:6, 6:3, 6:4.

### 1/4 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 18) 6:0, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 5)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 24) 6:4, 6:7(5), 6:2.




სერენა უილიამსი

ამბები

# ბოლტის ბოლო რიოა

## იამაიკელმა სპრინტერმა 2016 წელს წასვლა დაგეგმა

ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა** გუშინ პრესკონფერენცია მოიწვია და გამოაცხადა, რომ 2016 წელს, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს კარიერას.

ლეგენდარული მორბენლის განცხადებით, რიოში ოქროს მოგება სურს: *„ეს იქნებოდა სპორტიდან წასვლის იდეალური მომენტი"*.

ბოლტმა 2014 წლის სეზონზეც ისაუბრა, კერძოდ, საგაისოდ 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდის დამყარება და გლაზგოში გასამართ თანამეგობრობის თამაშებზე გამოსვლა დაგეგმა.

ამბები

ფორმულა 1

# ბატონი მაკლარენში დარჩება

"მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი **ჯენსონ ბატონი** აცხადებს, რომ ახლოსაა თავის ამჟამინდელ გუნდთან ახალი სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან.

*"ფერარი"? არასოდეს თქვა არასოდეს – ასე ამბობს ყველა პილოტი. არ მიყვარს მომავლის წინასწარმეტყველება. "ფერარი" ლეგენდარული გუნდია, ისევე, როგორც "მაკლარენი"*

*რა საჭიროა რაიმეს შეცვლა? არ მაწუხებს ჩემი ასაკი. ის არ არის მნიშვნელოვანი. თუ თქვენ კარგავთ რეაქციის სისწრაფესა და რეფლექსებს, მაშინ კარიერის დასრულებაზე უნდა დაფიქრდეთ.*

*ფორმულა 1-ში დავრჩები იქამდე, სანამ საკუთარ თავს კონკურენტუნარიანად ჩავთვლი"*, - განაცხადა ჯენსონ ბატონმა.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელის კონტრაქტი "მაკლარენთან" სეზონის ბოლოს იწურება.

# როდის იქნება ავსტრიის გრანპრი?

როგორც იცით, მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ის კალენდარში ბრუნდება ავსტრიის გრანპრი. ამ ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად დასახელდა ეტაპის ჩატარების თარიღი – 2014 წლის 6 ივლისი, თუმცა საგაისო კალენდრის განხილვა გრძელდება და Red Bull Ring-ზე გასამართი რბოლის თარიღი უკვე ორჯერ შეიცვალა.

თავიდან ეტაპი გადაიტანეს 29 ივნისისთვის, ახლა კი სააგენტო APA იტყობინება, რომ რბოლა კიდევ ერთი კვირით ადრე გადმოიწევს – 22 ივნისს. თუმცა ზუსტი თარიღი მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც 2014 წლის კალენდარს დაამტკიცებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია.

# მერსედესი სიჩქარის გაზრდაზე ზრუნავს

უახლოეს უქმეებზე იტალიის მონცაში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი, რომელზეც "მერსედესის" ინჟინრები გაუმჯობესებულ აეროდინამიკურ პაკეტს ჩაიტანენ.

*"მონცაში ჩვენ გამოვიყენებთ ახალ აეროდინამიკურ პაკეტს დაბალი პირდაპირი წინააღმდეგობით. იმედია, წინა ეტაპთან შედარებით მოვახერხებთ წინსვლას ბოლიდის სიჩქარის მხრივ"*, - ამბობს "მერსედესის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ტოტო ვოლფი**.

*"არ მგონია, რომ ბელგიაში ყველაფერი სწორად გავაკეთეთ. ვცდილობდით, მაგრამ მანქანა ისე სწრაფი არ იყო, როგორც ბოლო რბოლებში. შესაძლოა, საქმე სარბოლო მახასიათებლებში იყო, ან ეტაპზე ჩატანილ ტექნიკურ სიახლეებში. ჩვენ ჯერ ბოლომდე არ გავრკვეულვართ ამაში.*

*აეროდინამიკური პაკეტი ზუსტად ისე მუშაობდა, როგორც ველოდით, მაგრამ არ გვყოფნიდა სიჩქარე პირველ სექტორში. ამასთან, სხვა სწრაფ მოსახვევებში მანქანა შესანიშნავად მოქმედებდა, რაც ძალიან გასაკვირია"*, - დაამატა "მერსედესის" ბოსმა **როს ბრაუნმა**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# რა დრო დადგა: მესი მადრიდს ეხმარება

საფეხბურთო „ბარსელონას“ ლიდერმა **ლიონელ მესიმ** გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ქალაქ მადრიდის კანდიდატურას 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოსაპოვებლად. ადრე იტყობინებოდნენ, რომ მესიმ უარი თქვა მადრიდის მხარდასაჭერ ვიდეორგოლში მონაწილეობაზე. მიზეზი გასაგებია: „ბარსელონას“ ყველაზე პრინციპული მეტოქე - „რეალი“ მადრიდის გუნდია.

*„მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო ოლიმპიურ თამაშებში და ეს ფანტასტიკური გამოცდილებაა ნებისმიერი სპორტსმენისთვის. ვფიქრობ, ეს მოვლენა ძალიან მნიშვნელოვანია მადრიდისთვის, რომელსაც, ჩემი აზრით, არჩევნებში გამარჯვების კარგი შანსი აქვს. ბოლო დროს, ესპანელ სპორტსმენებს სერიოზული წარმატებები ჰქონდათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ესეც იქონიებს გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე“*, - ამბობს მესი, რომელიც არგენტინის საფეხბურთო ნაკრებთან ერთად გახდა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2020 წლის ზაფხულის თამაშების დედაქალაქი ორგანიზაციის 125-ე სესიაზე უნდა აირჩიოს, რომელიც 7 სექტემბერს ბუენოს აირესში გაიმართება. მადრიდის გარდა, ოლიმპიადის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებენ სტამბოლი და ტოკიო.


ლიონელ მესი მადრიდის მხარდამჭერ მაისურში

ველოსპორტი

# კონტადორი ალონსოსთან გადავა

როგორც უკვე ვწერდით, „ფერარის“ პილოტი **ფერნანდო ალონსო** ესპანური ველოსაჯინიბოს - Euskaltel-Euskadi-ს მფლობელი გახდა, ამ ამბიდან ორი დღის თავზე კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გუნდში შეიძლება გადავიდეს თანამედროვე ველოსპორტის ვარსკვლავი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**.


ალბერტო კონტადორი

ალბერტოს სავარაუდო ტრანსფერის შესახებ თავად ალონსომ ილაპარაკა „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ კონტადორი და ალონსო ძველი მეგობრები არიან.

ამ მომენტისთვის, კონტადორს კონტრაქტი აქვს ველოსაჯინიბო Saxo-Tinkoff-თან. ხელშეკრულება კიდევ ორი წელი იქნება ძალაში, თუმცა, ესპანურ პრესაში ვარაუდობენ, რომ ამ გუნდის მენეჯერი **ბიარნე რიისი** უპრობლემოდ შეელევა ალბერტო კონტადორს.

■ ■ ■

რუსი ველომრბოლელი **ვალერი კაიკოვი** ორი წლით არის დისკვალიფიცირებული დოპინგის გამოყენებისთვის. როგორც იტყობინებიან, სპორტსმენის ორგანიზმში აღმოაჩინეს მეტაბოლური პროცესების მოდულატორი - GW1516. დოპინგ-სინჯი, რომელმაც დადებითი შედეგი აჩვენა, კაიკოვს 17 მარტს, არასატურნირო პერიოდში აუღეს.

კაიკოვი ველოსაჯინიბო „რუსველოს“ წევრი იყო. ამ სკანდალის გამო, გუნდიდან გაათავისუფლეს ექიმი **სერგეი ლიახოვი**.

ვალერი კაიკოვი 2012 წელს, ველოტრეკში ევროპის ჩემპიონატზე დროზე გუნდურ რბოლაში გამარჯვებული გახდა.

კალათბურთი

# ლეიკერსმა ფორვარდი დაიმატა

როგორც „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი** იტყობინება, კალიფორნიულმა კლუბმა ხელშეკრულება გააფორმა 27 წლის ფორვარდ **შონ უილიამსთან**. ხელშეკრულების დეტალები უცნობია - სავარაუდოდ, ლაპარაკია არაგარანტირებულ კონტრაქტზე.

უილიამსი 2006 წლის დრაფტზე „ინდიანამ“ მე-17 ნომრად აიყვანა. კალათბურთელს მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ხუთი სეზონი აქვს გატარებული - „პეისერსის“, „დალასის“, „ნიუ იორკისა“ და „ნიუ ჯერსის“ შემადგენლობაში. 215 მატჩში მან საშუალოდ 5.7 ქულა და 2.8 მოხსნა დააგროვა.

საინტერესოა, რომ შონმა კარიერაში თავისი საუკეთესო სეზონი „ნიქსში“ გაატარა, რომელსაც „ლეიკერსის“ ამჟამინდელი დამრიგებელი **მაიკ დ'ენტონი** ავარჯიშებდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ამბები

**კალათბურთი**

## ლებრონი პროდიუსერი გახდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ამერიკულ საკაბელო ტელევიზია Starz-ში კომედიური სერიალის პროდიუსერი იქნება.

პროექტი, რომლის სახელწოდებაა „გადარჩენილის აღიარება“, „მაიამი ჰიტის“ ფორვარდისთვის სადებიუტო იქნება ტელეფილმის ხელმძღვანელის რანგში, - იტყობინება სააგენტო „როიტერი“. 2011 წელს, კალათბურთელი ანიმაციური ინტერნეტსერიალის პროდუსერი იყო, 2008 წელს კი ხელმძღვანელობდა თავად ლებრონის შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს.

## ფინიქსმა ბიზლი მოიშორა

„ფინიქს სანზის“ ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია ფორვარდ **მაიკლ ბიზლისთან** კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის თაობაზე. კალათბურთელი, რომელსაც, ბოლო დროს, პრობლემები შეექმნა ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებით, შვიდ მილიონს მიიღებს, არადა, კონტრაქტით დარჩენილი ორი წლის სანაცვლოდ 9 მილიონი ეკუთვნოდა.

აგვისტოს დასაწყისში ბიზლის ბრალი წაუყენეს ნარკოტიკების შენახვისთვის. ადრე, "სანზის" ყოფილი მოთამაშე პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბებისთვის და სანომრე ნიშნის გარეშე მოძრაობისთვის დააკავა. ასევე ის ეჭვმიტანილი იყო გაუპატიურებაში.

**ჩოგბურთი**

## მარეის დევისის თასზე

მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ენდი მარეი** დევისის თასზე ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს. უიმბლდონის ჩემპიონი შეუერთდება **დანიელ ევანსს, ჯეიმს უორდსა** და **კოლინ ფლემინგს**. ბრიტანეთის ნაკრებს 13-15 სექტემბერს, ხორვატიის ქალაქ უმაგში უწევს მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფის შეხვედრა ხორვატიის ნაკრებთან.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, დევისის თასზე თამაშის სურვილი გამოთქვეს მსოფლიოს პირველმა და მეორე ნომრებმა - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **რაფაელ ნადალმა**.

**კრივი**

## სამი ჩემპიონი ერთ ოჯახში

ერთ-ერთ წინა ნომერში მოგიყევით იაპონელი ძმების - **კამედების** შესახებ. აქამდე, სამი ძმიდან ორი პროფესიულ კრივში მოქმედი ჩემპიონი იყო და ახლა, სამივეს აქვს საჩემპიონო სარტყელი. ორი დღის წინ, **დაიკი კამედამ** ტიტული მოიპოვა IBF-ის ვერსიით 52.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

დაიკიმ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა მექსიკელი **როდრიგო გერერო**. სხვათა შორის, ეს იაპონელი ერთხელ უკვე იყო ჩემპიონი - 2011 წელს, თუმცა სამ ძმას ერთდროულად საჩემპიონო ტიტულები არასოდეს ჰქონიათ.

დაიკის ძმა - **კოკი კამედა** WBA-ის ჩემპიონია 53.5-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში (2010 წლის დეკემბრიდან), **ტომოკი კამედა** კი 2013 წლის აგვისტოდან WBO-ის ტიტულს ფლობს 53.5 კილოგრამში.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**JP Trophy**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-როვერსი | 2:1 |

**ესპანეთის თასი**

**I რაუნდი**

| | |
|---|---|
| სანტ ანდრეუ-სანტა ეულალია | 2:1 |
| სარინენა-პუერტა ბონიტა 0:0 დ.დ. | 1:0 |
| ლაუდიო-რეალ უნიონი 1:1 დ.დ. | 3:1 |
| ბარაკალდო-ამორებიეტა | 1:0 |
| ტროპესონი-ტუილა 0:0 დ.დ. | 0:1 |
| ლეგანესი-ატ. გრანადილია | 3:0 |
| ოლოტი-ურაკანი | 3:2 |
| კაუდალი-რასინგ დე ფეროლი | 1:0 |
| არო დეპორტივო-ოვიედო 0:0 პენ. | 4:2 |
| ბურგოსი-სან ხუანი | 1:1 |
| კარტახენა-გვადალახარა | 2:1 |
| ხიმნასტიკი-ალკოიანო 0:0 პენ. | 4:2 |
| ტოლედო-უესკა | 0:1 |
| ალგესირასი-ნოველდა | 2:1 |
| ელ პალო-ხერესი 0:0 პენ. | 2:4 |
| ეკიხა-ლა ჰოია 2:2 პენ. | 3:2 |
| ესტრემადურა-ალბასეტე | 1:2 |
| სან ფერნანდო-ლინენსე | 1:0 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბუოგჰაუზენი-ელვერსბერგი | 0:1 |
| ჰანზა-რეგენსბურგი | 4:2 |
| მიუნსტერი-შტუტგარტი II | 1:3 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| შალდინგი-ვიურცბურგერი | 3:1 |
| ვიქტორია (ა)-ილერტისენი | 0:4 |
| ფიურტი II-როზენჰაიმი | 0:2 |
| ინგოლშტადტი II-აუგსბურგი II | 0:0 |
| ბუხბახი-მემინგენი | 1:0 |
| ნიურნბერგი II-ჰაიმშტეტენი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| მოისელვიცი-რატენოვი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| მაინცი II-აინტრახტი II | 3:2 |
| ცვაიბრიუკენი-პფიულენდორფი | 1:0 |
| ზონენჰოფი-ოფენბახი | 0:2 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აალსტი-მუსკრონი | 2:3 |
| ანტვერპენი-ეუპენი | 0:0 |
| დესელი-ტუბეკე | 2:2 |
| ჰუგსტრატენი-ბრიუსელი | 2:2 |
| ჰაისტი-გეელი | 1:1 |
| ბორინაჟი-ვირტონი | 2:3 |
| რუზელარე-ვიზე | 3:1 |
| ბრიუსელი-ლომელი | 2:2 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფოლო-ვარდ ჰაუგესუნდი | 4:0 |

**უელსი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ებერსტვიტი-კემბრიანი | 2:3 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბრეჩლავი-სლოვაცკო | 0:3 |
| ისკრა-ბოჰემიანსი 1905 | 2:1 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მტკ-ვაშაში | 3:1 |
| ვარდა-დიოშდიორი | 1:1 |
| დებრეცენი-ნირედიაზა | 3:0 |
| მეჟოკოვესდი-ბალმაზუივაროში | 2:1 |
| ბეკეშჩაბა-კეჩმეკეტი | 3:3 |
| უიპეშტი-ჟოლნოკი | 2:0 |
| სეგლედი-პუშკაში | 2:2 |
| ჟიგეტჟენტმიკლოსი-ჰონვედი | 2:0 |
| პაკსი-კოჟარმისლენი | 4:2 |
| ვიდეოტონი-დუნაუივაროში | 3:0 |
| დიორი-ტატაბანია | 7:0 |
| ფერენცვაროში-სოპრონი | 2:1 |
| ჰალადაში-დიორმოტი | 2:2 |
| ლომბარდი-აიკა | 2:2 |
| კაპოშვარი-შიოფოკი | 3:0 |
| პეჩი-ზალაეგერშეგი | 3:0 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| ისრაელი-ბრიტანეთი | 71:75 (ო) |
| ლატვია-ბოსნია | 86:75 |
| თურქეთი-ფინეთი | 55:61 |
| ბელგია-უკრაინა | 57:58 |
| ესპანეთი-ხორვატია | 68:40 |
| მაკედონია-ჩერნოგორია | 80:81 |
| შვედეთი-საბერძნეთი | 51:79 |
| რუსეთი-იტალია | 69:76 |
| სერბეთი-ლიტვა | 63:56 |
| სლოვენია-ჩეხეთი | 62:60 |
| საფრანგეთი-გერმანია | 74:80 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| დინამო (მ)-ტრაქტორი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| ფერერი-გასკე | 3:6, 1:6, 6:4, 6:2, 3:6 |

**WTA. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| ვინჩი-პენეტა | 4:6, 1:6 |

TV პროგრამა

**5 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**16:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. საქართველო-ხორვატია. სლოვენია (LIVE).
**23:00** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-ესპანეთი. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტური. ფერეირა-პორტო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ბორუსია (მ)-ვერდერი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბარსელონა.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. დორტმუნდი-რეალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ფრაიბურგი - ბაიერნი
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-კამბური.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ბიარიცი-ჰარლიქვინსი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონი-ნიუ იორკი. 1984 წელი.
**23:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**13:20** სპორტ-NEWS.
**13:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**16:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**18:20** სპორტ-NEWS.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 21 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 19 | (წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 20 | (წვიმა) |
| ფოთი | 15 | 18 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 18 | (წვიმა) |
| გორი | 13 | 19 | (წვიმა) |
| თელავი | 17 | 22 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 21 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 10 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 16 | (წვიმა) |
| მესტია | 6 | 9 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1888 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6612 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5873 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9782 |

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სენსაციებით დაიწყო

**ევრობასკეტი ძალიან საინტერესოდ დაიწყო: საქართველოს ნაკრების ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება, დაძაბული ბოლო წამები, ესპანეთისა და საბერძნეთის მძლავრი სტარტი და ორი ფავორიტის კრახი...**

### ისრაელი-ბრიტანეთი 71:75 (ო)

**გადამწყვეტი მომენტი:** ოვერტაიმის დასრულებამდე 15 წამით ადრე, ისრაელი ორ ქულას აგებდა, როცა ამ გუნდის წევრმა **აფიქ ნისიმმა** ბურთი დაკარგა და თამაშის გადარჩენის შანსი გაქრა.

**მატჩის გმირი:** **კაილ ჯონსონმა** ხუთი ქულა აილო 8:0 გაქცევაში, რომელმაც თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ამ მატჩში არ იქნებოდა არც ოვერტაიმი და არც ბრიტანეთის გამარჯვება, ისრაელს კარგად რომ ესროლა საჯარიმოები: 32-დან 17 (53.1%) და ბოლო წუთზე აცილებული ოთხი თავისუფალი ტყორცნა.

### ბელგია-უკრაინა 57:58

**გადამწყვეტი მომენტი:** საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე, **ოლექსანდრ გლადირმა** სამქულიანი ჩააგდო და აქედან დაიწყო მატჩის ბედის შემოტრიალება.

**მატჩის გმირი:** **პუჰ ჯეტერს** შეტევაში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია (8 ქულა დააგროვა), თუმცა მისმა ფარქვეშ შესვლამ მოუტანა უკრაინას გამარჯვება.

**სტატისტიკა არ ტყუის:** მეოთხე მეოთხედში ბელგიამ 12-დან მხოლოდ 4 ბურთი მოათავსა კალათში და ვერც ერთი სამქულიანი ვერ ჩააგდო, უკრაინამ კი ბოლო 10-წუთეულში ექვსიდან სამი შორეული ტყორცნა გამოიყენა.

ბელგია თითქმის მთელი მატჩი წინ იყო. მან ორჯერ მოახერხა გაქცევა: 12:1 და 7:0 და სხვაობამ 13 ქულას მიაღწია. ამის შემდეგ, ბელგიელები სტაბილურად ინარჩუნებდნენ 10-ქულიან უპირატესობას. მეოთხე მეოთხედის სტარტზე ისინი 50:40-ს იგებდნენ და კატასტროფას თითქოს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ უკრაინამ სწორედ ამ დროს მოაწყო 9:2 გაქცევა. მაგრამ ეს ჯერ არ იყო მოგება: წუთითა და 41 წამით ადრე, ბელგია წინ იყო - 57:55, მაგრამ ამის შემდეგ ქულა ვეღარ აილო. ბოლო წამების გმირი კი **ვიაჩესლავ კრავცოვი** და ჯეტერი გახდნენ - პირველმა საჭირო მომენტში ბლოკი შეასრულა, ამერიკელმა კი ჩაჭრა და ბოლო ზუსტი ტყორცნა მიითვალა.

### ლატვია-ბოსნია 86:75

**გადამწყვეტი მომენტი:** ლატვიამ მეტოქეს მნიშვნელოვანი დარტყმა მეორე მეოთხედში მიაყენა, როცა 16-დან 10 ტყორცნა მოათავსა კალათში.

**მატჩის გმირი:** **როლანდს ფრეიმანისი** დომინირებდა მეორე მეოთხედში, როცა ცხრიდან რვა ტყორცნა მოათავსა კალათში და 16 ქულა დააგროვა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ბოსნიას არ გამოუვიდა გუნდური თამაში - მხოლოდ 4 შედეგიანი პასი ჰქონდა, ლატვიამ კი 20 გადაცემა დააგროვა.

ეს იყო გუშინდელი დღის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა. თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ, ლატვიამ ბრწყინვალე მეორე მეოთხედი ჩაატარა. ბოსნიელთა ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, როცა პირველ ტაიმში ქულა ვერ აილო „ბრუკლინ ნეტსის" მოთამაშემ **მირზა ტელეტოვიჩმა**. მართალია, მეორე ნახევარში მან 18 ქულა მოიპოვა და ამას 8 მოხსნაც დაუმატა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისთვის.

ბოლო მეოთხედის წინ, ბოსნიამ ხუთ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეოთხე 10-წუთეულის სტარტზე ექვსიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო და ვეღარ დაეწია მეტოქეს.

### მაკედონია-ჩერნოგორია 80:81

**გადამწყვეტი მომენტი:** ჩერნოგორია ნაგებას **ტაირის რაისის** ზუსტმა საჯარიმოებმა გადაარჩინა - ნატურალიზებულმა ამერიკელმა ოთხი უმნიშვნელოვანესი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

**მატჩის გმირი:** მატჩის გმირი, რა თქმა უნდა, რაისია, რომელმაც 16 ქულა და ხუთი შედეგიანი პასი მიითვალა, აქედან 10 ქულა ბოლო 1:44 წუთზე მოდის.

**სტატისტიკა არ ტყუის:** მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩერნოგორიის სათადარიგოთა სკამმა, რომელმაც 22 ქულა მიითვალა, მაკედონიელთა რეზერვის მონაგარი კი 9 ქულა იყო.

თამაშის ძირითადი ნაწილი ქულა ქულაში მიდიოდა. **ბო მაკალებმა** თავიდან შვიდი ქულა აილო, რასაც ჩერნოგორიამ რვა ქულით უპასუხა, საიდანაც შვიდი **სუად სეჰოვიჩს** ეკუთვნოდა. მეორე მეოთხედში იყო მომენტი, როცა ჩერნოგორიელებმა ცხრა უპასუხო ქულა ჩააგდეს, თუმცა იმავე მაკალების წყალობით, მაკედონია თამაშში დარჩა. შემდეგ გუნდებმა სპურტები გაცვალეს: ჯერ 6:0 ჩერნოგორია გაიქცა, შემდეგ კი 14:2 გაქცევა ჰქონდა მაკედონიას და მან ერთი ქულით მოიგო ტაიმი.

ამის შემდეგ, ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას, თუმცა უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან მაკედონია იყო და მოიგებდა კიდეც, რაისს ბოლოსკენ რომ არ ეყოჩაღა.

### თურქეთი-ფინეთი 55:61

**გადამწყვეტი მომენტი:** თურქეთმა 19-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, 19:2 გაქცევა მოახერხა და ხუთ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს. სწორედ ამ დროს, ფინეთს მშველელად მოევლინა **სასუ სალინი**, რომლის სამქულიანმა დიდწილად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**მატჩის გმირი:** **პეტერი კოპონენი** 12 ქულით თავისი გუნდის ლიდერი იყო. მან აგრეთვე 9 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ფინეთმა ძალიან კარგად ითამაშა დაცვაში: თურქეთმა თამაშიდან ტყორცნების 31.7 პროცენტი ჩააგდო (მათ შორის სამქულიანები - 18.2). სკანდინაველთა გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა სამქულიანების კარგმა რეალიზაციამ (31-დან 11).

ათასამდე გულშემატკივრის მხარდაჭერით გამხნევებულმა ფინეთის ნაკრებმა თითქმის მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და თავის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

ორივე გუნდმა სტარტზე ინერვიულა, განსაკუთრებით თურქეთმა, რომელმაც თამაშიდან პირველი ცხრა ტყორცნა ააცილა. ექვსნახევარმა წუთმა ისე ჩაიარა, რომ ფავორიტს ქულა არ ჰქონდა აღებული, ფინეთი კი 5:0 დაწინაურდა, პირველი მეოთხედი კი 10:8 მოიგო.

მეორე მეოთხედში ფინელებს სამქულიანები წაუვიდათ - ოთხი ზუსტი შორეული ტყორცნის წყალობით, ისინი 16:2 გაიქცნენ და შესვენებაზე კომფორტული უპირატესობით გავიდნენ - 31:29.

სამქულიანებით დაბომბვა მესამე მეოთხედში გაგრძელდა - კიდევ სამი ზუსტი გასროლით სხვაობამ მაქსიმუმს მიაღწია - 47:28. თუმცა თურქები არ დაიბნენ და ამავე 10-წუთეულში დაიტოვეს მატჩის გადარჩენის შანსი. მესამე მეოთხედი მათი 10:2 გაქცევით დასრულდა, სპურტი კი მეოთხე მეოთხედში გაგრძელდა და მალე სხვაობა ხუთ ქულამდე დავიდა - 47:52. სწორედ ამ დროს ჩააგდო სალინმა უკვე ნახსენები სამქულიანი, შეხვედრის ბოლოს კი მან საბოლოოდ გაიფორმა მატჩის გმირის სტატუსი, როცა 57:55-ზე, ერთ შეტევაში თავის გუნდს სამი ქულა მოუტანა. ეს საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე მოხდა.

### შვედეთი-საბერძნეთი 51:79

**გადამწყვეტი მომენტი:** ამ მატჩში გამარჯვებულ გუნდს არ ჰქონია კრიტიკული მომენტი. ტეილორი ზედიზედ რვა ქულით შვედეთმა 8:2 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ ამას მოჰყვა ბერძნების გაქცევა - 27:7, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**მატჩის გმირი:** **იანის ბურუსისს** განსაკუთრებული სტატისტიკა არ ჰქონია (12 ქულა+6 მოხსნა+1 დაფარება), მაგრამ სწორედ მისმა რვა ქულამ მეორე მეოთხედის სტარტზე საფუძველი ჩაუყარა მისი გუნდის გაქცევას.

**სტატისტიკა არ ტყუის:** საბერძნეთმა თამაშიდან 57.4 პროცენტის სიზუსტით ისროლა და დაჩაგრა მეტოქე მოხსნებში: შვედეთმა თამაშიდან 36 პროცენტი ჩააგდო და მხოლოდ შვიდი შედეგიანი გადაცემა ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## A ჯგუფი

**ისრაელი 71 (ო)**
17:22, 13:12, 22:13, 14:19, 5:9
**ბრიტანეთი 75**

ი: კასპი (13+11 მოხსნა), ჰალპერინი (12+5 მოხსნა), ელიაჰუ (11+14 მოხსნა), ოჰაიონი (9+7 პასი), გრინი (4+6 მოხსნა) - სტარტი; ნისიმი (17), კადირი (2), ტაიუსი (2), პნინი (1), კოციკარო (0), ლიმონადი (0), ჰანოჩი (0).

ბ: ჯონსონი (22+6 მოხსნა), ლოურენსი (7), სალივანი (8), მიურეი (0), ბოატენგი (0) - სტარტი; ეჩარა (18+13 მოხსნა), ჰესონი (14+6 მოხსნა+4 შეცდომა), კლარკი (3+7 მოხსნა), რობინსონი (2), ადეგბოიე (1+4 შეცდომა), ვან ოოსტრუმი (0).

**ორქულიანები:** 18/53 (34,0%) - 17/43 (39,5%)
**სამქულიანები:** 6/17 (35%) - 5/20 (25%)
**საჯარიმოები:** 17/32 (53,1%) - 26/35 (74,3%)
**მოხსნები:** 48-51. **პასები:** 12-8. **შეცდომები:** 12-18

**ბელგია 57**
12:11, 24:15, 12:14, 9:18
**უკრაინა 58**

ბ: ერველი (9+9 მოხსნა), მუკუბუ (7+5 მოხსნა), ვან როსომი (6), მუია (2), დრისენი (2) - სტარტი; ბეგინი (14), ტაბუ (13+5 მოხსნა+4 პასი), მოორსი (2), მვემა (2), მასოტი (0).

უ: გლადირი (11+7 მოხსნა), ჯეტერი (8), კორნიენკო (6), ლიპოვი (3), ნატიაჟკო (2) - სტარტი; ზაიცევი (16+6 მოხსნა), მიშულა (9+4 პასი), კრავცოვი (2+5 მოხსნა+4 დაფარება), ზაბირჩენკო (1), პუსტოზვონოვი (0).

**ორქულიანები:** 16/44 (36,4%) - 9/29 (31%)
**სამქულიანები:** 7/17 (41,2%) - 10/22 (45,6%)
**საჯარიმოები:** 4/7 (57,1%) - 10/17 (58,8%)
**მოხსნები:** 38-32. **პასები:** 12-14. **შეცდომები:** 15-15

**საფრანგეთი 74**
14:27, 25:16, 17:14, 18:23
**გერმანია 80**

ს: პარკერი (18+4 პასი), ჟელაბალი (11+3 ჩაჭრა), ბატუმი (9+5 მოხსნა+5 პასი), დიაო (7+5 პასი), აჟინკა (6+4 შეცდომა) - სტარტი; დე კოლო (9), დიო (8), ლოვერნი (4), ფ. პიეტრუსი (2), პეტრო (0), ერტელი (0).

გ: ბენცინგი (19), შტაიგერი (14+4 შეცდომა), გიფი (14+5 მოხსნა), შაფარციკი (12+11 პასი), პლიაისი (11+7 მოხსნა) - სტარტი; ზირბესი (4), ზიფერტი (2), ცვაინერი (2+5 მოხსნა), გიუნტერი (2), კინგი (0), ტადა (0), დორტე (0).

**ორქულიანები:** 19/30 (63,3%) - 22/37 (59,5%)
**სამქულიანები:** 9/25 (36%) - 9/15 (60%)
**საჯარიმოები:** 9/15 (60%) - 9/14 (64,3%)
**მოხსნები:** 18-29. **პასები:** 15-13. **შეცდომები:** 13-18

## B ჯგუფი

**ლატვია 86**
20:20, 23:13, 19:24, 24:18
**ბოსნია 75**

ლ: იანიჩენოკსი (12+4 პასი), სტრელნიექსი (9+9 პასი), მეიერსი (6), ბერძინსი (6), ბლუმსი (3+6 მოხსნა) - სტარტი; ფრეიმანისი (24), კუკსიკსი (13), ბერტანში (9), მეიერისი (4+5 მოხსნა), სელაკოვსი (0+5 მოხსნა), სკელე (0).

ბ: ჯედოვიჩი (19+5 მოხსნა+6 ჩაჭრა), ტელეტოვიჩი (18+8 მოხსნა), კიკანოვიჩი (16+7 მოხსნა), რაიტი (12+8 მოხსნა), სუტალო (5) - სტარტი; მაშიჩი (2), გორდიჩი (2), ბავჩიჩი (0).

**ორქულიანები:** 23/37 (62,2%) - 21/51 (41,2%)
**სამქულიანები:** 11/29 (37,9%) - 2/15 (13,3%)
**საჯარიმოები:** 7/10 (70,0%) - 27/32 (84,4%)
**მოხსნები:** 39-35. **პასები:** 20-4. **შეცდომები:** 14-7

**მაკედონია 80**
24:25, 22:20, 21:19, 13:17
**ჩერნოგორია 81**

მ: მაკალები (23), დ. სტოიანოვსკი (19+5 მოხსნა), ანტიჩი (8+6 მოხსნა+4 პასი+5 შეცდომა), ვ. სტოიანოვსკი (8), სამარძისკი (4+6 მოხსნა) - სტარტი; ილიევსკი (10+5 პასი), გეჩევსკი (8+5 მოხსნა), ჩეკოვსკი (0).

ჩ: რაისი (16+5 პასი+4 ჩაჭრა), სუად შეჰოვიჩი (16), ა. პოპოვიჩი (3), დაშიჩი (6+5 მოხსნა), დუბლიევიჩი (4+6 მოხსნა) - სტარტი; ბიელიცა (12), სეად შეჰოვიჩი (11), ვუჩევიჩი (9), ივანოვიჩი (2).

**ორქულიანები:** 21/42 (50,0%) - 19/41 (46,3%)
**სამქულიანები:** 10/21 (47,6%) - 7/20 (35,0%)
**საჯარიმოები:** 8/12 (66,7%) - 22/28 (78,6%)
**მოხსნები:** 33-37. **პასები:** 15-9. **შეცდომები:** 13-10

**სერბეთი 63**
20:10, 13:17, 18:14, 12:15
**ლიტვა 56**

ს: ნენად კრსტიჩი (20+9 მოხსნა), ნედოვიჩი (14+5 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (5), მარკოვიჩი (2+5 მოხსნა), გაგიჩი (0) - სტარტი; ბიელიცა (13+8 მოხსნა), კატიჩი (6), ანჯუშიჩი (3), მიჩიჩი (0), კალინიჩი (0).

ლ: კალნიეტისი (17), სეიბუტისი (8), კლეიზა (8), მაჩიულისი (6), იავტოკასი (0) - სტარტი; დ. ლავრინოვიჩი (12+6 მოხსნა), ვალანჩიუნასი (2), კ. ლავრინოვიჩი (2), კუზმინსკასი (1), პოჩიუსი (0), დელინინკაიტისი (0), მოტეიუნასი (0).

**ორქულიანები:** 18/45 (40,0%) - 16/35 (45,7%)
**სამქულიანები:** 5/17 (29,4%) - 6/22 (27,3%)
**საჯარიმოები:** 12/18 (66,7%) - 6/12 (50,0%)
**მოხსნები:** 42-36. **პასები:** 9-8. **შეცდომები:** 11-12

## D ჯგუფი

**თურქეთი 55**
8:10, 11:22, 19:17, 17:12
**ფინეთი 61**

თ: თურქოგლუ (8), აშიქი (4+6 მოხსნა), ილიასოვა (3+6 მოხსნა), ჩეთინი (2), გიულერი (0) - სტარტი; არსლანი (12+5 პასი), გიონლუმი (11+7 მოხსნა), ერდენი (8), პრელჯიჩი (7+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბალბაი (0), სავაში (0).

ფ: კოპონენი (12+9 მოხსნა), სალინი (12), ჰუფი (8+5 მოხსნა), ლი (3), კოტი (2+5 მოხსნა) - სტარტი; ჰაანპაა (9), მოტოლა (6), მუურინენი (6+5 მოხსნა), რანიკო (3) კოივისტო (0), აჰონენი (0)

**ორქულიანები:** 15/38 (39,5%) - 8/30 (26,7%)
**სამქულიანები:** 4/22 (18,2%) - 11/31 (35,5%)
**საჯარიმოები:** 13/24 (54,2%) - 12/19 (63,2%)
**მოხსნები:** 47-39. **პასები:** 13-12. **შეცდომები:** 14-14

**შვედეთი 51**
13:15, 8:24, 14:20, 16:20
**საბერძნეთი 79**

შ: ტეილორი (16), ჟურებკო (8), კიელბომი (2+5 მოხსნა) გრანტი (2), ტ. მასამბა (0+4 შეცდომა) - სტარტი; პიტა (7), სკიოდებრანდი (5), ჰაკანსონი (3), ა. გადეფორსი (3), ვ. გადეფორსი (3), ბ. მასამბა (2), რაში (0).

ს: სპანულისი (13+4 შეცდომა), მავროკეფალიდისი (8+9 მოხსნა), ბრამოსი (3), პაპანიკოლაუ (2), პრინტეცისი (2) - სტარტი; ბურუსისი (12+6 მოხსნა), სლუკასი (10+4 შეცდომა), პერპეროგლუ (9), ფოცისი (7), ზისისი (6), კაიმაკოგლუ (4), კავადასი (3).

**ორქულიანები:** 11/35 (31,4%) - 21/32 (65,6%)
**სამქულიანები:** 7/15 (46,7%) - 6/15 (40%)
**საჯარიმოები:** 8/16 (50%) - 19/33 (57,6%)
**მოხსნები:** 19-41. **პასები:** 7-13. **შეცდომები:** 17-18

**რუსეთი 69**
18:25, 11:17, 13:14, 27:20
**იტალია 76**

რ: შვედი (17+5 პასი), მონია (13+5 მოხსნა+3 დაფარება), ვორონოვი (5), კარასიოვი (3), სოკოლოვი (2) - სტარტი; ფრიძონი (12+4 პასი+3 ჩაჭრა), ანტონოვი (8), პონკრაშოვი (6), ვალიევი (2), სავრასენკო (0), ხვოსტოვი (0), კულაგინი (0).

ი: დატომე (25+8 მოხსნა+4 შეცდომა), ბელინელი (16+5 პასი+4 შეცდომა), არადორი (13+5 მოხსნა), დინერი (6+4 პასი), კაზინი (6+9 მოხსნა+2 დაფარება) - სტარტი; ჯენტილე (8), მელი (2), ვიტალი (0), ჩინჩარინი (0), პოეტა (0), როსელი (0), მაგრო (0).

**ორქულიანები:** 12/35 (34,3%) - 20/38 (52,6%)
**სამქულიანები:** 11/27 (40,7%) - 7/19 (36,8%)
**საჯარიმოები:** 12/19 (63,2%) - 15/21 (71,4%)
**მოხსნები:** 30-37. **პასები:** 14-15. **შეცდომები:** 13-16


ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608